



8(05)
ბ 20

II

თეზეკვალი

II

*ილია
თეგო*



1915 წ.

შინაარსი: 1) ფსიხოლოგია პედაგოგთათვის (ოტტო ლიბმანი) ლ. ბოცვაძე. 2) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჭიგინა (წერილი მეშვიდე—ილია აღმაშენებელი. 3) სასჯელი და სკოლა—სავლე აბულაძე. 4) ებრაელების სტრატეგია ომის დროს („დაბადებიდან“)—მლ. კ. ანთაძე. 5) შეშენების საზღვართა საკითხი (თარგმანი მაქს ფერფანიდან)—დ. ქადაგიძე. 6) აკაკი—ივ. გომარბელი. 7) ზარი—გ. ლეონიძე. 8) სიტუვა—ალ. კიკინაძისა. 9) აკაკის—ნ. რაზიკაშვილი. 10) აკაკის დაკრძალვის დღე—ლადო ბზვანელი. 11) აკაკის—ს. აბაშელი. 12) უკვდავება—ა. ფანცულაია. 13) აკაკი—გ. ობჩელი. 14) აკაკის გარდაცვალების გამო (მოგონება)—ნატალია გიგაური-გაბაევი-გაბაონელი. 15) მწეხრის ჟამი—ილ. გოგია. 16) აკაკის ხსენება—ილ. გოგია. 17) აკაკის ხსენებას (უკანასკნელი საღამო)—აკაკი სიგუა. 18) ნუ ვსტირით—გრ. საქარჩქედელი. 19) მოგონება—(აკაკის ხსენებას)—ანტონ ბეკიაშვილი. 20) აკაკის ანდერძი. 21) გლოვა—ს. აბულაძე. 22) * * გელა. 23) სიგონების სიღამაზე—კიკინა-ფშაველა. 24) მეგობარს—ა. გაფრინდაშვილი. 25) სულ გარდავქმნი—ლ. ძიძიგური. 26) ის კი იცინოდა... იცინოდა მჭკნარი სიცილით—დ. თურდოსპირელი. 27) სურათი—ნატ. გიგაური-გაბაევი-გაბაონელისა. 28) ცხოვრების პირველ საფეხურზე (ფსიხოლოგიური ეტიურა)—კ. ხევისუბნელი. 29) ცოტა რამ უფრედთა შესახებ—ზ. ჩიჩუა. 30) ქართული ენა ქუთაისის უმაღლეს დასაწყისის სკოლებში—ლადო ბზვანელი. 31) მსწავლეობის შენიშვნა I ი. გ—რი. 32) პასუხი „შადრევანის“ რედაქციას—ლ. ბოცვაძე. 33) შეცდომის გასწორება. 34) განცხადება.

დამატება: ოქმები ქარ. შორის წერა-კით. კამერცხელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრებისა, ნოემბრის 30 და დეკემბრის 7 1914 წლისა, განცხადება.

რედაქციას ჰუავს აგენტები შექმნე ადგილებში:

კავკავში—ქართული სკოლა გრ. შაქარაიანი. ბაქოში—ალ. ერას. გვარამაძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. ზანძაში—ესტატე მონიავა. თელავში—ნინო გოგინაშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მალაზაში. გორში—ნინო ანტ. ლომოურის ასული, ყვირილაში—სიმონ ორჯონიკიძე. ჭიათურაში—ი. გომელაური, ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძე, ლადო ბზვანელი და ლაზ. ხმალიძე. სამტრედიისში—წ. კ. საზ. კიოსკი. მინა კოპალეიშვილი. ხოხო—ვლადიმერ ნადარეიშვილი. ახალ-სენაკში—სპ. ენუქიძე. აბაშაში—ვისილ ქობულაძე. ძველ-სენაკში—პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, ფოთში—მლ. ლ. წულუაძე და იასონ ალექსიშვილი. ბათუმში—წიგნის მალაზია „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრ. ინასარიძე, ლანჩხუთში—პლატონ იმნაძე და კალინიკე ელენტი. ახალციხეში—კოტე. გვარამაძე. სიღნაღში—წერა-კით. საზ. განყ. წიგნის მალაზიაში—ი. კრაწაშვილი და „კახეთის ხმის“ რედაქციაში—კ. ტყავაძე. ოზურგეთში—პარმენ თოთიბაძე. სოხუმში—ნიკო ჯანაშია. ჩოხატაურში—ს. თვითრქილაძე და ბართლომე მეგრელიძე (ხიდისთავში). ონში—რაისა ჯაფარიძე, განჯაში—ლუკა ხარაძე, ზუგდიდში—უფასო სამკითხველოში. როსტოვში—სტ. სვ. ელიაძე. ხაშურში—გ. ნ. იოსელიანი. ზაქათალაში—გრ. ელენტი, ნაოლალევიში—არჩილ სულავეა და ურვან რევი, სადმელში—ვარ. ბაბთაძე.

საქირთა აგენტები სხვა ადგილებშიც. რედაქცია სთხოვს ყველას ვინც იკისრებს ამ საქმეს და რაიმეხმარება უორნალის გავრცელებაში დროზე გამოგზავნოს.

განათლება

(წელიწადი მერვე)

810
3

II

თებერვალი

1915 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ცალკე ნომ-
რის ფასი
40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ აღ-
რესით: Тифлисъ. Дворянская, Грузинская
Гимназия. Л. Г. Бочвадзе.

P-25302

ოტტო ლიპმანი

ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

II

ფსიხოფიზიკის ურთიერთობები. კონტრასტი. შეგუება. ჩვეულება. მაღალი კონტრ-
ბები. ფერებისადმი სიბრძნვე. წარმოდგენანი. მიმდევრება და წარმოდგენათა შე-
ფარდება. წარმოდგენათა სიცხველე. შიშობითი წარმოდგენანი. პედაგოგიკა
შეგუებათა სიფრცხლის სფეროში.

ჩვენ რომ საკუთარი ფსიხიურ განცდა-
თა ანალიზი მოვახდინოთ, ჩვენს სულიერს
ცხოვრებაში ელემენტარულ ფუნქციების
ორ ჯგუფს შევნიშნავთ: ერთის მხრით
ინტელექტუალურს ფუნქციებს და მეორე
მხრით — ემოციონალურს და ნების. თუ
პირველად ინტელექტუალურ ფუნქციებს
მივაქცევთ ყურადღებას, უნდა დავასახე-
ლოთ: შეგროვნება, მიმღეობა, წარმოდგე-
ნა, ასსოციაცია, მსჯელობა, აზროვნება.
მაშასადამე, როგორც ამ ჩამოთვლით

სიანს, ინტელექტუალურ ფუნქციებად
ჩვენ ვგულისხმობთ ყველა მათ, რო-
მელთა საშუალებითაც ობიექტიურად
ესწავლობთ ქვეყანას, ე. ი. როგორც
უნდა გაეცნოს ყველა ისე, როგო-
რიც უნდა ყოფილიყო ქვეყნიერება,
ჩვენი არსებობაც რომ არ ყოფილიყო.
(ნამდვილია ეს კანონი შეგნების თვალსა-
ზრისის თეორიით თუ არა, ამის გადაწ-
ყვეტა საკირო არ არის; ამ შემთხვევაში
საქმე ის არის, თუ რას განვიცდით ინ-

ტელექტუალურად მოქმედების დროს ფსიხოლოგიურის აზრით, ეს კი ყოველთვის არის „ამას და ამას იმას და იმას“). ამის საპირდაპიროდ ემოციონალურსა და ნებითის ფუნქციების დროს ჩვენ განვიცდით სუბიექტიურს, პირადს დამოკიდებულე ას ქვეყნიერებასთან, სწორედ ამიტომაც მათი ნაშუალებით ვეჭიდებით ქვეყნიერების ბორბალს.

ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების ძირითადი ფუნქციების მხრით, სხვებთან შედარებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ შეგრძნებასა და ასსოციაციას, იმ აზრით, რომ ამ ორ ფუნქციის გარეშე დანარჩენები შეუძლებელი უნდა იყვეს. სწორედ ასე ძირითად ელემენტებად შეგრძნებანი უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ ჩვენმა შეგნებულმა სულიერმა სიცოცხლემ შეგრძნებანი სრულიად არ იცის; საზოგადოდ ფსიხიური ელემენტები რაოდენადმე მოგვაგონებენ ფიზიკურ ატომებს, რომელიც საფუძვლად უდევს ყველაფერს, თუმცა თვალთ იხინი არავის უნახავს. შეგრძნებანი, რომელთაც ჩვენ შევიგნებთ, ყოველთვის არიან მიმღეობის ელემენტები და ჩვენ შემდეგ დავინახავთ, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთში მიმღეობანი და წმინდა შეგრძნებანი. ყოველ შემთხვევაში შეგრძნებას უფლება აქვს სულიერ ცხოვრების ელემენტების სათავეში ყოფნისა, რადგანაც ყველა საინტელექტუალო ფუნქციები, შეგრძნებათა გარდა, იმაში მდგომარეობს, რომ მათის შემწეობით დამუშავდება ის მასალა, რასაც შეგრძნებანი გვაძლევენ. მხოლოდ შეგრძნება გვაცნობს გარესქნელ ქვეყანას, გადასცემს „გალიზიანებას“, რასაც ჩვენი სხეული განიცდის.

კანონზომიერების აღმოჩენა გალიზიანებათა და შეგნებათა შორის დამოკიდებუ-

ლებათა ცალკე მეცნიერების, ფსიხოფიზიკის საქმეა, რომელსაც, მაშასადამე, საქმე უნდა ჰქონდეს არა მარტო ფსიხიურ ხასიათის მოვლენებთან, და მაშ არც შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფსიხოლოგიის სართად. მისი მეთოდები, რომელთაც საფუძველი ჩაუდგეს ვებერმა და ფინენერმა, უაღრესად დაწვრილებით არის შემუშავებული და სანაგალითოა ყველა საექსპერიმენტალო ფსიხოლოგიური მეთოდიკისათვის.

ორი ძირითადი დანაშნულება ფსიხოფიზიკისა ის არის, რომ რიცხვით მტკიცედ ჰყოს შემდეგი ფაქტები:

ა) ყოველგვარი გალიზიანება ცნობილ მინიმალ ძალამდის უნდა აღწევდეს, რომ საზოგადოდ გამოწვეული იქმნას შეგრძნება. („აბსოლუტური გრძნობიერება“).

ბ) ორს გალიზიანებაში უნდა იქმნეს ცნობილი მინიმალი განსხვავება ძალაში, მისთვის რომ მათ გამოიწვიონ სხვა და სხვა გვარი შეგრძნებანი. („დიფერენციული გრძნობიერება“).

სრულ და ცხად კანონზომიერებასთან დაახლოვებას აქ წარმოადგენს თავისთავად ესრედ წოდებული ვებერისა და ფენერის კანონი. იგი ცდილობს მოვლენას მისცეს მათემატიკური გამოხატულობა, მაგ. ძალა ერთის სანთლისა ოთახში სრულიად საგრძნობელი არ არის, თუ წინად ოთახი მთლად გაჩირაღდებული იყო და პირიქით, ამ სანთლის შუქი უფრო შესამჩნევი ხდება, რამდენადაც ოთახი სიბნელით იყო წინად მოცული.

საზოგადოდ არამც თუ მარტო ძალა, არამედ შეგრძნების სიგრძე და თვისებაც არსებითად იმაზეა დამოკიდებული, თუ რავარი გალიზიანება მოქმედებს იმავე წუთში გრძნობის ამა თუ იმ ორგანოზე, ან მოქმედება ცოტა ხნის წინად. ობი-

ექტი იმდენად უფრო დიდი, ნათელი, წითელი გვეჩვენება, რამდენადაც უფრო პატარაა, ბნელი, მწვანეა და სხ. მის გარშემო ობიექტი (ერთდროული კონტრასტი). თუ ნათელ ოთახიდან შევდივარ უფრო ბნელს ოთახში, თავდაპირველად საზოგადოთ ვერაფერს ვხედავ (მიმდევრო კონტრასტი). მაგრამ თუ ცოტა ხანს დავყოფ იქ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, კითხვასაც შევიძლებ (შეგუება).

ჩვეულებაზეა ერთნაირად დამოკიდებული კონტრასტი და შეგუება, თუნდაც შესაბამი ფიზიოლოგიური მოვლენანი, გრძობათა ორგანოებში, ნერვების ცენტრალურ სისტემაში, რომლითაც ცდილობენ მათს ახსნას, ჩვეულებასთან სრულიად სხვა იყვებს. თუ მხოლოდ მოვლენაზეა ლაპარაკი, მაშინ კონტრასტი და შეგუება საკუთარის მნიშვნელობით განსხვავდებიან ჩვეულებაზე დამოკიდებულ ანალოგიურს მოვლენებში მხოლოდ იმით, რომ პირველ შემთხვევაში ერთს შეგრძნებაზე, როგორც სჩანს, გავლენა აქვთ სხვა შეგრძნებათა, რომელნიც დროებით რიგზე იმყოფებიან; უკანასკნელ შემთხვევაში—ამგვარი წინად განცდილ შეგრძნებებს აქვთ გავლენა. ვინც ჩვეულებრივად ძლიერ დიდს დარბაზებში ცხოვრობს, ეს ოთახები ისეთ დიდად არ ეჩვენება; მაგრამ, როცა საშუალო სიდიდის სახლებში გადადის, უკანასკნელი პატარად მოეჩვენება. ვინც მიჩვეულია ძლიერ მხურვალე საკმელს, იგი ვერ გრძობს მის სიმწვავეს, მაგრამ ცოტად ნაკლები მხურვალე საკმელი მტკნარად ეჩვენება.

ვიდრე გავათავებდეთ შეგრძნებაზე ლაპარაკს, საჭიროა სხვა და სხვა გვარ შეგრძნებათა ჩამოთვლა მაინც, რაც-კი ვიცით: ადამიანს აქვს მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხების შეგრძნებანი, სით-

ბოს, სიცივის, ტკივილის, სწორწონაობის, მოძრაობის, სიმძიმისა და ორგანიული შეგრძნებანი. თვითოეული ამ შეგრძნებათაგანი მიიღების გრძობათა განსაკუთრებულის ორგანოების საშუალებით, რომლებიც ისეა მოწყობილი, რომ ანგარიშს უწევს მხოლოდ განსაზღვრულს სახის გაღიზიანებას. ასე რომ თვალი იღებს მხოლოდ ეთერის ტალღებს, ყური—ჰაერის მერყეობას. განსაზღვრულის დროგამოშვებისას. თუ ჩვენ გრძობათა ორგანოებს თავს მოვუყრით ნორმალური სულიერ ცხოვრებისათვის მათის საჭიროების მიხედვით ე. ი. იმ საფუძვლით, რასაც ისინი იძლევიან ჩვენი გონების განვითარებისათვის და სხვა უსაჭიროეს შთაბეჭდილებათა, მაშინ სხვებთან შედარებით, წინ უნდა წამოვაცნოთ, როგორც „უმალღესი“, მხედველობა და სმენა, რომელთაც ერთად ერთს შეუძლიანთ ნორმალურ ადამიანში ესთეტიური გრძნობებიც გამოიწვიოს.

მაგრამ რომ გრძნობის ეს ორგანოებიც უსათუოდ საჭირონი არ არიან თითქმის მალალი განათლებისა და გონებით განვითარებისათვის, ამის მაგალითს გვაძლევს ვინმე ელენე კელოერი, რომელიც მოკლებული იყო ამ ორს უმალღესს გრძნობას, მაგრამ შეხების საშუალებით ესთეტიურ მიზანსაც აღწევდა და აუარებელი და სხვა და სხვა გვარი ცნობებიც შეიძინა მხოლოდ კანისა (შებებისა და სითბოსიცივის) და კუნთების გრძნობის საშუალებით. ამიტომ ბრმა და ყრუ ბავშვები შეიძლება ძლიერ ნიჭიერებიც იყვნენ განვითარებისათვის; არავითარ საჭიროებას შეადგენს უარი ეთქვას მათ კულტურის შექმნაზე, როგორც წინედ შერებოდნენ, როცა იმათ გიჟთა თავშესაფარში ათავსებდნენ. მაგრამ, რასაკვირველია, სა-

ჭირთა ასეთ გარეგან გრძნობებს მოკლებულ ბავშვების აღსაზრდელად ცალკე სასწავლებელი, რადგანაც ამა თუ იმ გარეგან გრძნობის უმექონელობა ბუნებრივად განსაკუთრებულ პედაგოგიურს ზოქებს თხოულობს.

შეგრძნებათა ნორმიდან ჩამოშორებას, სიბეცესთან და სიყრუესთან ერთად პედაგოგთათვის მნიშვნელობა აქვს ფერების გაურჩევლობას—სიბრმავეს ფერებისადმი. ახლაც ცნობილია მთელი რიგი შრმათა ტიპებისა, რომელთაც ფერების გარჩევა არ შეუძლიათ და რომელთა ფერების შეგრძნებანი ცოტად თუ ბევრად სხვანი არიან; ვიდრე შეგრძნებანი ნორმალურის ადამიანებისა. უფრო ხშირი და საყურადღებო ამ ტიპებში შემდეგია:

ა) ბრმები წითლისა და მწვანე ფერებისადმი, რომელთაც სპექტრის ყველა ფერი იისფრიდან დაწყებული ლურჯ-მწვანე ფერამდის ლურჯად ეჩვენებათ და მწვანე ფერიდან დაწყებული სისხლის ფერ წითლამდის—ყვითლად.

ბ) ბრმები ყველა ფერებისადმი—რომელნიც ვერ არჩევენ ვერავითარს ფერს, მაგრამ გრძნობენ მხოლოდ განსხვავებას მათ შორის; იმათ ქვეყნიერება დაახლოებით ისე აქვთ წარმოდგენილი, როგორც უფერო ფოტოგრაფია.

შემჩნეულია აგრეთვე შემთხვევები სიბრმავისა ლურჯისა და ყვითლის ფერისადმი. არიან ისეთი ბრმები ფერებისადმი, რომელნიც მთელს სიცოცხლეში ვერ ამჩნევენ თავიანთ სიბრმავეს ამა თუ იმ ფერისადმი, რომლის გამო, რასაკვირველია, უსიამოვნო მდგომარეობაში ვარდებიან. ამიტომ პედაგოგების დანიშნულებით ყურადღება მიექცონ თავიანთ მოწოდებებში ფერების შეგრძნებათა ნორმიდან გადახვევას, და თუ აღმოაჩინენ

მოწოდებებში ფერებისადმი ბრმებს, მაშინვე სპეციალისტს უნდა გამოაკვლევინონ, გაასინჯვინონ. მე მხოლოდ კიდევ ვიტყვი, რომ მამაკაცთა შორის 3/100 მეტი სიბრმავეს იჩენს წითლისა და მწვანე ფერისადმი, მაშინ როცა ფერისადმი სიბრმავე ქალებში იშვიათია.

ახლა მივმართოთ წარმოდგენას. თუ რომელსამე დროს გალიზიანება მოქმედებს რომელსამე გრძნობის ორგანოზე, მე თავდაპირველად განვიცდი შეგრძნებას. მაგრამ გალიზიანების მოქმედება გრძელდება არა მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე გალიზიანება გრძელდება, — დამოუკიდებელ შეგრძნებას უერთდება ესრედ წოდებული შემდგომითი შეგრძნება. (მხედველობითს გრძნობაში ასეთ შეგრძნებათ ჩნდებიან პარტიკული და ნეგატიური სახეები). მიუხედავად ამ შემდგომითი შეგრძნებათა, შეგრძნება არ ჩნდება და არ გაივლის უამისოდ, რომ თავის შემდეგ შემეცნებაში არ დასტოვოს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მოქმედება. ასეთს გრძელს ნაკვალევს, რომელსაც არ შეიძლება გალიზიანების დამოუკიდებელი შედეგი დეარქვთ, ჩვენ ვუწოდებთ წარმოდგენებს; ჩვენი შემეცნების ნიქს-კი. რომელსაც შეუძლიან მათი შეკავება, ვუწოდებთ მესხიერებას. თვითოეული მარტივი წარმოდგენა შეესაბამება განსახლვრულს შეგრძნებას რომელსამე გრძნობის სფეროში, თვითოეული კომპლექსი წარმოდგენათა, მაგ. წარმოდგენა სახლისა, შეესაბამება შეგრძნებათა განსახლვრულს კომპლექსს. სწორედ ისე, როგორც ცნობილია შეგრძნებანი, რომელნიც რიგზე არიან დროსა ან სივრცეში, შეერთდებიან მთლიანად, საგნად, აგრეთვე ხდება შესაბამ წარმოდგენებშიაც და ჩვენს შემეცნებაშიაც. რამდენადაც ცოტაა მარ-

ტივი შეგრძნება, იმდენადვე ძნელია თვით დაკვირვების დროს პოვნა მარტივ წარმოდგენისა. მარტივი წარმოდგენები ეს მხოლოდ წინადადებაზეა დამყარებული, ჰიპოტიური ელემენტებია ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, მხოლოდ ნაყოფია მეცნიერულ ანალიზისა. თვითოეული წარმოდგენა საზოგადოთ ეთანხმება მისს შესაბამ შეგრძნებას თავის შინაარსით, არსებითად კი სულ სხვა და სხვანი არიან, იმდენად სხვა და სხვანი, რომ ნორმალურს მდგომარეობაში არაოდეს არ ავრევთ ერთმანეთში შეგრძნებათა და წარმოდგენათ. ამიტომ სამართლიანს პასუხს აძლევენ იმ შეხედულებაზე, რომლითაც წარმოდგენანი განსხვავდებიან შეგრძნებათაგან მხოლოდ იმით, რომ ისინი უფრო სუსტნი არიან და ჩნდებიან არა როგორც შედეგი გარეგან გაღიზიანებისა. ეს რომ ასე უოფილიყო, ე. ი. ეს პროცესები რომ არსებითად სრულიად ერთნაირი ყოფილიყვნენ, მაშინ ჩვენი სულიერი ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაშიაც დაუსრულვლად ზშირად შევეურვედით ერთმანეთში შეგრძნებათ და წარმოდგენათ, ე. ი. ბოდვას მოგვეცებოდით.

საზოგადოთ წარმოდგენანი უფრო დარიბია, ნაკლებ სრული, უფრო განუსაზღვრელი და ცვალებადია, ვიდრე შეგრძნებანი და მათში ეს თვისებანი მით უფრო მკვეთრია, რამდენადაც მეტი დრო გასულა უკანასკნელ შესაბამ შეგრძნებებს შემდეგ. მაშასადამე ვისმე რომ ვსთხოვო მოიგონოს ესა თუ ის განცდა და მიამბოს რამე იმის შესახებ, მოთხრობა მით უფრო საეჭვო იქნება, რამდენიც მეტი დრო გასულა განცდის შემდეგ. წარმოდგენა ყოველთვის უსუსტესი არ არის შეგრძნებაზე, რადგანაც არ შეიძლება ვსთქვათ, რომ მეტად ცხადი წარმოდგე-

ნანი მაინც სუსტია, ვიდრე მეტად სუსტი შეგრძნებანი. თუ ფსიხიურ განცდის ძალას გავზომავთ იმით, რამდენადაც იგი შთანთქავს შეგნებას—სხვა მაშტარს ვერც ვიპოვით,—მაშინ თვითოეულს თავის თავზე ექნება გამოცდილი, რომ ხანდახან წარმოდგენა უძლიერესია შეგრძნებაზე: თუ რისმე შესახებ ძლიერ ვფიქრობთ, ადვილად „გავგვებარება“ რაიმე ხმაურობა.

წარმოდგენათა სიცხოველეც სხვა და სხვა პირთ სხვა და სხვანაირი აქვთ; თითქმის ერთსა და იმავე კაცსაც ყოველთვის წარმოდგენა ერთნაირად ცხოველი არ აქვს. სწორედ იმის მიხედვით, თუ რაგვარი წარმოდგენანი ჰპოულობენ უპირატესობას და განსაკუთრებით ცოცხალნი არიან, აღამიანებს ჰყოფენ სხვა და სხვა ტიპებად:

- ა) მხედველის ტიპი,
- ბ) მსმენელის ტიპი და
- გ) მოძრაობითი ტიპი, იმის მიხედვით უპირატესობა აქვს, თუ უფრო ცოცხალია მხედველობის, მსმენისა თუ მოძრაობის წარმოდგენანი.

ძილში, როცა გარეგანი გაღიზიანებანი სრულიად არ არსებობენ და შეგრძნებანი შემეცნებამდის ვერ აღწევენ, წარმოდგენანი დნსძლევენ. განსხვავება წარმოდგენასა და შეგრძნების შორის მაშინ სრულიად ჰქრება: წარმოდგენა იმდენად მსგავსია შეგრძნებისა, რომ მოქმედებს, როგორც შეგრძნება; იმის მიხეზი, რომ ძილში შესაძლებელია შიში ფრიად შეუძლებელ სახეებისა, ობიექტიური კრიტიკის განშორებაა. პატოლოგიურ მდგომარეობაშიაც შემთხვევაა, რომ წარმოდგენანი შეგრძნებად მიუღიათ; ამ შემთხვევაში გალიუცინაციაზე, ბოდვაზე ლაპარაკობენ.

ბოლოს საზოგადოთ წარმოდგენანი უფრო არა მუდმივია და ნაკლებ მკვიდრი, ვიდრე შეგრძნებანი. მაშინ როცა შეგრძნება მუდამ გრძელდება, სანამ გალიზიანება მოქმედებს, და ამიტომ ხშირად შეიძლება რამდენადმე მაინც ნებით დიდხანს იქმნას შეკავებული, წარმოდგენანი ჰქრებიან შემეცნებიდან ძლიერ ცოტადროს განმავლობაში. მაგრამ, რასაკვირველია, არც ამის სრულად საზოგადოდ მიღება შეიძლება, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ხშირად „თავს ვერ ვალწევთ“ ზოგიერთ წარმოდგენათ, მაგალ. რომელსამე ტკბილ ხმას, მელოდიას.

რაც შეეხება ცალკე წარმოდგენათ, მოვიხსენებთ კიდევ მოკლედ ერთს საჭირო თვისებას მოძრაობითი წარმოდგენებისას. (შემდეგში ჩვენ დავუბრუნდებით ამ თვისებას). იგი მდგომარეობს სახელდობრ იმ ტენდენციაში, რომ ნამდვილად შეასრულო წარმოდგენილი მოძრაობანი; წარმოდგენილი მოძრაობა სწარმოებს, თუ იგი შეკავებული არ იქმნა. ამიტომ მოძრაობითი წარმოდგენილებანი ყოველთვის შეკავშირებულია ცნობილს შეგრძნებებთან სახსრებში, რომელიც შეესაბამება ამა თუ იმ მოძრაობის ნასახს, დასაწყისს (რუდიმენტს).

ყველა ეს სულიერ ცხოვრების ინტელექტუალურ ელემენტებს ეხება. პედაგოგიურისა და ბავშვის — ფსიხოლოგიუ-

რის თვალსაზრისით ნათქვამს კიდევ უნდა დავუმატოთ:

ახლად შობილ ბავშვს არ აქვს არავითარი, ან აქვს ძლიერ მცირე შეგრძნებანი, არ აქვს აგრეთვე არავითარი დამზადებული წარმოდგენანი. მას თანდაყოლილი აქვს მხოლოდ ნიჭი: ა) შეგრძნებისა, ბ) შეგრძნების დალევება დამზადება დროსა და სივრცეში და გ) შეგრძნებათა შეგროვება წარმოდგენათა სახით.

აღმზრდელს წინ უდევს მიზანი პირდაპირისა და აზრ გადატანის მნიშვნელობით მეთოდურად გააფართოვოს ბავშვის „თვალსაზრისი“, ე. ი. ცოტ-ცოტათი გალიზიანოს იგი და ამ სახით აღუძრას ახალი შეგრძნებანი. თავდაპირველად ერთსა და იმავე დროს ან სწრაფად მიყოლებით არ უნდა გალიზიანოს ბევრჯერ, ან არ მიმართოს ახალ-ახალ გალიზიანებას, რომ ამით ხელი არ შეუშალოს ერთის მხრით ამ გალიზიანების დროსა და სივრცეში განაწილებას და მეორე მხრით მათს წარმოდგენებად გარდაქმნას. უკანასკნელი ეხება არა მარტო ძუძუთა ბავშვებს, არამედ ცოტად თუ ბევრად მოზრდილებსაც. ერთი ფაქტი კიდევ ღირსია მოგონებისა, სახელდობრ ის, რომ როგორც ბავშვის აბსოლუტური, ისე განსახსვავებელი გრძნობიერებაც, უეჭველია, უფრო სუსტია, ვიდრე მოზრდილისა.

ლ. ბოცვაძე.



ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

ჰიზიენა

(წერილი მეზიდე)

ადამიანის მკბენარნი, მჭამელი ჰარაზიკები და მათთან ბრძოლა

ბუნებას ერთფეროვნება სულაც არ უყვარს. მარტოოდენ ვარდი და ბულბული როდი გაუჩენია ჩვენდა სასიამოვნოდ... პირიქით ადამიანი მედგრად ებრძვის ფიზიკურ ბევრ გვარ ძალა-მოვლენას და თანაც მართებს ბრძოლა მრავალ ცოცხალ არსებასთან, ხილულთან და არა ხილულთანაც. აი სწორედ ამ ნებსითი თუ უნებლიეთ ბრძოლაში იჩარხება, იწვრთება ადამიანის ჯანი და ღონე, ჭკუა-გონება, გამჭრიახობა, მოხერხება—წინაპართაგან გავლილი გაცვეთილი უადვილებს ბრძოლას.

ღიად, შემოქმედმა ამიტომაც დააჯილდოა ადამიანი პირმეტყველებით, უალრესი ჭკუა-გონებით და სწრაფლ-მოსაზრებით. ხოლო იარაღათ მისცა ასე მოხერხებული, საკვირვლად აკინძული ის ათი თითი ხელებისა, რომლებითაც ადამიანი ყოვლად შემძლებელი გახდა. მარტოოდენ ნიჭი და თუ გინდ არისტოტელის ძლიერი ჭკუა გონება დარჩებოდა ხმად მლაღდებლისა უდაბნოსა შინა, უკეთუ ადამიანს, პირმეტყველს ხელის თითების მაგიერ პირუტყვივით ჩლიქი თუ ქაჩაჩი ჰქონოდა (ცხენივით). დღეს კი ადამიანის ჭკუამ თითების შემწვობით გაგვიადვილა ადამიანური ცხოვრება და თან ღამობს ამა ქვეყნის სამოთხეთ გარდაქმნას*).

ქართველობა როდის ვეწევით, ველირსებით ამ ქვეყნიურ სამოთხეს, ძნელი საცნობელია; დღეს კი გვკამენ, გვბრამენ, სისხლს გვიშრობენ ხილულნი და არა ხილულნი ქია-ლუანი, პარაზიტები.

წინა წერილებში ცოტარდნად მინც*) გავიცანთ მუქთა მჭამლები (პარაზიტი) ბაქტერიები, რომელნიც მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიან... უკვე ვიცით რა

შეუძლიან ცერი ეველა თათებს დაუტოლოს, შეუერთოს (დაადოს, ჩამოთვალოს), ეს იმისთანა უპირატესობაა, ისეთი დიდი ღვთის წყალობაა, რომ ადამიანი მართლაც რა უოვლის მამქმედი ხდება. მეფეა ბუნებისა.

*) ბაქტერიოლოგია დღეს უშველებელ მეცნიერებად გარდაიქცა. მაგალათად ქილაქინში წელს შეარე გამოცემით გამოვიდა დიდრანი რვა (8) ტომი მოსკუნტალური „ენციკლოპედია“ ბაქტერიოლოგიისა ზროფესორების Kolle და Wassermann-ისა, ეს უზარმაზარი კოლექტიური შრომა სრულიად ინტერნაციონალურია, რადგან წიგნის შედგენაში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო სპეციალისტები—ეველა განთლებულ ქვეყნების მეცნიერები. წიგნი გამოცემულია გ. Fischer-ის მიერ ჩართული აქვს 198 ტახლიცა, 984 ნახატი ტექსტში და 13-იგ ფოტოგრაფია. ღირს 323 მარკა (კლით 350 მარკა ანუ 175 მან.)

*) მეტადრე ის გარემოება, რომ ადამიანს

საშინელ კირს და ვარამს გვატეხენ ხოლმე თავზე ბაქტერიები.

ახლა კი უნდა გავაცნოთ ცხოველთა სამეფოს უბრალოესნი არსებანი, რომელნიც აკრთვე ეწვეიან პარაზიტულ ცხოვრებას (მუქთა მკამლობას ანუ სხვათა მკამლობას). პარაზიტი ცხოველები თუმცა ისეთი ღვთის რისხვანი არ არიან ჩვენთვის როგორათაც მცენარე პარაზიტები, ჭიანჭის ბაქტერიები, მაგრამ მაინც ძლიერ გვაწუხებენ და ზოგს ხომ შეუძლია კიდევ სამარის კარამდეც მიიყვანოს ადამიანი...

მაშ ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ცნობილი ავაზანა, ცხრანი ძმანი პარაზიტნი ადამიანის სხეულის მკამელნი და სისხლის მწოველნი, ხილულნი და არა ხილულნი: 1) ტილი, 2) რწყილი, 3) ჯღიბა, 4) მუნი, 5) ქეცი, 6) მრგვალი ქია (მუცლისა), 7) პრტყელი ქია (მუცლისა), 8) ტკიპი და 9) ბაღლიჯო...

ჩვენი სურვილია რამდენიმე წერილი უჭმდნათ ამ საჭირ-ბოროტო სისხაგლეს. გვსურს უმცროს მოძმეს გავუადვილოთ ხსენებულ მტრებთან ბრძოლა, რომელთა სახელის ხსენება ზოგს სირცხვილადაც კი მიაჩნია*). არა, ბატონებო, სირცხვილად და სათაკილოდ, მიუტოვებელ ცოდვად ის ჩაგვეთვლება, რომ ადამიანი გვქვიან და ტალები და კიები კი გვქამენ, გვხრამენ ჩვენცა და ჩვენს უმწერ ბალებსაც...

ეს მოვლენა აიხსნება ხალხის სიბნელით და უმეცრებით. სიღარიბე-სიღატაკით, იმ სიღატაკით, რომელიც გამოწვეულია აუტანელ სოციალურ პირობებით და ქონება-ცხოვრების უთანასწორობით... მაგრამ «ვიდრე პეტრე მივიდოდა, პავლეს

ტყავი გააძრესო»... ვიდრე რაიმე სასწაული მოხდებოდა, ევროპას დავეწვეით და სოციალური მდგომარეობა ნორმალურად მოეწყობა, ჩვენ ესლავე მოვალეობა უნდა მოვიხადოთ ჩვენის უმცროს მოძმეთა წინაშე.

მე აგიწერთ ყველა იმ პარაზიტ ცხოველებს, რომელთაც ადამიანი აურჩევით თავიანთ მსხვერპლად, ზოგან შეეცხები შინაურ საქონელთა პარაზიტებსაც, რადგან ოჯახურ ეკონომიაში ჯანი და სული შინაურ ცხოველებით გვიდგია; გადმოგცემთ იმ საშუალებას და საბრძოლველ იმ იარაღსაც, რომელნიც მეცნიერებას შეუმუშავებია და, რადგან ადამიანი გვქვიან, ღირსეულადაც ვიმართლოთ თავი შემოქმედის წინაშე... — «კაცი კაცის წამალია», ამოვიყვანოთ ბინძურობის მორვეიდან ჩვენი მოძმე ადამიანი შექმნილ სახისაებრ და მსგავსებისაებრ ღვთისა, მხოლოდ კი იმუშავეთ უანგაროდ, უმუნათოდ, უსაყვედუროთ, გახსოვდეთ, რომ ეგ ნიქი და უნარი როცა ღმერთმა მოგცათ, არავითარი სასყიდელი არ მიუძღვნია. ისიც კარგა იცოდეთ, რომ კაცო რაც გინდ დიდებული და მდიდარი იყოს, ეგ სულ ერთია, ვერც თუ ფუფუნებაში და ნებივრობაში აიცილენს პარაზიტებს... სხვა არა იყოს რა ყველა სანოვაგეს, საქმელ-სასმელს ვინ გვიმზადებს, თუ არ ის კლასი (ხალხი), რომელნიც უმთავრესად ხდებიან პარაზიტთა მსხვერპლად?! პო და ეს პარაზიტები მომუშავენთა უნებურად სცვივიან ერბოსა და ყველში, პურის ცომში და ღვინოში, მაწონსა და რძეში, მზარეულიდან საქმელში და სხვა და სხე...

აბა დაუფიქრდით, გვმართებს თუ არა ზიზლით ღონე ვიღონოთ და მედგარად შევებრძოლოთ ყოველსავე იმ ვაგლახსა

*) «უფავი ნებზე იჭდა და ბაღლის კი არიდებდა»...


და ბინძურობას, რომელიც ადამიანს ბუნების მეფეს და გვარგვანს გარს ახვევია?!.. მაშ დაუგდოთ ყური რას გვასწავლის მეცნიერება.

1. ტ ი ლ ე ბ ი.

(Pediculidae)

I

ტილი პატარა უფროს მწერია. კუნთები საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული და ამიტომაც შედარებით ღონიერია. პატარა თავზედ ასხედს ორი თვალი; პირი საგანგებოდ მოწყობილი აქვს საჩხვლეტად, საკბენად და თან ხორთუმიც სისხლის საწოვნელად, აქვს სამი წყვილი ფეხი, თავის ტვინი და სხვა ნერვებიც. საკმლის სახარშ ორგანოებს შეადგენენ კუჭი და წილები. სისხლის საბრუნებლად ზურგზე აქვს გული, მოკლე აორტა და სხვა, ხოლო სასუნთქელი მილები მთელს ტანში აქვს გატარებული და სხვ...



წილნი

ტილი.

უფრო გამრავლებულნი არიან დედალი ტილები, იმ გვარათვე როგორც ჩვენ. ერთს მამალზე 10—15 დედალ ქათამს ვინახავთ და სხვ... ტილები სცხოვრობენ პარაზიტად, მუქთა-ხორად ცხოველების და ადამიანის ტანზე. იკვებებიან მზა-მზა-

რეულად თავის პატრონის სისხლით*).

განაყოფიერებული დედალი ტილი კვერცხსა სდებს და ადამიანის ანუ ცხოველის თმაზე მიაწებებს ხოლმე. იი ამ კვერცხებს ჰქვიან წილი. ახლად გამოჩეკილი ტილები, მხოლოდ სამგზის იცვლიან ხოლმე კანს და ამიტომ მშობლებს მალე ემსგავსებიან (გარდაქმნას არ განიცდიან). საზოგადოთ ტილის გამრავლება ძლიერ სწრაფად სწარმოობს. მეცნიერის ლეიფენგუჯის გამოკვლევით ტანისამოსის ტილს, ერთს დედალს, მოკლე ხანში შეუძლიან გააჩინოს მთელი ფარა, ხუთი ათასამდე (5000) ახლოგაზდა თაობა!.. ეს ამოდენა ჯარი, გამოჩეკის დღიდან ორი კვირის შემდეგ უკვე თვითონ ნაყოფიერდება და ამრავლებს თავის აუარებელს ლაშქარს, ჩამომავლობას. მაშასადამე გარემოებამ ხელი რო შეუწყოს და მალტუსივით გეომეტრიულ პროგრესსიით (1, 2, 4, 8, 16, 42...) რო ვინგარიშოთ, ერთი ტილის ჩამომავლობა მარტოდენ ერთი წლის განმავლობაში მილიარდებში ავა. უთუოდ ამიტომ ხალხი ჰგონებს, რომ ტილი ადამიანის კანიდან გამოდის, პირდაპირ ჩნდებაო.

II

ადამიანის ტანს ეტანება სამ გვარი ტილი: 1) ტილი თავისა, 2) ტილი საშოსლისა და 3) ჯღიბი. უყვართ უფრო თმით დაფენილი ადგილები, მაგალ. თავი, ძლიები, მკერდი, ბოქვენი და სხვ. აქ დასოცავენ, იკბინებიან, სისხლს სწოვენ,

* ესე იგი პარაზიტი (სხვათა მჭამელი) ტილია და პატრონი კი (ამ შემთხვევაში) ადამიანია, რომლის სისხლითაც გაურჯელად მზა-მზარეულად იკვებება ტილი.

იკვებებიან, პეპლოზენ, მრავლდებიან და სხვ.


ტილიც და წილიც (კვერცხი) ერთს ადამიანს შეუძლიან მეორეს გადასცეს, გადასდოს. კბენის დროს ტილი ძლიერ ააქავებს ხოლმე კანს. ადამიანი საშინლად იფხანს ნაკბენ ადგილს და ზოგჯერ რაც ისე ერთგულად, რომ თავს ან ტანს იჩხაპნის ფრჩხილებით. ხშირად მოხდება, დაღადრული ადგილები წყლულად, მუწუკად გაუზვიადდება ხოლმე...

1. თავზე მცხოვრები ტილი *Pediculus capitis* მონაცრო ფერია ანუ იმ ფერისაა რა ფერისაც ადამიანის თმა არის. დედალი ტილი ორმოცდაათამდე (50) კვერცხს სდებს და თმებზე მიაწებებს ხოლმე. ამ ამ კვერცხებს ჰქვია წილი. წილიდან (კვერცხებიდან) 8-9 დღეში გამოიჩეკებიან ბლარტები, რომელნიც 18 დღეში სრულდებიან და პეპლოზას იწყებენ, მრავლდებიან.

2) ტანისამოხის ტილი *Pediculus Vestimentorum* უფრო მოზრდილი იზრდება, მოთეთრო, — მონაცრო ფერისაა. საზოგადოთ მამალი ტილი უფრო კობტაა, მოხდენილი ტანისაა, ვიდრე დედალი. *Vestimentorum* ბუღობენ ადამიანის საცვლებში (ბერანგსა და მის ახხანაგში) და აქ სდებენ კვერცხებს ნაკერავებში, ნაწიბურებში. საკვებად; საქმლისთვის გამოდიან ადამიანის კანზე, დაცოტავენ უფრო ტიფელა ადგილზე, აგრეთვე კისერზე, კეფაზე და სხვ. აქ კბენენ, სწოვენ სისხლს, რითიც იწვევენ აუტანელ ქავილს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეს ტილიც საშინელის სისწრაფით მრავლდება.

3. ჯღიბა *Pediculus pubis*. ეს ტილიც სცხოვრობს ადამიანის ტანზედ, უმთავრესად თმით დაფარულ ბოქვენზედ და მის მეზობლადაც, მონაცრო-მოყვითალო

ანუ მონაცრო-თეთრი ფერისაა, მოყვანილობა ოთხ-კუთხი აქვს. უყვარს აგრეთვე ცხოვრება თმთან მკერდზე, ილიებში და სხვ... ტანს თუ კანს საშინლად ჩააკვდება ხოლმე, ისე ჩაჯღუბავს, რომ კაცი ფრჩხილითაც კი ვერ მოიშორებს. იკბინება, სისხლს სწოვს რითიც საშინელ ქავილს იწვევს. აქ დაფხანილი თითებით (ფრჩხილებით) ადამიანი ახლა წვერ უღვაშს უცაბედად დაიფხანს და ამ სახით უჩნდება ვაკაცს ჯღიბა წვერ-უღვაშში, აქედან წარბებში და შეიძლება წამწამებულადაც კი გადაედოს.



ჯღიბა.

ჯღიბა როცა კანს კბენს, სანერწყვეჯირკვლებიდან ერთ გვარი ცხარე წვენი გამოდის, ამით კანს სუსხავს სწამლავს და საშინლად აქავლებს. ხოლო ნაფხან, ნაჩხაპნ ადგილებზე, ვისაც კი ნაზი კანი აქვს, წყლულები უჩნდება (ლათინურად მახუფი, გესიკულა). ზოგჯერ ისე გაზვიადდება ხოლმე ეს წყლული, რომ ბევრს ნასწავლ ექიმსაც კი ხშირად ეგზემა (ლათ.) ჰგონია და ძნელად სჯერა ჯღიბასგან ამისთანა უნარი.

ჯღიბა ხშირი სტუმარია მდებრთა სქესისა განსაკუთრებით მათი ვისაც ფაქიზობა არ უყვარს ანუ როსკიპობს, თავს აქირავენს, სიმარცხენო, საქმე ხელობად

გაუხდია და უსუფთაოდ კი ინახავს „სიამოვნების ორგანოს, იარაღს“, აქედან ლოთებს, მოქირავნებს გადაედებათ ხოლმე სქესობრივი აქტის დროს და თავისივე უგუნურებით ავრცელებენ წვერ-ულვაშზე, წარბ წამწამზე და სხვ...

III

ახლა რა საშუალება უნდა ვინმართ ამ საძაგელ პარაზიტების საწინააღმდეგოთ?! თავი და თავი საშუალება და საღსარი სუფთად ცხვრებაა. თავი და ტანი ხშირად დაიბანოთ, პერანგი და მისი ამხანაგი ხშირად იცვალეთ—ძლიერ მდიდრებმა ყოველ დღე; მდიდრებმა ორ დღეში ერთხელ, ყველამ კი კვირაში უეჭველად ორჯერ; ხოლო ღარიბ-ღატაკმა კვირაობით მაინც. მეტადრე ზაფხულობით.

ამ საცვლების მარტოოდენ გარეცხვა არ კმარა, გარეცხვის მერე უნდა ყოველთვის ნაცარ-ტუტაში (ნაცარ-წმიდაში) ანუ საპნის წყალში მოხარშოთ ხოლმე საცვლებიც და ზეწარ-ჩარსაზეები, ბალიშის ზედა პირები და სხვ... რამდენჯერმე რო წაშოდულდება, მერე იშობილეთ, გაავლეთ, გააშრეთ და არხინად იხმარეთ—თუ საპანი არა ენაცარი ხო ყოველთვის და ყოველგან გემოუბათ...

ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ საცვლების მხრივ საფრთხე აღარ მოგელოისთ, რადგან ყოველივე სიცოცხლის ნასახი და ნიშან-წყალი ნაცარ-ტუტაში მოხარშვის (100—120° სიცხეში) დროს სრულებით მოისპო.

ჩვენში ყველაფერი უკუღმართად იციან, თავის დაბანვა მეტადრე ქალებს ხშირად უყვართ—თმას მოუხდება, სახეც გაგვილამაზდებაო. მაგრამ ტანის დაბანვის, აბანოს არ დაგიდევნა. ეს იმიტომ,

რომ „ტანი არა სჩანსო“. არამ თუ დაბა-სოფლებში ჩვენს ზოგს ქალაქებშიაც სრულებითაც არ არის აბანო*) სჩანს არ არის მოთხოვნილება და არც არავინ მართავს. გარდა ამისა საცვლებს იშვიათად იცვლიან, იშვიათად რეცხვენ და ისიც არამთუ მოხარშვენ, ზოგჯერ მარტოოდენ ცივი წყალით რეცხვენ საპნით ანდა ისე უსაპნოთაც.

ერთი მეცნიერი სწერს: „მითხარით თქვენს სოფელში ანუ მაზრაში ყოველ წლივ რამდენი ფუთი საპანი იხარჯებოდა და მეც მაშინ გიპასუხებთ თქვენი ხალხი კულტურის რომელ საფეხურზედაც სდგასო“...

მართლაც და კვუბზე ძლიერ ახლოა განათლებული, კულტუროსანი ადამიანი რად იკადრებს ჭუჭყიანი პერანგი ეცვას, ტილებს შეეჭმევინოს. მე მოგახსენებთ ნამდვილ ინტელიგენტ ადამიანზე, თორემ ჩვენში მაღალ წოდების და მდიდრებიც განა ცოტანი მოიპოვებინ უსუფთაოდ მცხოვრებნი; ბევრჯელ გვინახავს ფარჩის კაბაში „მოდანაზე“ კოპწიად მორთული ქალები (გინდ კნიაჟნა-კნეინებიც), საკმაოა ტალახის დროს კაბა აიწიონ, რომ საშინელი ჭუჭყიანი იუბკა გამოუჩნდესთ. მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ქალებს, ფარჩა-აბრეშუმ-ხავერდების მოტრფიალეთ, პერანგი და მისი ამხანაგიც (რადგან არა სჩანს) იუბკაზე უფროც უარესად ჭუჭყიანი უნდა ეცვათ, რამდენიმე თვის გაურეცხელი. მეტადრე პერანგის ამხანაგი სრულებით არ არის პატეში—

აბა თუ არ გჯერათ როდისმე წაიკითხეთ ქელის მშითვის სია, აბა ნახეთ რამდენ პირს საცვლებს ატანენ პატარაძალს?..

*) ცარი ხო ქადაქია, მაგრამ 10—15 წელიწადი უსაპნოდ იყო.

შეიძლება ყველაფერი ბლომად გაატანონ შკაფი, კამოდი, რკინის კრაოტი (ყველაზე მეტად ამ კრაოტებისთვის არიან პატარძლები გაგიჟებულნი); აგრეთვე ფარჩის კაბები, ქირმანი შალი—ბალდადები, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ის რაც ხალხში გამოსაჩენი არ არის და ყველაზედ კი უსაჭიროესია, მაგალითად საცვლები, დიდი საქმეა, რომ მზითვის სიაში ექვსი პერანგი ეწეროს, ხოლო თუ სამი პერანგის ამხანაგი მისცეს, ეს ხო დიდი ქებაა, იშვიათი საქმე იქნება... აი ასე სჯიან, ასეთი ჩვეულება, ადათი სუფევს კრუ თავმოყვარე შეძლებულ ქართველებში, თავად-აზნაურშიაც და ვაქრებშიაც. გლეხებს სოფლის ხალხს ხო რაღა მოეთხოვოთ. ზოგჯერ ისიც მოხდება ხოლმე მუშა კაცი ერთი კი ჩაიცვამს ახალს საცვლებს და... ის არის და ის, ვიდრე ზედ არ დააღებო, აღარ გაიხდის. ოფლი, ქუჭკი, ტილები და ჯლიბები ბარე ძლიერაც აწუხებენ, იზმუნება, იფხანება, მაგრამ ჩვენი ყოვლად მომთმენი გლეხაკი ასე სჯის: ეჰ! საცა ყველა მე მკამს, ჩემს სისხლს სწოვს... ე დეე ამ ტილებმაც გაიხარონ მკამონ, ამათაც ხო ცხოვრება უნდათ, ესენიც ღვთის გაჩენილები არიანო...

მაგრამ ბეჩავ გლეხაკის ბიბლიური იობის შრომინებასაც საზღვარი აქვს ხოლმე და როცა თონეში პურის ცხობას გაათავებენ, აი მაშინ. ამოიყრის ხოლმე მტრის ჯავრს. გახურებულ თონეში კობტად მოატრიალებენ ხოლმე ქალები პერანგს და მის ამხანაგს; სიცხისაგან გაბრუებული ტილები ცეცხლში. სცივიანი და გააქვსთ სამურად ტკაცა-ტკუცი. ამას ჰქვიან სამოსელის დაბერტყვა. ამით ერთხანად მაინც მოისვენებს ხოლმე, დღესასწაულობს ტილების ფარის პატრონი, მა-

გრამ ნაკერავ-ნაწიბურებში წილი მაინც უვენებლად რჩება, იჩეკებიან და ახლა ეს ახალი თაობა სწრაფლად მრავლდება, ძალზე იკბინება, ცდილობს ჯავრის ამოყრას, რაც შეეხება თავში ტილებს, თონეში თავის ჩაყოფა ველარ ხერხდება, აქ სულ სხვა იდილია არსებობს. ახალგაზდა გოგოები დახელოვნებულნი არიან თავის ხილვას. უფროსნი თავს კალთაში ჩაუღებენ გოგოს, რომელიც თითებით ქეჩავს თმას და შიგ ნაპოვნ ტილს გახარებული ცერის თითების ფჩხილებ შუა იქვე სკყლეტს. ამ დროს ისმის სამური ტკაცუნი და ახარებს ტილის პატრონის გულს, რომ მისი მტერის სინსილა სწყდება. ყოველ ტკაცუნზე შენდობას უთვლის მხილველის დედ-მამას: „უი! ცხონდა შენი მშობელი, გაიხარე ქალო გულითა“... ჰო და მაიმუნებმაც ასე იციან მყუდროზე, მზის გულზე დასხდებიან ხოლმე და ერთმანეთს თავს უხილავენ, არიან ერთს ქეიფსა და განცხრომაში...

ჩვენი უბედურება ის არის, რომ ერობას, თვით მართველობას ვართ მოკლეხული, თორემ თვითვეულ სამამასახლისოს განა გაუჭირდებოდათ აბანოს გამართვა!? თქვენ მეთაური ბძანეთ, თაოსნობა, თორემ ყველაფერი ადვილი მოსახერხებელია. ზოგ სოფელში 500—1000 კომლი მცხოვრებია, კომლზე ათი შაური რო გაიღონ, მშვენიერი აბანო აშენდება რუსული ტიპისა სასოფლო და საყოველთაო. კიდევ ათი შაური და აქვე აბანოსთან დავაარსებდი სასოფლო, საზოგადო ადგილს სარკცხის დასარკცხად. აბანო რო კვირაში ერთხელაც არი გაახურონ და კაცის თავზე ბანებაში და სარეცხის დარეცხაში თითო შაური გადაახდევინონ, ყოველ ხარჯსაც დაჰფარავს...

ჩვენში დღეს ბევრგან ჩაგვითვისლეს

ნემეცები, ღუხაბორები, მალაკნები და სხვ. ამათგან მაინც ავიღოთ მაგალითი როგორ ახერხებენ ესენი, რომ ყოველ სოფელს საკუთარი აბანო უქვევლად აქვს...

IV

რაც შეეხება წამლობას და წამლებს, უმთავრესი უკვე ვსთქვით: ესე იგი რაც შეიძლება ხშირად იცვალეთ პერანგი და მისი ამხანაგი და სარეცხი უოგეკლთვას მონაშეთ ხალხე ნაგარტუტაში. სარეცხის სითეთრისთვის საზოგადოდ მიღებულია, რომ მეორე საპნის შემდეგ (უკვე გარეცხილს) ხარშვენ ტუტაში (щелочи) — უფრო თეთრიც გამოდის და პარაზიტებიც ისპობიან.

აი წამლებიც:

1. მწვანე ჩვილი საპონი, Sapo Viridis.
2. სინდიკი ანუ ვერცხლის წყალი, Hydrarg. vivum.
3. სინდიკის საცხებელი Ung. Hydrargyri Cinereum.
4. პოლიტანი. Ung. Neopolitani.
5. ზეთი ბერგამოსი. Ol. Bergamoti.
6. ზეთი ლავანდულასი, Ol. Lavandul.
7. ფერა საბადილასი, Finct. Sabadill.
8. სულეიმანი Hydr. bichlorat, corras.
9. სპირტი საპნისა ჰებრასი, Spirit. Saponatus Hebra.

1. მწვანე ჩვილი საპონი.

Sapo Viridis. Зеленое мыло.

მოიკითხეთ აფთიაქში ანუ აფთიაქის მალაზიებში. გირვანქა ღირს 20—25 კაპ. მწვანე საპონი ფერად მოშავო მწვანეა, ჩვილია ბაქმაზივით და თავისებური სუნიც უდის. მზადდება საპნის ქარხანაში ორი ხარისხისა: ტენიკაში სახმარებლად და აფთიაქებისთვის, სამკურნალოდ სახმა-

რებლად, რომელსაც სუფთა მწვანე ფერი აქვს. ის უბრალო კი ქუჭყიანი ფერისაა, იმას ტანისთვის ნუ იხმართ.

მწვანე საპონი ისე სადათაც შეიძლება დიდის სარგებლით იხმართ თავისა და ტანის დასაბანად. ქალებს და ბავშვებს, ვისაც ნაზი კანი აქვს, მწვანე საპონმა შეიძლება კანი დაუსუსხოს, ამიტომ სჯობს დასაბნული ადგილი ორიოდვე წამის შემდეგ ჩამოიბანოთ თბილი წყლით.

2. სინდიკი (ვერცხლის წყალი).

Hydrarg. Vivum. Ртуть.

მწყემსი-მეცხვარეები ხშირად ყიდულობენ აფთიაქში ვერცხლის წყალს, რომელსაც ღუმის ქონში ჰკლავენ — დანის პირით ჰკეპავენ სინდიკს (ვერცხლის წყალს) ვიდრე ბრჭყვიალა მარცვლები ჩაკვდება. ამ სინდიკიან ქონს ტანზე იცხებენ ტილების დასახოცათ. ამ გვართვე სოფლის ქალები ხმარობენ ვერცხლის წყალს ჰინაში არეულს. თავში იცხებენ ტილისა და წილების გასაწყვეტად. ყოველივე ეს პრიმიტიული ხერხი მეტი წვალდება, თანაც მეტად საშიშოა რადგან ცოცხალი ვერცხლის წყალი ადამიანს სხეულში გაუჯდება ხოლმე, იშხამება, სხეულდება. *) პირდაპირ მოითხოვთ აფთიაქში მზა საცხებელი სინდიკისა, Сѣрая ртутная мазь. აბაზისა სრულებით საკმარისია. შგრამ წარსვით ტანზე მარტოოდენ თმით დაფენილ ადგილებზე, საკმარისია ერთხელ ან კიდევ მეორედ წასმა მესამე დღეს. აგრეთვე შეიძლება წილიან თმას ზედ წაუსვით წილებს მაგრათ. ასე ორჯერ რო-

*) ვერცხლის წყალი ანუ ლათინურად მერკური სისხლში ადვილად შეატანს ხოლმე და მკურნალობით იწამლება (Mercuriale отравление).

წაუსვით, სრულებით საკმარისია *). ბოლოს-საჭიროა აბანოში ან წინ ბანაობა ზემოდ დასახელებულ მწვანე საპნით, — ქაფდება ისე როგორც ჩვეულებრივი საპონი. ბანაობის შემდეგ ჩაიცვით სუფთა საცვლები, მოხარშვით გარეცხილი და ის არის და ის თავისუფალი ხართ ტილები-საგან მარადის უკუნისამდე. ასევე მოექცეით ჯღიბას და ორიოდ დღეში მოიშორებთ თავიდან მაგ საძაგელსაც.

აფთიაქში ამზადებენ საგანგებოდ ტილებისთვის და ჯღიბასთვის ერთ გვარ საცხებელს ჰოლიტანს, *Политань*. ეს საცხებელიც ისე იხმარება როგორც სინდიკის საცხებელი *Ртутная сѣрая мазь*, მაგრამ პოლიტანი მხოლოდ სიიაფის გულისთვის მზადდება, ზოგჯერ საიმედოც არ არის და თხუბენაც მეტია.

ვისაც თხუბენა გეზარებათ, იხმარეთ შემდეგი წამლები:

5. ზეთი ბერგამოსი.

Oleum Bergamottae. Бергамотное масло.

ერთხელ ან ორჯერ წაისვით ტანზე და თავზე, სადაც ტილი ან ჯღიბი გეგულებათ. ამ გვარათვე იხმარება ზეთი ჯავან-დუღასი. *Oleum Lavandulae. Лавандое масло.*

7. ფერა საბადილასი.

Tinctura Sabadillae. Настойка Сабадиллы.

საბადილა შხამიან მცენარეს ჰქვიან. ამის თესლს სპირტზე აყენებენ რამდენიმე

*) საზოგადოათ ფრთხილად მოექჩეთ ვერცხლის წყალს (სინდიკს) ამ პრეპარატს მერკური ეწოდება ღათიხურად. არამც თუ სადათ ხმარება ვერცხლის წყლისაგან მომზადებული საცხებელიც თუ ხშირად და ბევრი იხმარეთ სხეულს მოსწამლავს: დრძილები გასიფლება, ნერწყვი ბლომად სდის ზირიდან, კბილები და ზირი ფრს და სხვ.

დლით.— იყიდეთ აფთიაქში 20 — 30 კაბ. ჩაასველეთ შიგ ტილოს ნაჭერი და მაგრა წაისვით, დაიზილეთ ტილიანი თუ ჯღიბიანი ადგილი. სამი-ოთხი დღე რო ყოველ დღე წაისვით საკმარისია.

8. სულემიანი.

Hydrargyrum bichloratum corrosivum.

Сулема.

სულემიანი საშინელი საწამლაფია. აიღეთ ფეტვის ოდენა მარცვალი, ჩააგდეთ არაყის ქიქაში და ცოტ-ცოტა წყალი უმატეთ ვიდრე გაიხსნებოდეს და ქიქაც გაივსებოდეს. უკეთესი კია წყალის მაგიერად ოდეკალონი აიღოთ ან კიდე ფერას საბადილასი. მაგრამ ყოველივე ეს საშიშოა. სჯობს აფთიაქში მოამზადებინოთ. თუ აფთიაქი არ განდობთ ამ სწამლავს, ექიმს სთხოვეთ რეცეპტი. სულემიან წამლისა საკმაოა ერთხელ წასმა — ჯღიბაც მოგშორდებათ და ტილებიც.

საკუთრად თავისთვის (თმისთვის) დიდის სარგებლით შეიძლება იხმაროთ:

9. სპირტი სანისის ჰებრასი.

Spiritus Saponatus Hebra.

Мыльный спиртъ гебра.

ამ სპირტით დაიზილეთ თავის კანი და თმასაც წაუსვით თუ წიღები ახვევია. მერე თბილი წყალით ჩამოიბანეთ. მოკითხეთ აფთიაქში.

და თუ გეხალისებათ თქვენ მოამზადეთ: აიღეთ: მწვანე საპონი აფთიაქისა... 2 წილი სპირტი 90% (90 გრადუსიანი) 1 წილი აურიეთ ჯამში კოვზით და როცა საპონი გაიხსნას, ტილოში გაწურეთ და გაწურულს მიუმატეთ:

სპირტი ლავანდულისა 1 წილი. შეანჯღრიეთ და იხმარეთ. თავში ტილი თავის დღეში აღარ მოგეკარებათ.

აი კიდევ რეცეფტი.

აიღე: მწვანე საპონი 24 მისხალი, ჩვეუ-

ლებრივი მარილი 6 მისხალი. კარგათ აურიეთ და იხმარეთ საპნის მაგივრად ტანისა და თავის დასაბანად.

ბოლოს და ბოლოს თუ ნამდვილს მათქმევენებთ სულაც მეტია წამლებით თხუპვნა და სხეულის მოწამლვა. ხშირად იცვალოთ საცვლები, გარეცხის დროს მეორე საპნის შემდეგ მოხარშეთ ხოლმე ტუტაში და ამით გადარჩებით ყოველსავე ტილს და ბუგრს. საჭიროა მხოლოდ ჯლიბას წინააღმდეგ ბრძოლა. ჰო და იმ პაწაწა ადგილას, სადაც გაჩნდეს, იქ წაუსვით, მაგრამ ზემოდ დასახელებული რომელიმე წამალი.

ამით ვათავებთ ჩვენ ტილებზე ბაასს და ნუ გამირისხდებით, რომ ჩაგახედეთ სინამდვილის სარკეში. განათლება იმან დაიკვებოს, ვინც უშუმშვენიერეს და უშუმალლეს პოეზიასთან ერთად ახლოდ იცნობს ცხოვრების ყოველსავე წუმპესა და საქაგლობასაც. ცალმხრივად განვითარებული კაცი განათლებულად არ ჩაითვლება. ზედმიწევნით უნდა შეისწავლოთ ცხოვრების საპირეც და სარჩულიც. პოეზიის ღმერთამდეც ამაღლდით და პროზის ბინძურობაშიაც ჩაიხედეთ — თქვენ სიმაღლემდე ასწიეთ თქვენი უმცროსი მოძმე ადამიანი, გაუადვილოთ არსებობისთვის ბრძოლა.

თუ არა და სულაც საჭირო არ არის მალ-მალ უმცროსი მოძმე მოვიყვანოთ ხოლმე მაგალითად და მუნათი მოვახვიოთ მას თავზე. აი ცხოვრების სინამდვილე რა სურათს გვიხატავს: ერთმა სტუდენტმა იურისტმა მიაშმო თავის თავ-გადასავალი. თურმე საიდლანაც გადაჰკიდებია ჯლიბას,

თან სირცხვილი ჰკლავს და თან ჯლიბა მრავლდება, სიცოცხლეს უმწარებს. —

ერთ ღამეს სიმწვავისაგან ისე გავვიფიქრი, რომ ავანთე სანთელი და ჩემის ხელით დავწვი ის ადგილები, სადაც მტერი მეგულებოდა. დამწვარი ადგილები საშინლად დამიწყულულდა, მაშინ კი ვიკადრე და ჩემი დიდი საიდუმლო გაუშვლავნე კანის ავადმყოფობის პროფესორს. მთელი ათი დღე ვეწვალე, ვიდრე წყულულები მომირჩა და ადამიანურად სიარული შევძელი. ჰო და ესეც ილლიუსტრაცია იყოს.

რაც შეეხება შინაურ საქონელს, ტილი და ბუგრი ყველას დაეხვევა ხოლმე. წამლები იგივეა რაც ადამიანისთვის იხმარება, მაგრამ ეგ ძლიერ ძვირად დაჯდება.

1) აიღეთ უფრო უბრალო მწვანე საშინი აფთიაქისა, დაზილეთ ამ საპნით ტილიანი ადგილები და ცოტა ხანს შემდეგ ცხელი წყალით ჩამობანეთ. 2) მოხარშეთ წეკო (მახორკა) წყალში და ამნახარშით დაზილეთ, დაჰბანეთ ტილიანი ადგილები. — ერთ გირვანქა თამბაქოს წეკოს ორი ბოთლი წყალი დაასხით და იმდენი ხარშეთ, რომ ნახევარი ლა დადგეს და მერე გინდ ცხელი იხმარეთ და გინდ ცივი. 3) ხბორებს და გინდ ქათმებსაც შველის რწყილი კალიას ყვავილი, რომელიც მზათ დაფქული აფთიაქის მალაზიებში და აფთიაქებში იყიდება. იკითხეთ Персидский порошок ანუ Блошной порошок. ეს მტვერი ტილიან ადგილებზე დაყარეთ და ცოტაც დასრისეთ, რომ კანსაც მოხვდეს. ჩაატანოს.

ილ. ალხაზიშვილი.

(დასასრული იქნება)



სასჯელი და სკოლა

(დასასრული)

სასჯელი, რომელიც იხმარება სკოლაში, ხშირად არაფრით არის გადაბმული იმ დანაშაულობასთან, რომელსაც მოსდევს, ასე რომ დაუგვირგვინებელი და გონება გაუხსნელი ბავშვისთვის დანაშაულობა კი არ ხდება დამსჯელი საგნად, არამედ სულ სხვა პირი, მასწავლებელი: მერე შეიძლება შეცდომაში შევიდეს მასწავლებელი: მაშინ სასჯელი თავის მიზანს ვერ მიაღწევს და მოწაფესაც აამხედრებს მასწავლებლის წინააღმდეგ. საჭიროა მასწავლებელმა დააკვიროს, ჩაახედოს მოწაფეები თავის საქციელში, და უსიამოვნება თუ რამეა მისაყენებელი, მოწაფის შეგნებაში ჰარდაპირი კავშირი უნდა ჰქონდეს ჩადენილი დანაშაულობასთან. ბუნებრივი კავშირი უნდა იყოს დანაშაულისა და სასჯელს შუა; ამას ჰედაგოგურ ლიტერატურაში ჰქვია „დისციპლინა ბუნებრივ შედეგების“, „უპირატესობა ამ შეთოდის იმაში მდგომარეობს, ამბობს ბ. კოლდშტეინი, რომ ბავშვი ყოველთვის უფრო კონიკრად შოიქცევა, როდესაც თავისი საკუთარი დაკვირვებით გაეცნობა კარგსა და ცუდს შედეგებს თავისი მოქმედების, და რა კომოდის ცუდ შედეგებს თავის საქციელისა, ცოტად თუ ბევრად შეიგნებს სასჯელის სამართლიანობის, და რადგანაც სასჯელს არ ღებულობს პირდაპირ აღმზღდელობისგან, ბავშვი ბორტებით არ ივსება იმა წინააღმდეგ. დიდ როლს თამაშობს ბავშვის გასწორებაში დაკომბა ან მოწონება ბავშვის საქციელისა მშობელთა და აღმზღდელების მიერ“ სპენსერი ამბობს: „სასჯელი უნდა იყოს აუცილებელი შედეგი იმ მოქმედობისა, რომელსაც მოსდევს“ და როცა ამ აზრით სასჯელს მივმა-

რთავთ, უნდა ვიზრუნოთ, რომ ბავშვმა იგრძნოს სასჯელის სამართლიანობა, უნდა დავიცვათ ზომიერობა, ე. ი. იმაზე მეტი შეწყუება არ მივაყენოთ ბავშვს, რაც არ მოსდევს მის საქციელს და დავიცვათ თანდათანობა ე. ი. რაც ავკრძალეთ დღეს ხვალეც აკრძალული უნდა იქნეს, დღეს ნებადართული ხვალ არ უნდა ავკრძალეთ. ამას კიდევ არ დაერქმის დასჯა, ამ სიტუციის საკუთარი მნიშვნელობით. რადგანაც აქ მასწავლებელი კი არ აყენებს სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვას ბავშვს, არამედ ეს უკანასკნელი მასწავლებლის ჩვენებით ფიქრობს შეგნებულად, რომ უსაბოლოოა, რომელიც მას მიადგა, მისმა ცუდმა საქციელმა გამოიწვია.

ზევნ არ უარყოფთ დისციპლინის მნიშვნელობას და გვჯერა თქმულება, რომ სკოლა უდისციპლინოდ ისე არ ვარკა, როგორც წიქვილი უწელოდ, მაგრამ სასურველ დისციპლინად არ მიგვანჩის, ბავშვები დავსვათ, როგორც დაღურსმულები, და განძრევის ნება არ მივცეთ. ასეთი გაჭიმული მდგომარეობა პირდაპირ ჯოჯოხეთი იქნება ბავშვებისთვის და ძალიან ცუდი პირობა სწავლის შესაძენად. მასწავლებელი, რომელიც თხოულობს ისეთ სიჩუმეს, რომ „ბუზის გაფრენა ისმოდას“, მხოლოდ ბავშვების განუშუბას მოუნდება და რადგანაც გაკეთილი მიუტემულოდ არჩება, ცუდ გუნებაზე შეიქნება და ქუხილ-უღვასავით დაემცხრობა თავზე საწყალ მოწაფეებს. არ შეიძლება ვინმემ არ გაიფიქროს, ზოგს წიგნი გამოუვარდება, ზოგს კალამი დაეკარგება და ამ დროს თუ დასჯას ხელი მიჭუთ მასწავლებელმა, ისეთი საზარელი სურათი

კამოვა, რომ შემდეგ თავისთავის შეჭრებზე-
ბა.

ყოველ საქმეში, რასაკვირველია, წესები
საჭიროა; სასწავლებელშიდაც უნდა იყოს სა-
კუთარი წესები, უბრალო, მარტივი, გასაგე-
ბად გამოთქმული. ამ წესებს გაიგებს შვიდი-
რვა წლის ბავშვიც. როდესაც ვსთქვით, სამო-
ცი მოწაფე გვაფხვ, დაეღამარაკეთ მათ გასა-
გებ ენაზე და უველანი თუ არა, თმომცი მაინც
დრმად წაინერგავს გულში თქვენს სიტყვებს.
და ამგვარად შესდგება კლასის ერთგვარი
„საზოგადოებრივი აზრი“. თვითველ მოწა-
ფის ყოველივე მოქმედება, რომელიც აფერ-
ხებს მთელი კლასის მუშაობას, ერთხმად და-
გმობილი იქნება მასწავლებელთა ამხანაგობისაგან,
წინააღმდეგე კი — მოწინებელი. მართლაც,
ამის მეტი დაკვირვება უნდა მასწავლებლისა-
გან, მაგრამ ბავშვის გაღახვასაც, დაჩქებას,
უსადილოდ დატოვებას და მისთანებსაც ხომ
დროს დაკარგვა მოსდევს. უბრალო და უმნი-
შვნელო გამოვლენებს შეგვიძლია თითო თრ-
ლას სიტყვით გადავრჩეთ, ხოლო მანამუნელო-
ვანს საკმაო დროც რომ მოვანდომოთ, ამითი
არაფერი წაკვიხდება, სარგებლობა კი დიდი
გვექნება.

მოწაფეთა დახმარებით შეგვიძლია შევადგი-
ნოთ წესები, რომლითაც შეუძლიან იხელმძღვა-
ნელონ სკოლის გარეე ეზოში და სოფელში.
ყოველგვარი გადახვევა თვითველი მოწაფისა
ამ წესებისაგან უნდა დაგმობილ იქნას კლასის
საზოგადოებრივი აზრის მიერ. რასაკვირვე-
ლია, აქ ექნება ადგილი მასწავლებლის უკმა-
ყოფილების გამოცხადებას, ცივად მოკიდებას,
აგრეთვე ამხანაგებიც ადარ მოკიდებიან გაუს-
წორებელ დამნაშავეებს უმალანდულად. ამით,
ჩემის აზრით, შეგვიძლია გავსწოროთ, რა-
გორც ზარმაცები, ისე ხარბები, დორმუნე-
ლანი, ქურდები, ცინებას მიხვეულები, სხვა-
ბის შემწეულები. ძნელად გადაურჩება გაუს-
წორებელი ამგვარ მოზურობას რომელიმე ნა-

კიანი მოწაფე. სულ უკიდურეს ზომად შეგვი-
ძლია მივიღოთ მშობლის ან მზრუნველის
განცნობა ბავშვის საქციელთან. აქ მხოლოდ
უნდა გავიგოთ, ვის უფრო ჰპტივს სცემს
სასლში მოწაფე და ვინ ზრუნავს მისთვის,
და ვისთან ურცხვენა ძალზე შეწუხებას მას.
როცა გამოცხადება მას რომ ეს სასჯელი
მოეფის ამა და ამ დანაშაულისთვის. მაშინვე
სიტყვას მოგვცემს გასწორებისას. მე ამნა-
რად გავსწორე ერთი მეტად აბეზარი, ზარ-
მაცი და მოუსვენარი მოწაფე, რომლის გას-
წორების იმედი ადარავის ჰქონდა. ამაზე უკი-
დურესი საშუალება სახალხო სკოლაში არ
დაგვჭირდება, სადაც ბავშვები თხუთმეტ წლი-
საზე მეტნი არ მოიზრებიან, წინააღმდეგ
შემთხვევაში პატროლოგურ ტიპთან გვექნება
საქმე. მასწავლებლებს ნდობა უნდა გვქონდეს
ჩვენი მოწაფეების, მისი უქონლობა ძალიან
გვაფხვს, ნდობით რომ მოვეკიდები ადამიანს,
ის მის გამართლებას ეცდება. რცემუჭა, გაწ-
ურთა და ათასგვარი სხვა სულიერ-ფიზიკური
სასჯელი კი სწობს ნდობას და აწლუნებს
სინიღისს.

დისციპლინა ბუნებრივი შედეგებისა ეს გა-
ხურებული კენია, რომელსაც ბავშვი ერთჯერ
მიეღვა და მეორედ აღარ წაკვარება, აქ დიდ
როდს თამაშობს თავად დაკვირვება, თავისი
გრძნობანი, აგრეთვე შიში საქციელის მოსა-
ლოდნელ შედეგებისა და სირცხვილი მშობელ,
მასწავლებელ და ამხანაგების წინაშე. აი რამ-
დენიმე მაგალითი ჩემი საკუთარი დაკვირვე-
ბიდან, რომელიც ხალას ჭეშმარიტებას შეი-
ცავს.

სემინარიაში ვსწავლობდი. ერთხელ დილით
საკვირველი სურათი ვიხილეთ: ვიღაცას წიკ-
ნები და სხვა სასწავლო ნივთები იატაკზე
გაეშალა კლასებში. მასწავლებლის ოთახში
შკაფის კარები ღია იყო, წიგნები ანტრეული,
აგრეთვე ცოტათ გადაბუფი იყო ის ფანჯრის

კარი, რომელიც ქუჩისკენ გადაიდა. ვიფიქრეთ, ალბათ ვინმე გადმოვიდა ქუჩიდან, და კლასებიც იმან არიან, თუმცა გვივირდა, ვის რად დასჭირდა ამ საქციელის ჩაღება, რადგანაც, როგორც მასწავლებლებიც ირწმუნებოდნენ, იმათ ოთახიდან არაფერი დაკარგულიყო. იმ სდამოს გამიხმო ცალკე მეგობარმა მასწავლებელმა და მითხრა: „საიდუმლოდ კი უნდა დარჩეს, მაგრამ გენდობი და გეტყვი, რომ წუხელის მასწავლებელ მისათვის პალატას ჯიბიდან ოცი მანეთი მოუპარავთ ოთახში; ეჭვი ერთს მოწაფეზე მიიტანეს, და ფიქრობენ, წიგნებიც იმან მოაქაჩა კლასებში, რომ თავ-გზა აკრია ჩვენთვისაც“. იმ დღეს სდამოს მოახდინეს ჩხრეკა მოწაფეების საწოლ ოთახში დირექტორის მეთაურობით, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს, მხოლოდ მასწავლებლთა შკაფის გასაღები კი უპოვეს ერთ მოწაფეს, რომელიც არ ტყუებოდა და ენერგიულად თავს იმართლებდა. მაგარი ზომები იქნა მიღებული დამნაშაის აღმოსაჩენად, და იმის ხმა კიდევ არ გამოსულა, რომ ფულები იყო მოპარული. ამ დროში, რადგანაც საქმის ვითარება ვიცოდი, თვალყურის დევნება დაუწყე იმ მოწაფეს, რომელიც მასწავლებელმა მითხრა, და დავრწმუნდი, იმის უოფა-ტევიის მიხედვით, რომ ის ამ შემთხვევაში სრულიად მართალი იყო. შემდეგ უერადღება მივაქციე იმ მოწაფეს, რომელსაც გასაღები უპოვეს, ის წინადაც შენიშნული იყო ქურდობაში, მაგრამ ვერ დაუშტაიციეს, მე შევატყვე, რომ ის ორი დღის განმავლობაში თვალ და თვალ ჩამოხმა, ღამე მოუსვენრად იყო და დღე ამხანაგებთან უოფნას გაურბოდა. ისეთ მდგომარეობაში გხვდავდი, რომ ცხადი იყო, დიდ სულიერ ტანჯვას განიცდიდა. ერთ ღამეს, დიძინების წინ, მოვიდა ჩემთან იმ მოწაფის უფრო მახლობელი მხანაგი და დამწუხო ღაპარაკი იმის შესახებ, ათუ ვინ იქნებოდა ამას წინაღ კლასებში ქა-

ღაღლების ამრეგ-დამრევი. „შენ კი იცი, ვიღაც იყო, მაგრამ არ ამხელა!“ — „ოჰ ვიცი“ განკებ ვუთხარი მე, რადგანაც მინდოდა მეთქმევირებინა, რაც იცოდა. „რა კაცია ეს M?! შავის გასწორებას არაფერი ეშველა, იმ დღეს ის ამბავი მაგას დაუწვევია და ოცი მანეთი მოუპარავს... ისთვის“. „მერე შენ რა იცი?“ დავეკითხე. „როგორ არ ვიცი, თვითონ მითხრა, და დიდათაც იტანჯება“. მე ვუთხარი: „გამოტყდეს დანაშაულობაში, დააბრუნოს უკან ფულები და აღარც სინიღისი შეაწუხებს მეთქი“ — „კი მაგრამ, ის ამბობს, თუ გამოძრინებენ, ამ ფულს მაინც არ გამოვჩენ და შემჩნებო“. ვუთხარი: „თუ უკან დააბრუნებს ფულს, ბარემ დააჩქაროს, წადი და მოელაპარაკე, მე კი ვეტყვი ისე მოგწყო საქმე, რომ არ გააგდონ სემინარიდან“. იმ დღეს მორაგვედ იყო ზანსიონში ჩემი მეგობარი მასწავლებელი, შევედი და უთხარი დაწვრილებით ვეკლაფერი და ვსთხოვე, თუ შეიძლება ისე გაკეთებია საქმე, რომ დამნაშავე მოწაფე არ გამოერიცხათ. მასწავლებელი შემხიბდა და მითხრა: „მოიტანოს ქურდმა თავისი მოპარული ფულები და ჩუმიად ჩაიდოს ჩემი პალატას ჯიბეში, რომელიც აქ იქნება დაკიდებული და დანარჩენს მე მოვასერებო“. როგორველით მასწავლებლის ოთახიდან, შევხედე, ამხანაგის თანხლებით გამოსულა ქურდი საწოლიდან საცვლების ამარა, თავშიშველი და ცანცან-კანკალით მიდის ეზოს პალატა ბადისკენ. მეც თან გავევი, მთვარის შუქზე ხეების დანებლებულ ჩრდილებში მკვებისრე, შეშფოთებული ატყებდა თვალებს აქეთ-იქით და აფათურებდა ხელებს. მისი უერადღება გაფანტული იყო. ჰა აკერ ვინმე კიდევ გამოიგებს და სულ დავიღუპებიო! ალბათ ამას ფიქრობდა. მოსძებნა, უორეში შეესახა ფული; მაგრამ ვერ ნახა. „აქ აღარ არის, ვიდაცას წაუღია, რაგჭნა, რადა მეშველება!“ გურჩიეთ, კარგად დაეძებნა. ბოლოს ნახა, მაგრამ მას-

წაგლებლის ჰალტოსაკენ ვერ წაიღო, მე მო-
 მახეა სელში მასწავლებელზე გადასაცემად.
 მეც ავესრულე თხოვნა, ქურდი კი სწოლ
 ოთახში წავიდა. იმ დამეს რომ დაგწევი და
 ის არის, მეძინება, მოვიდა ჩემი მეგობარი
 მასწავლებელი და გამიხმო მითხრა: „მე ფიქ-
 რებმა აღარ დამაძინეს, იმ უმსგავსებ ბიჭმა,
 სულ სიტუდე არ ჩაიძინოს, თვითონ არ გა-
 დაფიცოს და შენ არ გადმოგაბრალოს“.
 ვიფიქრეთ, როგორ მოვიტყუეოთ. ბოლოს
 მიბრძანა: „დამიძახე ქურდს ჩემს ოთახში!“
 ავაქენე და გავგზავნე მასწავლებელთან. როცა
 გამოვიდოქიდან, მასწავლებელმა მითხრა:
 „დანაშაულს აღიარებს და სიტყვას იძლევა
 გასწორებისას, მეც ისე მოვიტყუევი, რომ არ
 დაითხოვონ, მხოლოდ სასუბი მექნება, თუ
 რამე დაიკარგა ამის შემდეგ, პირველად მა-
 გას დაგადებ სელს, ამაში კიდევ გავეფრთხი-
 ლეო“. ეს იყო და ეს. იმ დღეს აქეთ კიდევ
 წელიწად ნახევარი სწავლობდა ის უმაწვილი
 სემინარიაში და, როგორც გადმომცა პატივ-
 ტემულმა მასწავლებელმა, ის ქურდობაში აღარ
 შენიშნულა.

მეორე მაგალითს სახალხო სკოლის ცხოვ-
 რებიდან მოვიყვან. ერთხელ გაკვეთილები რომ
 გათავდა, ბავშვებმა დიდის ამბით მომიყვანეს
 ერთი პატარა მოწაფე, რომელსაც შუბლზე
 სისხლი ჩამოსდიოდა. ბავშვი მწარედ სტი-
 როდა და ცრემლები სისხლს ერეოდა. იქით
 მეორე ჯგუფს ბავშვებისას მხარ გაკრული
 მოყვდა მეორე ბავშვი, მთლად გაფორებუ-
 ლი. როგორც ამიხსენს, ამ დავალებულ ბავშვს
 ქვა გაესროლა და მოერტყემა ამ პტირებუ-
 ლისთვის. მე დამნაშავეს არ გავწერო მიჯარ.
 მხოლოდ დაუძახე ყველა ბავშვებს და აფხ-
 სენი, თუ ზოგიერთ ცელქობას რა უბედურება
 მოსდევს მეთქი და ვერჩიე, არ დავიწყობო-
 დათ ეს შემთხვევა. ორი წელიწადი გავიდა
 ამ შემთხვევის აქეთ, და იმ ბავშვზე მას შემ-
 დეგ აღარავისგან საჩივარი არ შემოსულა.

ჩემს სკოლაში კიდევ ამგვარ ფაქტს ჰქონ-
 და ადგილი. „მოჰკლეს პატარა ბავშვი! მოჰ-
 კლეს!“ ავირდნენ ბავშვები. გავვარდი და
 რას ვხედავ? ერთს პატარა მოწაფეს თავში
 სისხლი გამოდის, მეორე კი ისე ღრიალებს,
 რომ იქაურობას აერუებს. ეს თურმე დასჭი-
 დებია იმ ბავშვს, რომელსაც ახლა თავი აქვს
 გატეხილი, და დაუცია. ვუთხარი ჩემთან მო-
 სულიყო. იმან უფრო და უფრო მოემატა ტი-
 რიღს. მოჰკიდეს ბავშვებმა ხელი, მაგრამ
 იქვე ჩაეცა. მივედი და აღერსიანად დაუწევე
 ლაპარაკი, და ენა ამოვადგევიე. მითხრა:
 „ერთმანეთს დავეჭიდეთ, და ის კი არ მიზ-
 დოდა, რომ თავი გატეხოდაო“. მე აფხსენი
 იმას და სხვა მოწაფეებსაც, თუ რა მიზნით
 დადიან ისინი სკოლაში, რომ ჭიდაობა და
 ერთმანეთის გადახვა არ უნდა იყოს მოწაფე-
 ების საქმე. შედეგად ვატუობ, რომ ეს პატარა
 დამნაშავე ბავშვებში აღარ ჭიდაობს და შე-
 დარებით წუნარად იქცევა.

ამ დღეებში ჩვენს სკოლაში ერთი საინ-
 ტერესო ამბავი მოხდა. რომ დადგა მეოთხე
 გაკვეთილი, შევამჩნიე, ორი მოწაფე აკლდა,
 რომელნიც წინა გაკვეთილებზე კი იყვნენ.
 ბავშვებმა მითხრეს, ისინი ვარედ მოშორებით
 კალმაობდნენ და ალბად ზარის ხმა ვერ გაი-
 გნესო. მე არ გავგზავნე იმათ მოსაყვანად
 და შეუდექი გაკვეთილის ასსნას. რომ დარჩა
 ათი წუთი გაკვეთილის გათავებამდის, შემო-
 ვიდა ჯერ ერთი და მერე მეორე და გაემაკ-
 თნენ თავის ადგილებისკენ. შევჩერე ორი-
 ვე კლასის შუაგულში და პირი მოწაფეების-
 კენ ვაქნევიე. შემდეგ შევეკითხე მთელ კლასს,
 თუ რას ფიქრობდნენ ისინი ამ საქციელის
 შესახებ. უველამ ერთხმად დაჰკმე და სთქვა:
 „ღმერთმა ნუ ჩავგადენინოს მაგისთანა სირ-
 ცხვილიო!“ მაგრამ ჩემი შეხედულებით ეს
 იმათ სასჯელად არ ეუფოდათ და გადაწევი-
 ტე, მიმეყენებინა მათთვის მატერიალური
 ზარალი, წამერთმის კალმები, რომლითაც თა-

მაშობდნენ. მოვსთხოვე, დაფიცეს, არ გვაქვსო. წინადადება მივეცი ერთ მოწაფეს, გაეხსრებინა ისინი. მიუსვ-მოუსვა ხელი ტანისამოსზე, მაგრამ ვერაფერი უნახა. ამით არ დავკმაყოფილდი, როგორ არ ექნებოდათ კალმები! მაშ რითი იკალმავს? მოვსთხოვე ერთს უფრო ენერგიულად. „შე არ მაქვს, ბატონო, მაგას აქვსო!“ მიათითა მეორეზე. მეორემაც ასე სთქვა და გამოტყუეს ერთმანეთი. მეწეინა სჯობდა, რომ მატყუებდნენ მოწაფეები. მოგვიდე ხელი ერთს, გავაძვირე ჩოხა, შეგხსენი ქამარი, დაგუხსრიკე ჯიბეები, ხელი ამოუყსი ილღიებში, ვერაფერი ვერ ვნახე, მერე ხელი შეუყავი ჰერანგში, რომელიც შარვალში ჰქონდა ჩატანებული და ხელში მომეფა კალმებით სავსე პორტმანი. „დაფიჭირე! დაფიჭირე!“ წამოვიძახე, ბავშვებმა კვირის დასცხეს და დამხსეს: „გაი სირცხვილო!“ ... მოწაფემ კი თავი ჩადუნა. ახლა მეორეს მივდექი, ის უფრო დიდ უარზე დადგა, მაგრამ დაჭერილმა სთქვა: „მაგან კალმებით კოლოფი გაავსო და სამი კაპიკი იფულიც მომიტოო!“ განვაგრძე ჩხრეკა, ძლივს ძლივობით მივაგენ კალმებიან კოლოფს, ისე შეენახა, რომ კაცს აზრად არ მოუვიდოდა: ჰერანგის ამხანაგის სათავეში ჩაეღვა და რამდენჯერმე გადაეხვია. ბავშვების კმაყოფილებას სჯობდა არ ჰქონდა. დავაწინარე ბავშვები და დამნაშავეებიც დავსვი თავის ადგილზე, ორივემ დაიწოტირილი და არ განუშებულან იმ დღეს. ბავშვებს წინადადება მივეცი დაეწათ იმ გაკვეთილზე მომხდარი ამბავი. სიამოვნებით შეასრულეს საწერი და სურთო აზრი გამოსთქვეს: „ასეთი საქმის შეხვედრას, სიკვდილი გვირჩევნიან“. ჰატარა ბრალდებულები კი ამის შემდეგ წესიერად დადიან გაკვეთილებზე და კალმობაშიღაც სხვა არავან დაგვიჭერია.

ჩემის აზრით, სწორედ ეს არის დისციპლინა ბუნებრივი შედეგებისა, და ამაზე უფრო ზირდავი იარაღი სხვა არ არის, რად-

განაც გასწორა ისეთი, რომელიც გაუსწორებლად იუვნენ მიხეუენი. სსჯელი კი ვერ გასწორებდა, რადგანაც შიში დახრდილავდა საქციელის შინაარსს; რისი ბრალიცაა, ვინც ვეკლავს უფრო ილასება, ის ვეკლავს უფრო ზარმაცი, აბეზარი და უმისგავსი გამოდის. დასჯა არავის არ ასწორებს, ვინც ბუნებით წინარია, იმას არც კი სჭირდება. სხვას კეთილი სიტყვა და მაგალითი თუ მთარჯუნებს.

„მასწავლებლის მაგალითი, ამბობს კერი, ფრად შესამხნევად მოქმედობს მოწაფეებზე. ბავშვები სწორედ ისევე იტავენ რჩევას და წესს ვეკლავთ, როგორც იმათი მასწავლებელი, ისინი ღმობიერნი, კეთილის მსურველნი, თავაზიანნი და უურის შგდებულნი არიან, თუ მასწავლებელი ევიდებს მათ ღმობიერად, სამართლიანად და გულახდილად, ისინი მხიარულნი, კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან, თუ ის მხიარული, კმაყოფილი და ბედნიერია. წინააღმდეგ შემთხვევაში (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა სასწავლო პრაქტიკაში) თუ მასწავლებელი მოუხეშავია, ის ყოველთვის ჩივის თავის მოწაფეების მოუხეშობას. უწესრიგო და ზარმაცი ყოველთვის ებრძვის სიზარმაცეს მოწაფეებისას. როგორც მასწავლებელია, იმნარია მოწაფეებიც. სადაც მასწავლებელი ღაზარაკობს კანონების შესახებ, რომელთაც თვითონ გაურბის, სადაც სჯის ისეთ შეცდომებისთვის, რომელთაცანაც თვითონ არ არის თავისუფალი, იქ მეტად სეკსვია ბავშვების რიგისი აღზრდა.

ვეკლა გმობს სსჯელს, სსწროდ სცნობს მის შემტირებას, მაგრამ სსჯელი მტირეც სსჯელია, და როცა მის ხმარებას მიჭეოთ ხელს, უფრო მეტად გაიზრდება, და თვინიერ აღმზრდელის ნაცვლად თქვენ განდებით მხეცი. ამის საუკეთესო ნიმუშს იძლევა კანონების მოთხრობა „მასწავლებლის აღსარება“. ვინც შესდგა სსჯელის გზაზე, ის ვეღარ

შესძლებს შეჩერებას; რაც უფრო მეტს სჯის, მით უფრო მეტი არ ასრულებს მის სიტყვას“ და რადგანაც ასეთი მასწავლებელი თავის თავს ბავშვების განუსაზღვრელ მბრძანებლად სთვლის, მის მოთხოვნებსაც უფრო და უფრო მკაცრი ხასიათი მიეცემა. ამას შეზინიშნავად ხატავს იგივე კახანტევია: „ჩემი სიტყვა კანონად ხდებოდა, ჩემი ნება თხოვლობდა უცდილობელ მორჩილებას. და რადგანაც მაღალნი, ზრბუნებრივნი და მით აუსრულებელნი იყვნენ ჩემი მოთხოვნილებანი, მე იძულებული ვიყავი მესაჯუნა, რაც უნდა ვოფილიყო“. წაიკითხეთ ეს მოთხრობა და შეკეშინდებით თქვენივე მოქმედების, თუ ჯერ კიდევ ხელი არ აციდით ბავშვების დასჯას. არც დაცინვას მასწავლებლის მიერ მოწაფისას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. „საზოხდრობას, ამბობს კახანტევია, ბავშვის გაქირავა. მასწავლებელი ეძებს და ზოულობს რამე სასაცილოს ბაღლის სახესა, მოფხანლობასა და ტანსაცმელში. ბავშვები ხარხარობენ, და ბავშვი ვი, რომელიც დაცინვის საგნად გამსდარა, თავის თავსაც გაიმეტებს სასიკვდილოდ, ოღონდ გადაჩქეს მასხრად აგდებს“. „საზოხდრობას გაქირავა, მაგრამ უფრო საზოხდრობას ფიზიკური წამება, რომელიც უამრავ და ხორგულაზე უფრო ძლიერ ღუზავს ნორჩ სიცატხელს, ეს იარა ჰქვავს სულს, და ადამიანი, გატეხილი, გაბაროტებული სულით, თავის რიგზე, როცა გასდება მამად, მოქალაქედ, — გამრფუნელად მოქმედობს ახალთაობაზე, იმ საზოგადოებაზე, რომელშიდაც ტრიალობს“.

რასაკვირველად, მასწავლის გადაცემა დისციპლინის უარყოფას არ ხიზნავს, ზარიქით, თუ ის არ იქნა კლასში, იქ რამე საერთო წარმატებაზე ფიქრიც შეუძლებელია, მაგრამ დისციპლინის დაცვა შეიძლება სასჯელის გარეშეც. ამისთვის საჭიროა ბავშვებს კვანთო უბრალო წესები, მაგალითად, ვეკლას ჰქონდეს მომზადებული რეკულები, საწერ-კალმები, სამელნები და სხვა, რომ არ დასჭირდეს

ერთმანეთისგან ნათხოვრობა და ხმაურობის ატეხა. ამას გარდა, საკმაოდ პავშეს მისცეთ სამეოფი და დასაძღვევი თავისით სამუშაო მასალა, რომ ვეღარ მოიცადოს საეშმაკოდ და მაშინ დასჯა სრულიად საჭირო აღარ იქნება. თავის თავად ცხადია, რომ სასჯელს არ უნდა ჰქონდეს ადგილი სწავლის გადაცემის დროს. უშინსკის ტირადები სასჯელზე და მისგან გამოწვეულ შიშზე, დარწმუნებული ფართ, გულის ხმაში ჩაგდებს ვეკლას და გონიერ გზაზე დააყენებს. საქმე ისაა, რომ სასჯელი ადვილად შეკვიდილია არ ვახმაროთ ვოველ შემთხვევაში. მაგალითად, ჰქვავს მასწავლებელს სამი განუოფილება, ორს მისცემს თავისით სამუშაოს და ერთთან თვითონ იმეცადინებს. მხოლოდ საჭიროა მიექცეს უურადლება ზოგიერთ გარეგან წესებს, რაც მოწაფეებს ხელს შეუწყობს სამუშაოს ასრულებაში; დანარჩენებზე უნდა მოვიქცეთ ასე: მასწავლებელს უნდა მკაფიოდ ჰქონდეს გაკვეთილის მიზანი თავში და საშუალებანი ამ მიზნის მისაღწევად, უნდა მიიზიდოს მოწაფელთა უურადლება, ცოცხალი სიტყვით, თვალსაჩინოებით და, რაც უმთავრესია, საკუთარი გატაცებით, მარტოვი, ადვილად გასაკები და სახალისო გახადოს გაკვეთილი. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საქმის სიყვარული. „თუ მასწავლებელს საქმის სიყვარული აქვს, ის კარგი მასწავლებელია“ ამბობს ტოლსტოი. ამიტომ მასწავლებელს დასჭირდება ზედმეტი შრომა, მაგრამ არ უნდა დაგვაიწვიდეს შემდეგი სიტუებები: „რამდენად ადვილია მასწავლებლისთვის სწავლება, იმდენად უფრო ძნელია მოწაფისთვის სწავლა. რამდენად მეტ შრომას თხოვლობს მასწავლებლისაგან სწავლება, იმდენად უფრო ეადვილებათ ბავშვებს“. „თუ ვსურს — განაგრძობს ტოლსტოი, შეინიერებით აღზარდო ბავშვი, გაუფარდეს შენი მეტნიერება და გესმოდავს იგი, და მოწაფეები შეგიყვარებენ შენ და მეტნიერებასაც, და აღზრდი მათ, ხოლო თუ შენ ავითონ არ გიყვარს

იგი, რაც უნდა დაძალად ბავშვებს მისი სწავ-
ლა, მეცნიერება არ მოახდენს აღმზრდელო-
ბით გავლენას“.

მოკლედ გაკვეთილების მიტევის შესახებ
ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ უშინსკის
სიტყვები: „ა) მთელი სწავლა უნდა სრულდე-
ბოდეს კლასში არა მხოლოდ მასწავლებელთან,
არამედ, თვითონ მასწავლებლის მონაწილეო-
ბით, სახლში დასასწავლ გაკვეთილის და სა-
მუშაოს მიუხედავად; ბ) განუწყვეტლივ უნდა
მეორდებოდეს ძველი და თვითივე განმეო-
რებას უნდა მიემატოს ახალი; ასე რომ ყო-
ველი ახალი უსათუოდ აშენდეს ძველზე; გ)
რაც შეიძლება ჰატარა ყოველ-დღიური გაკვე-
თილი“. თუ ჩვენ ამას შევასრულებთ, აღარ
დაგვჭირდება ბავშვების დასჯა, რადგანაც
თითქმის კლასშივე დასწავლიან გაკვეთილს.
აქვე არ შეიძლება არ ვსთქვა, რომ ძალიან
ცუდი ჩვეულებაა გაკვეთილების სახლში მიტე-
ვა დასასწავლად, განსაკუთრებით ჰატარების-
თვის. უმრავლეს შემთხვევაში, გაკვეთილებზე
მასწავლებელი ვერას აკეთებს ბავშვებს და
ამიტომ ჰმარჯავს მას სხვა და სხვა ზეპირ
და საწერ საშუალებით. და ამას სჩადიან,
არა მარტო მასწავლებელნი, რომელთაც ორი-
სამი განუოფილება ჰქვავსთ და კიდევ შეუძ-
ლიათ რამე სთქვან თავის განსამართლებლად,
არამედ ისინიც, რომელთაც მხოლოდ ერთი
განუოფილება აბრიათ. აქ არის სათავე ჩვენი
მასწავლებლის ზარმაცობისა და ჩამოკლებილ-
ობისა. გაკვეთილის ისეთ მიტევას, რომ მოწა-
ფეებმა კლასშივე შესძლონ მათი დასწავლა,
რასაკვირველია, დიდი შრომა დასჭირდება.
მაგრამ სამაკვიროდ, რა კამოფილებას იგრა-
ძნობენ, როგორც მასწავლებელი, ისე მოწა-
ფენი! აღარ დასჭირდება მასწავლებელს, სას-
ჯელს მიმართოს, მიუნიჭოს ბავშვს დაწოქება
ან უსაღილოდ დატოვება, ეს „ბესაბედა“,
რომლის სახელიც ასე ცნობილია ჩვენ ხალხ-
ში, და რომლის დროსაც მოწაფეები, მასწავ-
ლებლის ეურადღებას მოშორებულნი, ცელქო-
ბაში ატარებენ დროს, და თუ დღეს არ იცოდ-

ნენ გაკვეთილი რომელიმე საპატიო მიზნის
კამო, ხვალ არ ეცოდინებათ იმიტომ, რომ
მასწავლებელმა ისინი დადამებამდის სახლში
არ გაუშვა. დროა ურთივე და სამუდამოდ
მოკლეს ბოლო ისეთ სულელურ და უშედეგო
საშუალებას, როგორც არის „ბესაბედათ“
დატოვება.

თუ მოწაფე ვერ ასწრებს განსაზღვრულ
დროს განმავლობაში გაკვეთილის შინაარსის
შეთვისებას, დასტოვოს მასწავლებელმა გაკვე-
თილებს შემდეგ, მაგრამ უზატრონიოდ კი ნუ
დაცდება, არამედ თვითონ იმეცადინოს მას-
თან და ეცადოს დასწიოს სხვა ამხანაგებს.
რასაკვირველია, ასეთი მოქცევა შრომის მო-
ითხოვს მასწავლებლისაგან, მაგრამ ზნეობრი-
ვად ხომ დაჯილდოვდება მასწავლებელი, და
ამისთვის დიან კაცმა ზოგჯერ უძილოდ
მთელი დამეები გაატაროს. ვინც ცანობილია
ჩვენი ხალხის ცხოვრებას, იცის, თუ, რა
ძნელია მოწაფეებისაგან სახლში გაკვეთილე-
ბის დასწავლა. ოჯახში მრავალი საქმეა, ძალა-
უნებურად უნდა გააკეთებინოს სკოლიდან მო-
სულ ბავშვსაც. ბევრს მოწაფეს სახლში სან-
თელიც არ აქვს, არც მაგიდა, რომ ზედ
იმეცადინოს. მეორე დღეს რომ არ ეცოდინ-
ნოს, რა დასაძრახავი იქნება. და თუ კლას-
შივე მოვახერხებთ გაკვეთილების დასწავლას,
თავისთუფად დროს სახლში ბავშვები სასარ-
გებლო წიგნების კითხვას მოანდომებენ და
სკოლის მიზნების მიხსვევა ერთი ათად გაკვი-
რდებულა. მაშინ სკოლა იქნება ისეთი მიმ-
ზიდველი დაწესებულება, სადაც ბავშვები დი-
დი სიხარულით ივლიან და შეიძენენ ხანძვილ
ადამიანობას. სწავლის გათავების შემდეგ კი
ყოველთვის მადლობის გრძნობით მოიგონებუ-
ბენ თავის საყვარელ მშობლიურ სკოლას,
იქნების მასთან გადამბულნი სულიერი კავში-
რით და ეცდებიან მის გაუმჯობესება-გამშუ-
ნებას თავისდა სასახლოდ და საკეთილდღეოდ.

სავლე აბულოძე.

ებრაელების სტრატეგია ომის დროს

(„დაბადებიდან“)

სანამ აღთქმის, ქანანის ქვეყნის დასაპყრობად შევიდოდა ებრაელების მთავარ-სარდალი ისუნავენი, მანამდის იგი დაბინავდა ქალაქს სატხსა, რომელიც ჰშორავდა ქანანის ქვეყნის საზღვარს, იორდანე მდინარეს, $2\frac{1}{2}$ საათის სასიარულო მანძილით; იორდანედან იერიქომდი კი 2 საათის სასიარულო იყო, იორდანეში გასვლასაც მოუნდებოდნენ ერთს საათსა. აქედამ ისუმ გააგზავნა ორი ჭაბუკი დასაზვერადა იმა ქვეყნისა და იერიქოსა. როდის გააგზავნა მან ეს ორი ჭაბუკი, იმ დღეს, როდესაც უნდა გასულიყვნენ იორდანეში, თუ მანამდის, ეს დაბადებაში არა ნათქვამი. მათი მისია იყო ხალხის გაუგებლად, **საიდუმლოდ**. აქედან ამ ჭაბუკთ უნდა გაეგოთ რა მდგომარეობაში იყო ის ქვეყანა და იქაურნი მკვიდრნი. ჭაბუკნი მივიდნენ პირველად მებაჟი რააბის სახლში, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ზღუდის, გალავნის პირად. ასეთი სახლი მათ იმისათვის აირჩიეს, რომ არავის აეღო ეჭვი მათ ვინაობაში, პირველად და მეორედ, აქედამ, როგორც ქალაქის განაპირა ადგილიდამ, ადვილი იყო მთელი ქალაქის და მისი არე-მარის დათვალიერება. თუმცა ჭაბუკთ ისე უნდოდათ მოეწყობათ საქმე, რომ მათი მოსვლა არავის გაეგო, მაგრამ გაუგებელი აბა რა დარჩებოდა! იმ ქვეყნის მეფეს მოახსენეს მათი მოსვლა და მიზანი იქ დარჩენისა. თუმცა მათი მოსვლა გაუგებელი არ დარჩა, მაგრამ რააბის მოსაზრებამ გადაარჩინა იგინი სიკვდილს. რააბმა რომ გაიგო იქაური მთავრობის გან-

ზრახვა, — ჭაბუკთ შეპყრობა, — მაშინვე მიიღო ზომები რიმენაირად თვის სახლში დაემალა იგინი, რომ მდევრებს ვერ ენახათ. მეფისაგან მოგზავნილ შიკრიკთ, რომელთაც უნდა შეეპყრათ ჭაბუკნი, რააბი მიეგება წინ და გადასცა მათ: თუმცა ჩემთან მოვიდნენ იგი ჭაბუკნი, მაგრამ მე არ ვიცოდი საიდან იყვნენ და რა მიზნით მოსული; იგინი აქ დიდს ხანს არ გაჩერებულან, ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდნენ უკან, ქალაქის ჭისკრები მათი წასვლის შემდეგ დაიკეტა, ასე რომ მე მათი ასავალ-დასავალი მას შემდეგ აღარ ვიცი; თქვენ მაინც იმედს ნუ დაჰკარგავთ, გამოედევნეთ უკან, შესაძლოა დაეწროთ სადმე და შეიპყროთო. ამ სიტყვებით რომ მდევრები გაისტუმრა რააბმა, მერმე ჭაბუკებთან მიიქრა, საჩქაროთ მოჰკიდა ხელი მათ და აიყვანა ტალავერში, სადაც უნდა დაემალა სელის ძნებში, რომლებიც იყო დაზვინული ამ ტალავერში; განთიადისას იგინი უნდა მსწრაფლ გასულიყვნენ ქალაქიდან და შორს, მთაში შემალულიყვნენ, სადაც უნდა დაეყოთ სამი დღე და ღამე, რომ მდევართ არ მიეგნოთ. რააბმა ამნაირად მზვერა-ე-ჭაბუკთ ასეთი სიკეთე უყო, სამაგიეროთ მოითხოვა მათგან, როდესაც ებრაელები მოადგებოდნენ ამ ქალაქს ასაღებად და დასაპყრობად, თვითონ იგი და მისი მშობლები შეილგებითურთ, უნდა გადაერჩინათ აოხრება-აკლებისა და სიკვდილისაგან. ჭაბუკთ შეჰფიცეს აესრულებიათ მისი სიტყვები და მის ნიშნად რააბს „მეწამული შტაგი“ წითელი თოკი, უნდა-

ჩამოება სახლის სარკმელზე. ქაბუკნი მესამე დღეს მოვიდნენ ისუ ნავესთან და გადასცეს მას რაც ნახეს და გაიგონეს. ამ ნაირად წინ და წინ დაზვერული ქვეყნის აღება ებრაელებს აღარ გასჭივრებიათ და კიდევ დაიპყრეს იგი, შეძავი ქილი კი თვისი სახლობით გადარჩა სიკვდილს. (ისუ ნავ. II).

იმავე ისუ ნავენმა აი როგორ ჩაიგდო ხელში გაიოს მეფე, ერი მისი, ქალაქი და ქვეყანა: მან გამოარჩია ერთა შორის 30,000 მებრძოლნი და გააგზავნა სამრადლად ღამე, ასე რომ მეორე დღეს დილით, ადრე უნდა მიდგომოდნენ იმ ქალაქს, უნდა დამალულიყვნენ ქალაქის უკან; მერმე დამზადებულთ ერთბაშად უნდა შეეციათ ქალაქისათვის. როდესაც ჯარი ქალაქს შემოაერთებოდა გარშემო, მაშინ მტრის თვალის ასახვევად, გახგებ იოტებდნენ, რომ ქალაქის დაჭერის შემდეგ დამალულ ჯარს, მეომრებს, დაეწვათ იგი. როდესაც გაგზავნილმა ჯარმა დაიკავა მათს ახლოს ნაჩვენები ადგილი ქალაქის დასავლეთით, ისუ ნავენმა, რომელმაც მთელი ღამე ბანაკში გაათია მეომრებში, მეორე დღეს დილით, ადრე დაათვალიერა ჯარი და მერმე გაეშურა გაისაკენ, თან იახლა მეომარი უფროსები. იგი მოადგა ქალაქს აღმოსავლეთის მხრით, ნაწილი ჯარისა კი ჩასაფრებული ჰყავდა დასავლეთით. მერმე მან დამალა 5,000 კაცი, მეომარნი საფარში (защита) ბეთლისა და გაის შორის. ეს რომ გაის მეფემ გაიგო, ადრე დილით ადგა ჯარით და შემოაუტია ებრაელებს პირ და პირ; ეს კი არ იცოდა თუ უკან ჩასაფრებულნი იყვნენ ებრაელები. ისუმაც ამ დროს უდაბნის გზას მიაშურა. გამოედევნენ ებრაელებს უკანიდან გაიოს მეომრები და უწყეს დევნა ებრაელებს რაც ძალა და

ლონე ჰქონდათ. ამ დროს ისუ ნავენმა აილო ხელში ლახვარი და ქალაქისაკენ მიაშვირა. ჩასაფრებულ ებრაელთ რომ მოჰკრეს თვალი ისუს ლახვარს, წამოვიდნენ საფარიდან, მიესიენ ქალაქს, დაიპყრეს იგი და დასწვეს სრულიად ცეცხლით იგი. გაის მკვიდრთ უკუ იხედეს და რა დანიახეს! მათის ქალაქზე მოკიდებული ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა! უნდოდათ უკანვე დაეხიათ; მაგრამ მოემწყვდენ ებრაელებს შუაში წინა და უკანიდან: წინიდან მიუბრუნდნენ ლტოლვილნი და უკან დახვდნენ ქალაქის ამოხრებელნი. ისუ და მისმა მეომრებმა რადგან ნახეს ქალაქს ჯეცხლი ეკიდა, ერთბაშად მიუტოეს იმ ქვეყანას და მოსრისეს სავსებით, ასე რომ ერთიც არ გადარჩენილა ცოცხალი, გაის მეფე კი ცოცხალი შეიპყრეს და მოჰგვარეს ისუს. იმ დღეს მომწყვდარნი მტერნი აღმოჩნდნენ სულ 12,000 კაცი. (იქვე, VIII).

მსაჯული გედეონი მადიანიტილებთან ბრძოლის დროს იჩენს დიდს სტრატეგიულს ნიჭს. ამ დროს გედეონს ჰყავდა 22,000 მეომარნი, მაგრამ მათგანში მან მხოლოდ 22,000 გამოარჩია და დანარჩენნი 10,000 ჯარისკაცი კი დასტოვა. ამათშიც სხვა ნაირად მოიქცა იგი. უნდოდა მათი გამოცდა, რომელი უფრო მომთმენნი და მხნენი აღმოჩნდებოდნენ. ამისათვის აი რა ხერხს მიჰმართა: იგინი წაიყვანა მან წყალზე წყლის დასალევად და შენიშნა ზოგი მათგანი დაეყრდნო წყლის დასალევად და ენით ამოტლაკა წყალი ძაღლივით და ზოგიერთებმა კი მუხლთ მოიყარეს და ხელის ჰაჭვით, პეშვით ამოიღეს წყალი და დალიეს. ასეთი მეომარნი, ე. ი. მომთმენნი და მხნენნი აღმოჩნდნენ 22,000 კაცში, მხოლოდ 300, დანარჩენები ძაღლივით სვამდნენ წყალს

ენითა. აი ამ სამასი კაცის ამარა შეება მადინიტელებს გედეონი. იგინი გაჰყო მან სამ ნაწილად და მიუხდა მტერს ღამით, როდესაც ღრმა ძილად იყვნენ მივარდნილნი იგინი. გედეონის ჩვენებით მისმა მეომრებმა ცალ ხელში დაიჭირეს ცარიელი სარწყულნი (თიხის კურკლები, ქოთნები) და მეორე ხელში ლამპრები. გედეონის ბრძანებით მეომრებმა ჩაჰბერეს რქის ნესტევებში, დაამსხვრიეს სარწყულეები, მერმე მარჯვენა ხელში დაიჭირეს ანთებული ლამპრები და მარცხენაში — რქის ნესტევები, რომლებში ჩაჰბერეს; იწყეს ღალადება: „მახვილი უფლისა და გედეონისა“. მტრის ბანაკში ამ უცხო ხალხის

მისვლამ უდროო დროს ანთებულის სანთლებით, სარწყულების მსხვრევამ და მეომრების ყვირილ-კიჟინმა დიდი აურზაური მოახდინა მადინიტელებზე. იოცეს მათ. რბენის დროს მათ გასრისეს, გასჰყლიტეს ერთმანეთი. ამ ხერხით გედეონმა დაამარცხა მტერი.

სხვა ხალხთა ისტორიაშიც არის ნაჩვენები ასეთი სტრატეგიური ხრიკები. მაგალითად, ფილისკებმა შეაშინეს რომაელები იმით, რომ მეომრებს იარაღის მაგივრად ჰქონდათ ხელში ლამპრები და გველები. ასევე მოიქცენ ვესტები და ფიდელები. (მსაჯ. 7).

მღ. კ. ანთაძე.

შემეცნების საზღვართა საკითხი

(თარგმანი მაქს ფერვონიდან*)

სამოთხეში ხარობდა შემეცნების ხე. საუცხოვო ხე იყო. მას სიხარულით უყურებდა ადამიანი და მშვენიერი გემოს ნაყოფიცა ჰქონდა. მოსწყვიტა ადამიანმა ამ ხის ნაყოფი და პირი ჩაიტკბარუნა. ეს მოხდა ღვთის ბრძანების წინააღმდეგ. აეხილა ადამიანს თვალები, მაგრამ აქვე დაატყდა მას ღვთის რისხვა.

ასე ღალადებს ძველი გარდმოცემა. ამის შემდეგ შემეცნების ხის ნაყოფი იზიდავს ადამიანს, თუმცა ღვთის წყევლა მძიმე ტვირთად აწევს მისს შემეცნებას. ხშირად ადამიანი ჰფიქრობს, რომელიმე ამოცანა საბოლოოდ გადაწყვეტილიაო, მაგრამ ხშირადვე პირისპირ ხვდება თავის-სავე ძირითად შეცდომას! მიუხედავად

ამისა: ამოცანის დასაკმაყოფილებელი გადაწყვეტა უნდა იყოს ნაპოვნი! განა ხუმრობით იგემა. ადამიანმა შემეცნების ხის ნაყოფი და აეხილა. თვალები!

ბიბლიური წყევლა მით უფრო მძლავრად ელობება წინ ადამიანის მისწრაფებას შემეცნებისაკენ, რამდენადაც იგი ცდილობს უფრო ღრმად ჩაიხედოს საგანთა არსში. შემეცნება, ვით ბოროტი მოჩვენება. იზიდავს, აწვალებს, აცდუნებს ადამიანს იქამდინ, მინამ, ბოლოს-და-ბოლოს, ხელახლად არ დაიწყებს ძიებას და არა ჰკითხავს თავის თავს: რა უნდა მოგვცეს არსებითად ადამიანურმა შემეცნებამ?

ბუნების კვლევა, რომელმაც ბევრად ხელი შეუწყო მსოფლიოს გამოცნობას, თვითოველად საჭიროებს შემეცნების საფუძველთა შესწავლას. ბუნების მეტყვე-

*) იხ. Макс Фервонь, „Ръчи и статьи“ Москва. — 1900.

ლობის შესწავლის დროს რაც გინდა პრობლემა აიღოთ, მაინც უნდა მიხვიდეთ იმ პუნქტამდის, როდესაც ყოველ მხრიდან თვალწინ გიდგებათ შემეცნების თეორიის კითხვები.

შეიძლება, რასაკვირველია, წარმატებით იძიოს ადამიანი რომელიმე სპეციალური გამოკვლევა და ამავე დროს მას არ აწუხებდეს შემეცნების თეორიის პრობლემები. მაგრამ ბუნების ვერც ერთ ზოგად პრობლემას ვერ მიახწევთ ისე, რომ არ შეეჯახოთ აღნიშნულ კითხვებს. შემეცნების კითხვებს ისე ვერ აუხვევს გვერდს ადამიანი, რომ არ გაეხვიოს წინააღმდეგობათა ქსოვილში. ამ უკანასკნელ ათიან წლების შესანიშნავი ბუნების მეტყველნი აშკარად მიხვდნენ ამ საკითხების შესწავლის საჭიროებას, და აკი ხმასაც იღებენ ამხანაგთა შორის. მაგრამ მათი აზროვნების შედეგი სხვა და სხვა იყო, რადგან მათი კრიტიკის სინათლე თანასწორ მანძილს ვერ ახწევდა. სინტეტიური ქუის პატრონები ჰფიქრობდნენ, რომ ეხლავე შეიძლება გაეცნო მთელ სამყაროს, ვინაიდან ისინი გულში ატარებდნენ დაუძლეველ მისწრაფებას მსოფლიოს დამთავრებულ სურათისკენ. რაც შეეხება ანალიტიკურ ქუის პატრონებს, ესენი ამბობდნენ, მსოფლიოს შესწავლაში არის იმისთანა საზღვრები, რომლების გადალახვა ყოველად შეუძლებელიაო, მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ბუნების მეტყველი ხამია შემეცნების თეორიის სფეროში. იმ პრობლემებმა, რომელნიც ლოკის და იუმის დროიდან ბევრს აღელვებს ფილოსოფიაში, ბუნებისმეტყველებაში ეხლავა მიიქციეს ყურადღება; და ბუნებისმეტყველთა შორის ხედვენ აუცილებელ საჭიროებას, რათა დაადგინენ გარკვეულ გზას ამ საკითხებში.

ამიტომ საკვირველი არ არის ის გარემოება, რომ ამ ორი წლის წინეთ გერმანელ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პრეზიდიუმმა საბუნებისმეტყველო კრებაზე მოიწვია ფილოსოფოსი სიტყვის წარმოსათქმელად!*) ფრიად საინტერესო ნიშანია ეს! არჩევანი ხვდა ფსიხოლოგიის ერთ-ერთ ღრმა მკოდნეს. მიუხედავად ამისა, ცდამ უხეიროდ ჩაიარა. ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი სულ სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთმანეთისა არა ესმოდათ რა**). ხელახლა გამართლდა ბიბლიური თქმულება. ხელახლა დაატყდათ ღვთის რისხვა მათ, ვინც მიისწრაფებოდნენ შემეცნებისაკენ. უფალმა ისე აურია მათ ენები, რომ ერთს მეორისა არა გაეგებოდა-რა. ბაბილონისებური ენათა აღრევა გერმანიაში — მეცნიერთ ქვეყანაში — ისე შორს წავიდა, რომ ორ მეცნიერს ერთმანეთისა აღარ ესმით, როდესაც თვითოეული მათგანი დაიწყებს ლაპარაკს თავის სპეციალურ საგანზე. და ეს საყვედური შეეხება არა მარტო ფილოსოფიას, არამედ ბუნების მეტყველებასაც.

აგერ ერთ საუკუნეზე მეტია, რაც ჰფიქრობენ: აზროვნების ყოველ სფერო-

*) ტ. ლიხჰსი. „ბუნებისმეტყველება და მსოფლმხედველობა“. ტერმ. ბუნებისმეტყველთა ექიმთა საზოგად. სხდომის პროტოკოლები. 78 სხდომა შტუტგარდში 1906 წ.

**) მე ვლამარაკობ აქ არა ცალკე ტერმინების შესახებ; მე სხვში მაქვს აზროვნების ზოგადად გამოთქმა. აზროვნების ცხოვრებაში იმდენად სხვა და სხვა მიმართულება მიიღვენამ, რომ ერთი დარგის სპეციალისტს უძნელდება გაიგოს ენა მეორე დარგის მცოდნისა.

ში „მეცნიერულ“ გამოკვლევად (НАУЧ-НЫМЪ) უნდა ჩაითვალოს, თუ ადამიანი ლაპარაკობს სპეციალ საგანზე დამუშავებული ნით. ეს ხდება მაშინ, როდესაც არც ერთი განათლებული კაცი არ ხმარობს თავის პროვინციის კლოკავს. ჩვენ უნდა ვცდობოდეთ — ფიქრობ — რათა ადამიანის გონებრივ ცხოვრების ყოველ დარგში ვსარგებლობდეთ ხოლომე საყოველთაო-საკაცობრიო ენას. მე ვამტკიცებ, რომ ეს შესაძლებელია მაშინაც, თუ გინდ ზოგი-ერთა სპეციალურ გამოკვლევაში დარჩეს თავისებური გამოთქმანი (выражения) და ცნებანი. და აი მე მსურს შევეცადო და მეცნიერულად გამოვირკვიო შემეცნების საზღვართა საკითხი ყველასათვის გასაგებ ენაზე; ამ დროს აუხვევ ვზას როგორც ფილოსოფიურს, ისე ბუნებისმეტყველურ ენას.

შემეცნების საზღვართა საკითხის ყოველი გამოკვლევა უფრო მიზან შეწონილი იქნება, თუ ეს გამოკვლევა დავიწყეთ თვით შემეცნების პროცესის ანალიზით. მაგრამ, საუბედუროდ, შემეცნების ცნება ბევრ შემთხვევაში სხვა და სხვა ნაირად ესმით. უკიდურესი სენსუელისტები იყენებდნენ ამ ცნებას მხოლოდ გრძნობადი შეგრძნობის ასახსნელად. პირიქით, წმიდა წყლის რაციონალისტები ამ ცნებაში გულისხმობდნენ მხოლოდ ლოღიკურ აზროვნებას. კანტით, შემეცნების ცნებაში უნდა ვგულისხმობდეთ გრძნობადი მიმდებარების და საწესრიგო აზროვნებასთან შეერთებას. *) რაც შეეხება აზროვნების საწესრიგო ფაქტორებს, კანტს შემოაქვს იმ გვარი მოსაზრება, რომელიც ეწინააღმდეგება დღევანდლამდე შეძენილ ფაქ-

*) კანტ. „კრიტიკა წმიდა გონების“. შესავალი.

ტებს; ეს უფრო ითქმის ეგრედ წოდებულ „აპრიორულ“ ფაქტორებზე, რომელიც — კანტის აზრით — წინამორბედი კატეგორიათა სივრცის, დროს და მიზეზობრიობის „გრძნობადი შეგრძნობისა.“ რასაც დღეს ვეძახით სივრცეს და დროს, როგორც ეხლა ვიცით, წარმოსდგება ცდიდან და უწინარეს ყოვლისა „გრძნობადის“ ცდიდან. მიზეზობრიობას-კი საფუძვლად უძევს ერთგვარი კონცეპცია, რომლის დასაბამი მომდინარეობს პირველყოფილ დროიდან და რომელიც აწ ცნობილია უვარგისად *). მაშ, შემეცნების ცნება რომ ავიღოთ თავის ზოგად ფორმით, მაშინ შემეცნება სხვა არა იქნება-რა; გარდა ცდის შეგროვებისა.

უმარტივესი სახე ცდისა არის „გრძნობადი შეგრძნობა“, ამ შეგრძნობიდან ვითარდება სხვა და სხვა სახის ყოველი ცდა. „გრძნობადი შეგრძნობა“ არის ელემენტარული და ამასთანავე შემეცნების ძირეული პროცესი. „შეგრძნობა“ რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი შეგნება უშინაარსო დარჩებოდა. ამ „შეგრძნობათა საშუალებით შეგნება უფრო ფართო შინაარსს იძენს — წარმოდგენებს და ცნე-

*) აქ იგულისხმება უხილავი ძალა, რომელიც მოქმედებს ადამიანის სებისებურად. ეს დაშვება იმარხება, რასაკვირველია; ზირველყოფილ ადამიანის წარმოდგენაში სულის შესახებ. აწინავე ბუნებისმეტყველება თანდათან თავს ანუბებს იმ გვარ ცნებებს, რომელიც არ დაიმოწმება ცდით; და თუ ხმარობს სიტყვას „ძალა“, ეს როგორც ხელსაყრელ მასლას. ამ გვარადვე ურიგო არ იქნებოდა, სამეცნიერო გამოკვლევაში მოესმით ცნება „მიზეზი“ ისე, როგორც ცნება „ძალა“, რადგან ორივე გამოურვეველი და განუმარტებელია.

ბებს, რაიც „შეგრძნობაში“ არ არის. წარმოდგენა—ეს „შეგრძნობის“ მოგონების სურათია. წარმოდგენის გამოსაწვევად საჭირო აღარ არის შესაფერი გრძნობადი გაღიზიანება, თუმცა იგი აუცილებელია, რათა წარმოიწვეას პირვანდელი „შეგრძნობა“. პირიქით, წარმოდგენა შეიძლება გამოწვეულ იქმნას ნერვების სხვა და სხვა გზით; მიუხედავად ამისა, მას დაურღვეველი კავშირი აქვს „შეგრძნობასთან“: უწინამორბედო შეგრძნობითი წარმოდგენა არ არსებობს. ამას აშკარად მოწმობენ შობით უსინათლონი, რომელნიც—ოპერაციის შემდეგ—იძენენ მხედველობას*). წარმოდგენათა და შეგრძნობათა წარმოშობის ფიზიოლოგიური პროცესის ადგილია დიდ ტვინის ქერქში; მაგრამ, ჯერჯერობით, ეს საკითხი საკმარისად არაა გამოკვლეული. ტვინის ქერქის ცენტრები, სადაც იბადება წარმოდგენა და შეგრძნობა, ანატომიურად დაბინავებულია დიდი ტვინის ქერქის სხვა და სხვა ალაგას. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ასეთი გარემოება: არის შემთხვევა, როდესაც დიდი ტვინის რომელიმე კუნჭული და-

*) უსინათლოდ დაბადებულებს არა აქვთ მხედველობის წარმოდგენები: მათ წარმოდგენათა შინაარსი იბადება ხოლო გრძნობათა სხვა ორგანოების წარმოდგენებიდან. რაც გინდ სისრულით ასწერათ საგნების სახე, უსინათლოდ შობილნი ვერ წარმოდგენენ. თუ ოპერაციის შემდეგ უსინათლო თვალებს აახელს—რაც იშვიათად ხდება—იგი ამ ახალი ორგანოთი საგნებს ვერ არჩევს, თუმცა ამ საგნებს იცნობდა წინეთ სხვა ორგანოების წყალობით. ეს საგნები ახლად დაბადებულ ორგანოსათვის უცხოა, და თუ უცნობიან ამ საგნებს, ეს მხოლოდ სხვა ორგანოების დახმარებით, მაგალ., შეხების ორგანოთი.

ავადდება, მაშინ ეს ადგილი ჰკარგავს თავის მოქმედ თვისებას. ამასვე ჰმოწმობს ფლექსივის უმთავრესი გამოკვლევა; ეს გამოკვლევა ეხება დიდი ტვინის იმ ნაწილების მნიშვნელობას, რომელნიც არ წარმოდგენენ არც სამოძრაო და არც საგრძნობიარო აპარატს. *Apriori*, თავის თავად, იბადება გულისხმიერება, რომ წარმოდგენის წარმოშობის პროცესი და პროცესი, რომლის შემდეგად ჩნდება შეგრძნობა, სწარმოებს ტვინის ქერქის ერთსა და იმავე უჯრედებში. მაგრამ ამ აზრზე ხელი უნდა ავიღოთ. წარმოდგენას, აშკარაა, აქვს ტვინის ქერქში თავისი სფერო, ამასთანავე განცალკევებული წმიდა შეგრძნობის სფეროსთან. წარმოდგენის განსაკუთრებული სფერო დიდი ტვინის ქერქის ასოციაციონური ადგილია. ტვინის ქერქის ამ ნაწილებს უწოდოთ წარმოდგენათა სფერო. ყოველი გრძნობადი გაღიზიანება, რომელიც ნებათა სფეროში აღძრავს შესაფერ უჯრედებს, ალბად, გამეორებულ მოვლენად წარმოდგენათა სფეროს განსაზღვრულ უჯრედებში ცვლილებას იწვევს; ასე რომ, თუ გინდ გრძნობათა არე-მარე დაირღვას, შესაძლებელია გამოწვევა შესაფერ წარმოდგენებისა სხვა ადგილებიდანაც. ასეა, თუ ისე: ეს ფაქტია, ამასთანავე დიდი მნიშვნელობის ფაქტი, რადგან წარმოდგენათა თამაშის წყალობით ზვენი შემეცნება დამოუკიდებელია შთაბეჭდილებათა სწრაფ მოვლენისაგან. თუ აღამიანს შეუძლიან ყოველ წამს იაზროვნოს წინდაწინვე დახსოვნით შეგრძნობათა სახეებით და ამ შემთხვევაში არ დაჭირდება შესაფერი გაღიზიანება, მაშინ მისი სულიერი ცხოვრება შესამჩნევად განთავისუფლდება დროს მიხედვით მისაღებ მოვლენათაგან.

მეტეც. რაკი წარმოდგენები დროს მი-

ხედვით დამოუკიდებელია შესაფერ გრძობადის გაღიზიანებისაგან, ამისათვის ისინი უფრო კარგად არიან შეგუებულნი ასსოციონურ კავშირისათვის, რათა ამ კავშირმა შემდეგში გამოიტანოს ნაყოფი, ე. ი. აზრი. რადგან ყოველი შეგრძობა წარმოადგენს კომპლექტს (შემადგენლობას), რადგან შემდეგი განსაზღვრული შეგრძობანი მომდინარეობენ ერთი მეორის შემდეგ ერთნაირ რიგზე, ამისათვის დახსოვილ შესაფერ სახეებშიაც ცალკე ცალკე მყოფი შემადგენელი ნაწილები წინდაწინვე დაკავშირებულია განსაზღვრულ წესით. მაშასადამე, ყველა ამ შემთხვევებში წარმოდგენათა ასსოციაცია იძლევა მსოფლიოსაგან მიღებულ შთაბეჭდილებათა ნამდვილ სურათს. როდესაც წარმოდგენები და წარმოდგენათა კომპლექტები ერთდებიან იმ გვარ რიგებად, რომ ჰკარგავენ გრძობითადის დაკვირვების ხასიათს, მაშინ იბადება ეჭვი, შეეფერება, თუ არა, აღნიშნული რიგები. სოფლიოსაგან აღბეჭდილ მოვლენათა ურთიერთობას. მართალია, ამ შემთხვევაში შემეცნება გარდაიქცეოდა წარმოდგენათა ველურ ანარქიად, თუ რომ წარმოდგენათა ასსოციაციის კავშირის განვითარების დროს არ ხდებოდეს დარკვევა, (შერჩევა). ფაქტორი რომლის წყალობითაც შესაძლებელია დარკვევა, იყო და არის ისევ ის გრძობითადი ცდა; ამ ცდას შეაქვს შესწორება წარმოდგენათა ასსოციაციაში, დაწყებული პირუტყვის პირვანდელ მბჟუტავ თვითცოდნიდან ადამიანამდე. ითვისებენ ცხოველყოფელობას და ვითარდებიან შემდეგშიაც მხოლოდ წარმოდგენათა ის ასსოციაციები, რომლებსაც დაამოწმებს ხოლმე გრძობითადი ცდა. განვითარების ეს პროცესი აღწევს თავისს უმაღლესს წერტილს **ექსპერიმენტალურ**

მეთოდურ გამოკვლევაში, რომელშიაც წარმოდგენათა რიგების სისწორეს შეგნებულად ამოწმებს სპეციალურად დადგენილი გრძობითადი დაკვირვება.

რაც უფრო მაღლა დგას კულტურა, მით უფრო ადამიანის შემეცნების განვითარებაზე დიდი გავლენა აქვს შეგუების ერთგვარ მომენტს—ეს არის ბავშვის წარმოდგენათა სიცოცხლის აღზრდა კულტურულ ხალხის წარმოდგენათა და აზრთა სიმდიდრის ნიადაგზე. კულტურულ ხალხის ბავშვი ჯერ ისევ განვითარების პირველ საფეხურზედვე აღზრდის საშუალებით ითვისებს მზამხარეულად წარმოდგენებს და აზრებს. ეს წარმოგენები ექვემდებარებოდნენ დარკვევას და, როგორცა საფუძვლიანად დამოწმებული, გადმოგვცა ჩვენ და ჩვენვე ვთვლით ყველა ამას დაურღვევლად. ჩვენი აწინდელი სულიერი სიმდიდრე შექმნილია მთელი კაცობრიობის შრომით, დაწყებული პირველ დროიდან. ყოველი ეპოქა ემატება და წინა ეპოქის შემკვადრეობას ახალი იდეებს და სპობდა ძველებს, თუ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ ახალ ცოდნას. ხშირად ამისთანა ბედი ხვდება ხოლმე ზოგიერთა იდეას მეტად გვიან, და შემცდარი აზრები სიცოცხლობენ დიდ ხანს. მინამ არ განიღვენებიან დარკვევის პროცესით. დღესაც ჩვენ აზროვნობაში ბევრია ცრუ წარმოდგენები, რომლებიც გადმოგვცა ქვის ხანის ადამიანისაგან. წარმოდგენათა დარკვევის პროცესი ჯერ კიდევ შორსაა თავის დამთავრებამდე. ხოლო შეუჩერებლად მიდის იგი სულ წინ და წინ.

ფაქტი, რომელიც აღზრდის დროს ამკვიდრებს სწორე ასსოციაციებს და, ამ გვარად, ჰქმნის აგრედ წოდებულ, **ლოლიკურ** აზროვნებას—არის წარმოდ-

გენათა შეთვისება-დარკვევის საშუალებით. ვარჯიშზე დამყარებულია მესხიერება, ე. ი. ნიჭი, რომელიც მით უფრო ადვილად ხელახლა ჰქმნის წარმოდგენათა რიგებს, რაც უფრო ჩქარ-ჩქარა ღიზიანდებიან ეს უკანასკნელნი. ვარჯიში რა ნაირად აღწევს აქამდის, ჩვენ ძალიან გვინდოდა გვცოდნოდა ფიზიოლოგიური პირობები მესხიერებისა ისე, როგორც ვიცით, რომ შეგარძნობა და წარმოდგენა შედეგია განსაზღვრულ უჯრედთა ჯგუფის გაღიზიანებისა დიდი ტვინის ქერქში; ხოლო ასოციაციები დამოკიდებულია ღიზინისაგან, რომელიც გადაეცემა ნერვების საშუალებით უჯრედთა ერთი ცენტრიდან მეორეს. რა ნაირად ხდება, რომ ვარჯიში, ე. ი. ხშირი გაღიზიანება წარმოდგენათა

ერთ და იმავე რიგისა უფრო ადვილად ასოციაციონურ შესაფერ გზას ისე, რომ ასოციაციები ამ გზით უფრო ადვილად და სწორედ სწარმოებენ?

ძველებური ჩვეულებრივი პასუხი რომ გავცეთ: განგლიონურ უჯრედის გაღიზიანება სტოვებს მასზე (უჯრედზე) ხანგრძლივ, ხოლო ფარულ კვალსო.—ამით ჩვენ ჯერ არაფერი გვითქვამს. ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს ეს კვალი, რადგან ერთის მხრივ, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის გამო უჯრედის მოლეკული განუწყვეტლივ იშლება და ისევ შენდება, მეორეს მხრივ, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა თვით უჯრედში აღადგენს გაღიზიანებისაგან დარღვეულ თანასწორობას გაცვლა-გამოცვლისას, როცა-კი ეს გაღიზიანება შესწყდება *).

*) როდესაც გინდა გამოარკვიო, რაში მდგომარეობს კვალი—ეს მესხიერების საფუძველი—რომელსაც სტოვებს ფუნქციონალური გაღიზიანებით განკლავიანი უჯრედი, მაშინ წინ გედგება ორი სიძნელე.

ერთი სიძნელე არის ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა. თუ ასე ვიფიქრებთ: „კვალი“, რომელსაც სტოვებს გაღიზიანება განკლიონურ უჯრედში, მდგომარეობს „მოლეკულთა გადასვლა-გადმოსვლაში“, მაშინ არ გვესმის, რა ნაირად ხერხდება, რომ „მოლეკულთა გადასვლა-გადმოსვლა“ თავს იკავებს ცოცხალ სუბსტანციაში, რომელიც მუდმივ აქეთ-იქით ერეკება თავის ატომებს, ე. ი. ჰქმნის და აღადგენს თავის მოლეკულს. ამ შემთხვევაში იფიქრებენ შემდეგს: ფიზიოლოგიურის მხრით „ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლას“ ის ხასიათი აქვს, რომ—წინაა ცვალებადობის გამონაკლისით—ეს გაცვლა-გამოცვლა თავსებს ხალ ატომებს და მოლეკულებს სწორედ იმ ადგილებში, სადაც უკვე დაძველებული მო-

ლეკულებია და თავსებს იმდენს და იმ თვისებისას, როგორც იყო წინათ. როცა გაზი იწვის, მაშინაც ხდება გაზის მოლეკულთა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ გაზის ალა არ ჰკარგავს დიდ ხანს თავის სიხეს და თვისებას; ასევე ცოცხალი უჯრედი რჩება ისევე ის, რაც იყო, მიუხედავად ნივთიერებათა განუწყვეტლივ გაცვლა-გამოცვლის პროცესისა, რომელიც ხდება უჯრედში. ამ რიგად აშკარაა დამოკიდებულებათა სიმკვიდრე უჯრედში და ეს დაფიქრებულია სწორედ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაზე. მაშინსადამე, ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლას არ ეწინააღმდეგება მოლეკულთა განსაზღვრულ დამოკიდებულებას უჯრედში.

თითქოს არის მეორე სიძნელეც; ეს სიძნელე გამოდინარეობს ფიზიოლოგიურ ცოცხალ ფაქტიდან,—სახელდობრ—ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის თვით წესრიგის დამყარებიდან. თვით წესრიგის დამყარება მდგომარეობს ამ რაში, როდესაც გაცვლა-გამოცვლის

ფიზიოლოგს აქ თავის პასუხში არავითარი ეჭვი არა აქვს. ცნობილია, რომ რომელიმე ორგანოს უჯრედთა ცხოველი სუბსტანციის მასა მრავლდება, როცა

თანაბრობა იწვევს რომელიმე გადიზიანებით, რომელსაც ამ შემთხვევაში ვუწოდოთ ადელებს, მაშინ ეს თანაბრობა ისევ ადდგენილი იქნება, მოისპობა რა გადიზიანება და მუადება გაცვლა-გამოცვლის წინანდელი თანაბრობა. პირველ შემთხვევაში, თითქოს ეს ადდგენილი თანაბრობა ჰქმნის უოველ „კვალს“, რომელიც რჩება გადიზიანებისაგან. მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ზემოდ ტექსტში ითქვა, მართლაც, თვით წესრიგი სპობს უოველ თვისებრივ ცვალებადობას ცოცხალ ნივთიერების შენობაში, მაგრამ, სმაკიეროდ, რაც უფრო სპირად ხდება გადიზიანება, მით უფრო მრავლდება ნივთიერების რაოდენობა. რაოდენობითი დამოკიდებულება ცოცხალ ნივთიერებათა მასისა განკლიანურ უჯრედში დამოკიდებულა თვით მასის ვარჯიშზე დიზინის ქვეშ. ჩვენ ვიცი, ცოცხალი ნივთიერების მასა მრავლდება, როცა დიზინი ჩქარჩქარ ხდება; პირიქით, როცა დიზინი იშვითად მოქმედობს, ან დიდ ხანს დგება, მაშინ მასა ცოტადება და განილევა კიდევ. ცოცხალ ნივთიერების გამრავლება არის ერთადერთი ხანგრძლივი „კვალი“, რომელსაც სტოვებს უჯრედში გადიზიანებით გამოწვეული ადელებს. განკლიანურ უჯრედთა ნივთიერების გამრავლება ვარჯიშის წყალობით დაკავშირებულა წარმოდგენათა ასსოციაციის დამუშავებასთან, ი. ე. მეხსიერებასთან; პირიქით, ნივთიერების სიმძირე—უვარჯიშობის გამო—დაკავშირებულა დავიწყებასთან,—უვლა ეს ვრცლად მაქვს მოხსენებული ჩემ ნაშრომში: „Die Zellularphysiologische Grundlage des Gedächtnisses“ (Целлюлярнофизиологическая основа памяти).

ეს ორგანო ხშირად მოქმედობს. ეს დამტკიცებულია, მაგალითად, ყოველ კუნთისა. მაშ, ვარჯიშის წყალობით მრავლდება განკლიანურ უჯრედთა მასა და იმის გამო შესაფერისად ძლიერდება იმპულსები, რომელნიც თავისუფლდებიან უჯრედში გადიზიანების დროს. შემდეგშიც განკლიანურ უჯრედთა სხვა და სხვა ცენტრებით გადიზიანების გადაცემა დამოკიდებულია იმპულსთა განთავისუფლებულ ძალებისაგან; ეს გადაცემა უძვეს საფუძვლად წარმოდგენათა ასსოციაციებს; მომქმედ უჯრედიდან გამომდინარეობს ასსოციაციონური ყოველი გზა; განკლიანურ უჯრედებში იბადება გადიზიანება; ამ გადიზიანებამ უნდა გაიაროს უჯრედთა ცენტრები; ეს ცენტრები—ვარჯიშის წყალობით სრულიად მომზადებულნი არიან, რათა მძლავრად გადასცენ გადიზიანების იმპულსი. ყველა ეს ნიშნავს: გატყენილ ასსოციაციონურ გზით გადიზიანების გადაცემა მით უფრო ადვილია, რადგანაც—ვარჯიშის გამო-ძალზე გამრავლდება განკლიანურ უჯრედთა ცენტრების მასა.

ასე ითვისებს ადამიანი დარკვევით შემუშავებულს და აღზრდით განსაზღვრულ აზრთა რიგებს, ასე უყრის საძირკველს ასსოციონურ განსაზღვრულ გზებს და ამ სახით იბადება ლოლიკური აზროვნება*).

*) ვინაიდან განკლიანური უჯრედები, სხვა უჯრედებთან ერთად, ადამიანის ინდივიდუალურ განვითარების დროს განიცდიან თანდათანობითი ცვლილებას, ვინაიდან ახალგაზდობის დროს უფრო კარკად ვითარდებიან განკლიანური უჯრედები, ვინემ ხანშესულობისას და ვინაიდან ახალგაზდობისას მეხსიერება კაცილებით სწობია სიბერისას, აქედან ცხდა, რომ ახალგაზდობისას, რადესაც მუშავდება

ლოგიკურ აზროვნების წარმოდგენათა კავშირის ერთ ფორმას განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემეცნების განვითარებაში. ეს არის აზრთა დასკვნის აბსტრაგიული თვისება. აზრთა დასკვნას უმათავრესი მნიშვნელობა აქვს შემეცნების შინაარსისათვის, ვინაიდან მისით გამოიხატება შემეცნება არსებულ კანონზომიერებისა. აზრთა დასკვნას თავისი დასაბამი გამოჰყავს გრძობადის ცდიდან; ცდას-კი განუწყვეტლივ შესწორება შეაქვს აზრთა დასკვნაში. ყველა შენიშნავდა, მაგალ, რომ ორი შეგრძობა-თუ გინდ — „წვიმა“ და „სინესტე“ მუდმივ შეგვხვდება ხოლმე ერთნაირ თანდათანობით. ვარჯიშის გზით იქნას ადამიანი წარმოდგენათა შესატერ ასოციაციას: „წვიმა“ და „სინესტე“; და რა წამს იბადება წარმოდგენა „წვიმა“, გამოიწვევა ხოლმე წარმოდგენა „სინესტე“. ეს არის პრიმიტიული მაგალითი კანონზომიერების დამოკიდებულების შემეცნებისა.

ყოველ კანონშეწონილებას აქვს პირობითი ფორმა: თუ მოდის წვიმა, მაშინ ჩნდება სინესტეც. პირობითი წინადადება ეს ზოგადი სქემაა ყოველ კანონშეწონი-

ლოგიკური აზროვნება, უნდა ჩაუნერგოთ შემდეგ ცხოვრებისა და აზრთა მსგელობისათვის დიდი ღირებულების წარმოდგენათა ასოციაციები. ამ შემთხვევაში სსსწავლებელი კისრულობს შეტად დიდ დავალებას. ეს ცხადია უფრო იმ პირთა შესახებ, რომელნიც მამაკაცში, ასე თუ ისე, იძულებულნი არიან იმოდგაწონ გონების განვითარების გზაზე. საუბედუროდ, ჩვენი უმადლესი სკოლების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც წამოყენებულია დღევანდელ რთულ კულტურის ამოცანებით.

ლების გამოსახატავად. ცდასთან სასტიკად შეთანხმებული შემეცნება შეიძლება გამოიხატოს ხოლო ამ ფორმით და ამ შემთხვევაში არც რაიმე ახსნა დასკირდება. ქეშმარიტი მეცნიერული შემეცნება უნდა გამოითქვას პირობითი წინადადებას სახით, რადგან მეცნიერული შემეცნება მდგომარეობს და უნდა მდგომარეობდეს კიდევ, ხოლო კანონშეწონლების დამოკიდებულებათა დამოწმებაში. რომელიმე პროცესი ან მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს განმარტებულად, თუ ნაპოვნი ყველა ის პირობები, რომლებიც იწვევენ მათ; მაშინ ასახსნელი აღარა რჩება-რა, და ეს იმიტომ რომ შესაფერისი პროცესი და მდგომარეობა აღნიშნულია სიტყვიერ მოკლე სიმბოლოთი, რომელიც თურმე არის ჯამი გამომწვევ პირობათა მომენტებისა. გულახდილად რომ ითქვას, თავის თავად აშკარაა, რომ ყოველი კანონშეწონილება უნდა იქმნას ჩამოსხმული პირობითს ფორმაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ იძულებულნი ვართ ავღნიშნოთ ეს ფაქტი*), რადგან ბუნების მეტყველებაში დარ-

*) აი უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც მე მოვითხოვე შემდეგი: ბუნების მეტყველებაში თავი უნდა დაანებოს მოვლენათა ახსნას მიზეზობრიობით და შემოიღოს პირობითი ახსნა, როგორც ეს გამოყვებულია მათემატიკაში. თავის ქეშმარიტებათა ახსნა-განმარტებაში მათემატიკამ არ იცის, რა არის მიზეზობრიობის მეთოდი. მათემატიკა თავის დებულებათ ეოველთვის აძლევს პირობითს სხეს. ბუნების მეტყველებაც უნდა შეეჩვიოს ამ სისწორეს რადგან ეს სისწორე უბრალო ფორმა კი არაა, რამედ მას დიდი გავლენა აქვს მთელ აზროვნებაზე. ამის შესახებ, სხვათა შორის, შეადარე: მაქს ფერვანსი — „სიტყვების პირობა“.

ჩენილა და დარკვევას დღესაც არ განუდევნია ძველ დროიდან ნაანდერძევი წარმოდგენა იმის შესახებ, ვითომ ერთადერთი მეცნიერული ახსნა არის ახსნა მიზეზობრიული. მიზეზობრიობის ცნება არის ცნება მისტიური, წარმოშობილი პრიმიტიულ ადამიანის აზროვნობის ხანაში. სასტიკ მეცნიერულ კოდნამ არ იცის „მიზეზობრიობა“, მან იცის ხოლო დამოკიდებულებათა კანონშეწონილება. და თუ ცნება „მიზეზობრიობას“ ნიშნავს თანაბრებას არსებულ განსაზღვრულ კანონშეწონილებასთან, მაშინ მომენტი „მიზეზისა“ (causa) არა თუ მეტია ამ ცნებაში, არამედ პირდაპირ არ შეეფერება ქეშმარიტებას; ეს ასეც უნდა იყოს: პროცესი ან მდგომარეობა არას დროს არ განიშარტება, „ერთად ერთ მიზეზით“; პირიქით, პროცესის ან მდგომარეობის გამოსაწვევად საჭიროა პირობათა შეგროვება, რადგან ყველას თანაბარი ფასი აქვს.*) მიზეზობრიული კანონშეწონი-

ლება არის სპეკულიატიური მისტიკა, ხოლო პირობითი კანონშეწონილება არის ცდა: ყოველი მეცნიერული გამოკვლევა უნდა იქმნას დარკვებილი საგანთა პირობითი განხილვით. დაე წარმოდგენათა დარკვევამ ნელ-ნელა და საბოლოოდ განდევნოს ცნება მიზეზობრიობისა!

დაადგენს-რა აოსებულ კანონშეწონილებას, შემეცნების პროცესი აღწევს თავის უმაღლეს განვითარებას. ყოველი ახალი ცდა იძლევა ხოლო ახალ დამტკიცებას (ერთნიშნოვან) კანონშეწონილების არსებობისას. ხოლო ნურასდროს ნუ დაგვაიწყდებთ, რომ ლოგიკური აზროვნება აღწევს უმაღლეს უნაკლოვანებას გრძნობადი ცდის შემწეობით, და ცდითვე მუდმივ დაიმოწმება ხოლომე! დაე, დაუპირდაპიროთ ასოციაციები აზრთა დასკვნას, როგორც, ცდიდან გამონასკვილებს, დაე პირველებს უწოდოთ პირველი შემეცნება, ხოლო მეორებს გამეო-

*) ჩვეულებრივი აზროვნებით, ყოველ პროცესს იწვევს რამელიმე „მიზეზი“. საზოგადოდ მიღებულია, რომ ბუნების პროცესები დალაგდეს ხელმე „მიზეზის“ და „მოქმედების“ სქემასზე. ეს მაშინ, როდესაც დაკვირვება გვიჩვენებს, რომ არც ერთ შემთხვევაში პროცესი არ არის ხელმე გამოწვეული ერთი ფაქტორით. პროცესის გამოწვევისათვის საჭიროა მრავალი ფაქტორი. მაგალ., ბორაკს რომ მარილმუყავა დაგისხათ, მივიღებთ ნახშირმუყავს; აქ „მიზეზი“ მარტო მარილმუყავა როდი არი; ბორაკს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ამ სიმუყავს. შორს რომ გამოვეყიდოთ, სხვა ფაქტორებსაც ჰქონია აქ ადგილი. ამის გამო არავითარი საფუძველი არაა, ერთ-ერთ ფაქტორს მივცეთ უმთავრესი მნიშვნელობა ამ

პროცესში. ვეგლა ეს ფაქტორები შეადგენენ საჭირო პირობებს. ჩვენ რომ იმ აზრს თავი დავანებოთ, ვითომ პროცესს იწვევდეს მხოლოდ ერთი მიზეზი და მივიდეთ, რომ პროცესს იწვევს არა ერთი და ორი მიზეზი, მაშინ „მიზეზობრიობის“ ცნება ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ეთანაბრება ცნებას — პირობა. პირობები-გი არც საიდუმლოს წარმოადგენენ და მათი შესწავლაც შეიძლება: პირობები — ეს თვით ნივთებია, რამდენიც შეიძლება შევიგროვოთ. ნივთთა შორის დამოკიდებულება და მეცნიერება, თუ ჰსურს უდიდობელი იუოს, უნდა ცდილობდეს ნივთთა შორის დაამყაროს კანონ შეწონილი დამოკიდებულება. და თუ საჭიროა რამელიმე „იხში“, ეს უნდა იყოს არა „კაუსალიზმი“ (მიზეზობრიობა), არამედ „კონდიციონიზმი“ (დამოკიდებულება).

რებული შემეცნება; მიუხედავად ამისა, მაინც-და-მაინც, შემეცნების პროცესს აქვს სრულიად ერთნაირი ხასიათი. ეს პროცესი ჰქმნის შემეცნებას, წარმოდგენას, აზრს და აზრთა დასკვნას, და ყველა ესენი-კი დამყარებულია ერთსა და იმავე კანონ-შეწონილების ნიადაგზე. ხოლო ეს კანონ-შეწონილება არის სამყაროს ყველა მოვლენათა საყოველთაო კანონ-შეწონილება*).

*) საზოგადოდ უკვირთ ხოლმე და შესანიშნავ მოფლენად მიანათ ის ფაქტი, რომ ადამიანის ღოღიკურ მსჯელობაში დაცულია ისევ ის კანონ-შეწონილობა, როგორც ამას ვხედავთ ბუნების მოფლენათა პროცესში. მეტადრე განცვიფრებაში მოდიან მაშინ, როდესაც ეს ფაქტი ნათლად მტკიცდება ღოღიკურად მოსაზრებულ ექსპერიმენტებიდან, მით უმეტეს, რომ ეს ექსპერიმენტები ადასტურებენ წინასწარად დადგენილ მეცნიერულ დებულებათა. აქ აღნიშნული შესედეულება იმას ჰმომბობს, რომ ადამიანის ღოღიკური მსჯელობის კანონ-შეწონილება განვითარებულია მოფლიოს კანონ-შეწონილების საფუძველზე; ეს კანონ-შეწონილება იგივეობაა საერთო კანონ-შეწონილების; ეს თავისთავად ცხადია და ღოღიკური მსჯელობაც ერთ-ერთი ამ პროცესთაგანია და ემორჩილება საყოველთაო კანონ-შეწონილებას. ეს უცნაური და გაუგებარია იმათთვის, ვინც ამ საგანს სხვა თვალსაზრისით უყურებს.


შემეცნება-ეს სიტყვა რომ თავის ფართო მნიშვნელობით ავიღოთ, ნიშნავს ცდას და უდრის ცდათა შეგროვებას, და უწინარეს ყოვლისა, შეგროვებათა გამოვლენას. შემეცნების პროცესის ანალიზის გაგრძელება, მაშასადამე, მდგომარეობს ხოლო ყველა პირობათა გამოვლენაში, იმ პირობათა, რომელნიც იწვევენ შეგროვებას, წარმოდგენას და აზრს. ამნაირ თვისებისავეა მეცნიერული სხვა ანალიზიც. მე წინეთ უკვე მოკლედ შევეხე ზოგიერთა სპეციალურ პირობებს, რანაირებსაც წარმოადგენს ტვინის პროცესები. ამ პატარა ლექციაში არ შემოდრიან თავს ვიღვას ის ამოცანა, რომელიც შეეხება შემეცნების ფიზიოლოგიურ ყველა პირობათა პროცესს*). ხოლო უსათუოდ საქირთა გავითვალისწინოთ საზოგადოდ ამ პირობათა ორი დიდი ჯგუფი.

დ. ქადაგიძე.

(დასასრული იქნება).

*) შემეცნების პროცესის ფიზიოლოგიურ პირობათა მოკლე აღწერა (ეველასათვის გასაგებო) მე მაქვს ერთ პატარა წიგნაკში: Die Mechanik des Geisteslebens (სულიერი ცხოვრების მექანიკა. არის რუსული თარგმანი).





188

Ն Յ Ն Յ Ո
1840—1915

აკაკი

ბავშვი ვიყავი, როდესაც ის პირველად ვიხილე. მთელმა გარეგნობამ, განსაკუთრებით კი იშვიათმა თავმა შეჭბოკა ბავშვის ყურადღება და შემეყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი სახე.

სიკბუკეს წამოვეწიე, როდესაც პირველად დავეწაფე მის პოეზიას; ნორჩი გული მოჰხიბლა, მოაჯადოვა მისმა მოსხლეტილმა, ცქრიალა, მარდმა, ბროლივით წმინდა სიტყვამ.

მე შემეყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი სიტყვა.

ყრმა ვიყავ, როდესაც პირველად გავიცანი ის. მე დამატკბო, დამათრომისმა ტკბილმა, საამოდ მოჩუხჩუხენამ.

მე შემეყვარდა მისი ლამაზი, მომხიბლავი ენა...

ღრმად ჩავიხედე მის პოეზიაში. შიგდავინახე გული, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე ღვთიურის ცეცხლით იწოდა.

დავიჩოქე და სიყვარულით ვეამბორე ამ ლამაზ, მომხიბლავ გულს...

ყაბმა განვლო. მომწიფებული გონება დარწმუნდა, რომ ის ჰხედავდა გენიოსს და მე თავიანთ ვეცი ქართველი ერის დიდებას, ქართველი ერის სიამაყეს.

განგებამ ყოველისფერი მისცა მას, რომ ის დიდებული ყოფილიყო, და დიდებული იყო.

განგებამ ისლრვა, რომ ის უკვდავი ჰყოფილიყო, და ის უკვდავი გახდა.

განგებამ ყოველივე იღონა, რომ ის ბედნიერი ყოფილიყო, და ბედნიერიც იყო.

როდესაც მთელი საქართველო ერთხმად ამბობდა: ჩვენი აკაკიო, ამახედ

მეტი ბედნიერება ქვეყნად არ არსებობს.

ის, რაც ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა მახვილითა და სისხლით ვერ შესძლეს, აკაკიმ კალმით შესძლო: მან გააერთიანა მთელი საქართველო; მთელმა ქართველობამ აკაკის გარეშე მოიყარა თავი და არა თუ შეგნო, იგრძნო, განიცადა ეროვნული მთლიანობა.

აკაკი იყო უდიდესი, უძლიერესი მშვედელი ჩვენი. ეროვნული გათვითცნობიერებისა და მთლიანობისა.

ქართველმა ხალხმა მასში იცნო თავისი თავი, მასში იწაბა თავისი მომავალი და შეიყვარა ამიტომ ის ისეთის სიყვარულით, რომელიც მხოლოდ უკვდავთა, გვირგვინოსანთა ხვედრია.

განა აკაკი გვირგვინოსანი არ იყო? ოოჰ, მერე როგორი! თვით კეისარსაც კი შეენატრებოდა მისი გვირგვინი.

აკაკის გვირგვინი არც ხელით შეიქმნება, არც ფულით შეიძინება, არც ძალით მოიპოვება, —ის განგებამ არგუნა მას და ხალხის, მთელი ერის სიყვარულმა თავზე დაადგა.

მოხდენილი და თვალტანადი, ლომივით გამომეტყველი და ბავშოვით კეთილი, ენა ტკბილი და სახე სპეტაკი —ღირსეულად ატარებდა ამ გვირგვინს.

— საქართველოს უგვირგვინო მეფეო, მასხედ ამბობდენ.

რა გაუგებრობაა!

გვირგვინოსანზე უფრო გვირგვინოსანი —აი აკაკი!

აკაკიზე ვინ იტყვის —მოკვდაო? ვერაინ, —ის თავის არსებაში დაბადებიდანვე უკვდავებას ატარებდა.

ის მზე იყო, რომელსაც ყველგან სინათლე და სიბოლო შეჰქონდა.

მარტო მისი ჰიროვნება სიხარულით, სიამოვნებით, სიტკობებით ავსებდა ყველას. მისი ენა, მისი ტკბილი სიტყვა ყველას ათრობდა; მისი სიცილი ყველას ამხიარულებდა.

სიცოცხლე, სიხალისე, მხიარულება, აღფრთოვანება, გატაცება — აი რას აბნევდა უხვად აკაკი მუდამ მხიარული, მუდამ აუწყრელი ღიმილით გაბრწყინებული. მაშინაც კი, როდესაც ცრემლში ნაღველსა ჰღესავდა.

ვიდოდი ხალხში შეუპოვარად

პირბადიანი და მომღიმარი,

მაგრამ ჩუმად კი მიწურავს ღვარად ოხვრით ნართავი ცრემლები მწარი.

და ეს უკვდავი ადამიანი, რომელიც თითქოს იმისთვის დაიბადა, რომ მუდამ მხიარული, მუდამ მოცინარი ყოფილიყო, ჯოჯოხეთს ატარებდა გულში!

ეს ჯოჯოხეთი-მისი საყვარელი სამშობლოს სვე-ბედი იყო.

ეს მზე-ქაბუკი, ეს მხესავით ნათელი, ბრწყინვალე და სახე-სპეტაკი, ცრემლში ნაღველსა ჰღესავდა და მელნად ჰხმარობდა! ბუნებისაგან ყველაზედ უფრო იყო შემკული და ამიტომ ყველაზედ უფრო იგრძნო, ყველაზედ უფრო ღრმად განიცადა სამშობლოს ტრადიცია და, როდესაც ის პირბადიანი და მომღიმარი უჩვენებოდა სხვებს, იმის გულში ამდროს ცეცხლი გუგუნებდა.

და მან უარჰყო ყოველივე, რაც მას „სამცონარეო დიდება“ ს უქაღდა და

სული და გული, ბუნების ნიჭი,

სიქაბუკე და წამი ყოველი

თავის ბედმწარე სამშობლოს შესწირა.

საქართველოს აღორძინება. — აი აკაკის არსებობის, მისი სიცოცხლის მიზანი.

ეს დაუსრეტელი წყარო სიკეთისა და სიყვარულისა შეუბრალებელი იყო, სასტიკი, მკაცრი, როდესაც ვინმე მას ამ გზაზე წინ გადაეღობებოდა.

მისი სიყვარულით საესე თვალები მრისხანების ისრებს აფრქვევდენ, მისი ლამაზი, ცქრიალა, კაპწია სიტყვა გახურებულ რკინად იქცეოდა, მისი ტკბილი ენა გესლისა და შხამის მახვილად ვახდებოდა, მისი ხალისიანი ღიმილი საშინელ დაცინვად, როდესაც ის მტერს დაინახავდა; — ამ დროს აკაკიმ არ იცოდა შებრალება — ის მრისხანე ღმერთი იყო, რომელიც მიწასთან ასწორებდა ყველას, ვისაც კი ნიშანში ამოიღებდა.

მტერი კი მისთვის იყო ყველა, ვინც მისი სამშობლოს აღორძინებას რაიმე თვისებით ან მოქმედებით ხელს უშლიდა.

რუსთველის შემდეგ საქართველოს არა ჰყოლია მთელისთვის არსებით, ბუნებით ისეთი სრული ოლიმპიელი, როგორც აკაკია. ამავე დროს ოლიმპზე ცხოვრება მას ქირივითა სძულდა.

შუა-აკაცი ვარ, უბრალო.

და ეს დიდებული ადამიანი მართლაც უბრალო, სადა, თავპდაბალი, ყველას ძმა და ამხანაგი იყო.

რატომ?

იმიტომ, რომ აკაკი სრული დემოკრატი იყო მარტო რწმენით კი არა, მთელი თავისი არსებით.

არ მივიმადლებ, არ მინდა

მამაპაპური წყალობა...

სამცონარეო დიდება

და მათი ჩამომავლობა!

აკაკიმაც დემოკრატიის გზას მიმართა სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენი მოწინავე წოდება მომქმედი ინტელიგენცია მონის

პოლიტიკითა სკდილობდა თვისი ეროვნული იდეალების განხორციელებას.

ულაზნოსა შინა ობლად გაისმოდა აკაკის ხმა:

ვინ ნახა თავისუფლება

ტანჯვით და მოთმინებითა?

მაგრამ მას სწამდა, მან იცოდა, რომ სიმართლე მისკენ იყო და არაფრისა არ ეშინოდა.

თავგანწირულად პირდაპირ

შევეჭიდები ქვეყანას!..

და ეს დიდებული ადამიანი მთელი თვისი სიცოცხლე იბრძოდა ღვთიურის ცეცხლით, ღვთიურის ნიჭითა და მადლიანის კალმით.

დადგა დრო—ჩვენ ვნახეთ, ჩვენ ხომ ძოწამე ვიყავით—აკაკის ძახილმა გამოაღვიძა, გამოაფხიზლა მთელი ქართველი ერი...

ბევრი ჩვენი მხცოვანი მოღვაწე შედრკა ამ მოძრაობის წინაშე.

აკაკი სიხარულით, პირზე ღიმილითა და გულმხიარული მიეგება მას.

სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ეს ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე თვისი საყვარელი ნესტანდარეჯანის—საქართველოს აღორძინებისთვის იბრძოდა. აკაკიმ სამშობლო მიიღო მიძინებულის, მიღუნებულისა; ჩვენ დაგვიტოვა გამოფხიზლებული.

აკაკიმ სამშობლო მიიღო დაქსაქსული, დაქუცმაცებული; ჩვენ დაგვიტოვა შეკავშირებული, შედუღებული.

აკაკი მთელი თავისი სიცოცხლე ზრდიდა თავის გულში ქართველი ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას და მან თვითონვე იხილა ნაყოფი თვისი ბრძოლისა და ტანჯვისა: ქართველი ერი აკაკის გარეშემო აერთიანდა.

თაყვანი ვსცეთ დიდებული ადამიანის წმინდა ნეშტს და მის წინაშე აღთქმა დავსდოთ, რომ იმის ეროვნულ იდეალებს საერთო ძალღონით ვემსახურებით.

ივ. გომართელი.

ზარი

აკაკის ხსოვნას.

ცრემლის ლეჩაქი თავს შემოველო კავკასიონის გადავერცხლილ მთებს. მოკვდა მგოსანი და მისი თვალი ცრემლს აღარ ჰღვრის, ცრემლს არ აწვეთებს...

მოკვდა მგოსანი... და მის ტატნობზე მზემ მოიბურა ბრწყინვალე პირი.

— მამავ ძვირფასო! რისთვის დაგვტოვე—
შენ დაგქვითინებ, შენ ჩამოგტირი!..

გ. ლეონიძე.



აკაკი, მისი ცოლი და შვილი ალექსი.

სიჭყვა

ტფილისის ქართული გიმნაზიის წარმომადგენელის
ბ-ნის ალ. ბეს. ჭიჭინაძისა *)

ბრძელი და ძნელი ისტორიური გზა გამოიარა ჩვენმა ერმა. ამასობაში ურიცხვნი მტერნი გარს ეხვივნენ მას, რომ შეემუსრათ იგი და ხელთ ეგდოთ მშვენიერი, თვალთწარმტაცი საქართველო. ხანგრძლივს ბრძოლაში კლდედ იქცა იგი, ლომის ძალა მოიკა და ვინ იცის რამდენი გმირობა გამოიჩინა?

„ვინ დათვალს ზღვაში ქვაშა

და ან ცაში ვარსკვლავები?

ვინ შეამკის ღირსეულათ

ქართველ გმირთა მხარ-მკვლავები?

ვინ მოგვეთხრას მათი საქმე,

უთვალავი საგმირონი!“ (აკაკი).

ასე მოახწია მეცხრამეტე საუკუნის კარებამდის. მაგრამ განუწყვეტელს ბრძოლაში, როდესაც ერთზე ასი მოდიოდა და ათასი, ერთი-ვაჟკაცი დაიღალა-დაიქანცა.

„ბეკრის ბრძოლით დადღუღსა

ეჭვირება მოსვენებას!

ეს „წესი არის და ბუნება“ო ამბობს ჩვენი აკაკი. დიად, ეჭვირება მოსვენება, და ლომი-ვაჟკაცი წვება-იძინებს. ხანგრძლივია ეს ძილი და საშიში. ერს მავა მისუსტებია; ვეღარ სუნთქავს უწინდულად; მისი მკერდი ისე ღონივრად და დინჯად ვეღარ ღვლავს. მყუდროებაა გარშემო სამარისებური და, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „არსაიღამ ხმა, არსით ძახილი! მშობელი შობილს არას ეტყუოდა, ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი ქართველის ძილშია კვნესაჲსმოდა!“ აღარ ისმის ქართველთა საერთო კიჟინი მტრის

წინააღმდეგ: „კა მხვასო“ საქვეყნო საქმის გრძნობა აღარ ტრიალებს მათ გულში; პირადს სარგებლობას აღუმაღლებია ხმა და ყორანნი თავს დასჩხავიან საქართველოს. აღარაა „მამაპაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური (ამბობს ილია), სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა!“

მაგრამ ნუთუ ეს უკანასკნელი ამოუსუნთქვია გმირი საქართველოსი? ნუთუ უნდა გაჰქრეს მისი სახელი?.. არა, საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილია: ღმერთი არ გასწირავს ერსა, ქრისტეს ჯვარისთვის წამებულსა.

ამ დროს, როდესაც მიღეულად სცემდა გმირის გული და ყველას ეგონა მოჰკვდაო, საქართველოს ჰორიზონტზე ამოსცურდა ვარსკვლავთა გუნდი; მას მოევილინენ მუშაკნი სამოციანის წლებისა. ამ გუნდში არიან დიდებულნი მკურნალნი და აღმზრდელნი და მათთან ერთად სალი მოაზრენი, ახალი გზის მკვლევარნი. ერთი მკურნალთაგანი მაჯას უშინჯავს ღრმად მიძინებულს. ერს და ამბობს:

„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს

და ისევ გაიღვიძებს!..

ვინც შენატრის იმის სიკვდილს,

უმაღ მასვე დაამიწებს!“

*) ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვას თებერვლის ბ-ს აკაკის დაკრძალვის დღეს, მაგრამ, როგორც სხვა ბეკრის, არც ამის წარმომადგენელი მოხერხდა.

მკურნალი თავს დასტრიალებს სწეულს: არც დღით, არც ღამით, მოსვენება არ იცის იმ იმედით, რომ „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და როდესაც გაიღვიძებს, მოიგონებს იმათ სახელს, ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!“

შენა ხარ, დაუვიწყარო უკაკი, ის მკურნალი! შენ გაგვაცოცხლე, შენ გაგვიღვიძე გულში იმედი და აკი, შენის თქმისა არ იყოს, არც დაივიწყეს ამავი! აჰა, მოსულან საქართველოს ყოველი კუთხიდან შენი თაყვანის მცემელნი და მუხლს იყრიან შენს წინაშე! შენი დიდი ღვაწლის მოწმენი არიან ჩვენი კავკასიელი მებობელნიც და მოკეთენიც, რომელნიც დღეს ძმურად იზიარებენ ჩვენს მწუხარებას შენის გარდაცვალების გამო.

თვითონ მე, დიდებულო მკურნალო, საკუთარის თვალთ ვარ მნახველი შენის განუწყვეტლივ მზრუნველობისა ქართველის ერისათვის. მის განსაკურნებლად მარტო რეცეპტებს კი არ სწერდი, მარტო კაბინეტურს შრომას კი არ ეწეოდი: არა, იმ დროს, როდესაც შემოქმედებითი ნიჭი შენი ჰქმნიდა ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებს ქართულის პოეზიისას, რომელნიც უკვდავნი იქნებიან ქართველთათვის, შენ ჩვენი სამშობლოს ხან ერთს კუთხეში გაჩნდებოდი ხოლმე, ხან მეორეში, ადგილობრივ ადევნებდი თვალს, იკვლევდი ჩვენს ზნეს, ჩვენს ნაკლულევანებას და გზა და გზა გვკურნავდი სენისაგან. ვის არ ახსოვს შენი „ცხელ-ცხელი ამბები“ გაზეთს „დროებაში?“ რამდენი მწვავე ქეშმარიტება წარმოგიტყვამს იქ, რამდენს ბოროტ ადამიანს მოჰხვედრია გულში შენი კალმის ისარი, სამსალაში ჩანაწები, და მით გისუფთავებია ჩვენი გული უდიდესი გრძნობის აღზრდისათვის, რომელსაც

ჰქვია „გრძნობა“. საზოგადოებრივობისა, გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. როდესაც შენ ამ დაუცხრომელი მუშაობის დროს გაჩნდებოდი ხოლმე საქართველოს რომელსავე კუთხეში, შენი მაჭვილი კალმის შიშით სუყველანი, რომელნიც ჩრჩილივით ჰხრავდენ ჩვენი საზოგადო საქმის საფუძვლებს, რომელნიც ღალატობდენ მოძმეთ და პირად ინტერესებს თაყვანსა სცემდენ, — ამისთანები აქა-იქ მიიმაღლებოდენ ხოლმე და სულგანაბუნნი იყვენ, ვით შინაური ფრინველნი, რომელთაც მალლიდგან შიშის ზარი დასცა ქორმა და განფანტა აქეთ-იქით. ახალგაზდანი, სპეტაკნი, ვინც ჯერ გაურყვენელი იყო წუთის სოფლისაგან, ვაჟნი და ქალნი, ალტაცებით მიგელოდენ და დიდს სდამოვნებას განიცდიდენ შენის ნახვით: „აკაკიმ ესა სთქვა, აკაკიმ ასე იმახვილა, აკაკიმ თავის ახალი თხზულება წაგვიკითხა“ და სხვა, — აი რას იმეორებდენ ხოლმე დიდხანს, როდესაც შენ მათ მოშორდებოდი და გაღინაცვლებდი სხვაგან სხვა სწეულთა საკურნებლად.

ისინი, ვისაც ქვეყანა და ქვეყნის საქმე საშვალებად გაეხადა პირადის სარგებლობისათვის, დაუნდობელს გეძახოდენ და მართლაც მათთვის დაუნდობელი იყავი, შენ არ ზოგავდი მათ, პირდაპირ გულში ჯმიზნებდი შენს მახვილ კალამს მისთვის, რომ ისინი შენს „სატრფოს“ ბურუსს ახვევდენ გარშემო და „ჭინქარში“ და ნარ-გკალში აგდებდენ. ისიც მახსოვს, რომ ერთხელ გისაყვედურეს: „რას ნიშნავს, რომ აკაკი ხშირად იმ პირთა წრეებშიდაც არის ხოლმე, რომელნიც მის მოწონებულ გზას უფრთხიან და სულ სხვა აზრებს ემსახურებიანო?“ შენი პასუხი იყო: მკურნალის მოვალეობაა მტერსა

და მოყვარეს არ არჩევდეს, ყოველგან შედიოდეს და ყველას ჰკურნავდესო.

ჰემმარიტად ასეც იქცეოდი; არავის ერი-
ლებოდი, ვერაფერი გაბრკოლებდა; აღ-
მართი და დაღმართი, მშვენიერი წალკა-
ტი, თუ ეკალნარი და კინკარი—სულ
ერთი იყო შენთვის, ყოველგან უნდა
შეეშუქებია შენს მალალ ნიქს, ყოველ-
გან უნდა აღმოეჩინა რამე ჩვენი სამშობ-
ლოს, ჩვენი ერის სასიკეთო, ან თუ რამ
იყო მანებელი მისთვის. ყოველგან ეძე-
ბდი და ჰკითხულობდი: „ჩემი სატრფო
სად არი, ნისლი ჰბურავს, თუ დღე უღ-
ვას სადარი?“

„მისთვის დაფურქნ მთუხუნრად, რამ მთუ-
ქებო ევაფილია!
გულის წვენი ამოვსწუნო, სამეურნალო რამ
ტკბილია,
შეეუმხალო მით ჰვეუნას თაფლი, ზეცას—
სანთელია,
რამ იქ წმინდათ შეიწიწოს და ანათოს აქ ბნე-
ლია.

ვინც მე იმ დროს ხელს შემეშლის, ჰვეუნის
მტკარად ის არიო
და მისთვის მაქვს მამართული გესღიანი ხს-
რიო!“ (აკაკი)

ზნეობრივი მკურნალობა შენი მრავალ-
გვარი იყო; მას დიდი აღმზრდელობითი
მნიშვნელობა ჰქონდა. იგი შეეხო ყველა
ჰსასაკს ოთხი წლის ყრმიდგან დაწყებული
ვიდრე ვაჟაცუბამდის. შენმა მრავალფე-
როვანმა კეკლუცმა ენამ ყველა მოჰხიბ-
ლა: დიდი და პატარა, აზნაური და გლე-
ხი, შვილები და მშობლები, მოსწავლენი
და მასწავლებლები. ყველა აატიკტიკა,
ყველა აალაპარაკა, ყველას გულს შეეხო
და აღზარდა მასში ნაზი გრძნობა სამშობ-
ლოს სიყვარულისა. ყოველი წოდება
ერისა, ყოველი დასი, ყოველი პროცესია
გაიმსჭვალა გრძნობით, რომელიც მეტად

სუსტი იყო ჩვენში, როდესაც შენ და
შენი გუნდი გამოხვედით ასპარეზზე. მა-
შინდელი საზოგადოება თუ დაცინვის
ლიმილით უცქეროდა თქვენისთანა მშრო-
მელებს და სიგრიქეთა სთვლიდა ქართული
მწვერლობისა და ქართული საქმეებისათვის
სამსახურს, ამ ეამად საზოგადოებაში და
ხალხში სასტიკად ჰკიცხვენ ყველას, ვინც
პირს არიდებს ქართველობას. მაშინ თუ
თქვენ მიერ დაარსებული თბილისში ერ-
თი გაზეთიც ძლივს არსებობდა, ახლა
არა თუ ამ ჩვენს დედა-ქალაქში, სადაც
უკვე რამდენიმე ქართული გაზეთი იბეჭ-
დება, პროვინციებშიდაც კი გამოდის გა-
ზეთები, რომელთაც ყოველდღიური შრ-
ნაარსია ფიქრი და ზრუნვა ქართველთა
ცხოვრების განვითარებისა და გაუმჯობე-
ებისა. მაშინ თუ ქართველი დედებისაგან
ხშირად გვესმოდა თავმომწონედ ნათქვამი
გულის მომწყვლელი სიტყვები: „ჩემს
ვაჟს, იმას კი ვენაცვალე, ისე უსწავლია
რუსული, რომ ქართული სულ დავიწყე-
ბია და ვეღარ ლაპარაკობსო, ახლა მრავალსა
ვხედავთ ქართველს დედას, როც
მელთაც აღუზრდიათ შვილები ქართუ-
ლის გრძნობით, ქართული სიტყვიერების
მოტრფილენი და მოღვაწენი ქართულის
საქმისათვის. მაშინ თუ არ არსებობდა
ქართული სკოლა და არავინ ჰზრუნავდა
ქართული ენის სწავლებისათვის, ახლა
ბევრია ხალხში მასწავლებელი, რომელ-
საც საღვთო ვალად მიაჩნია ასწავლოს
ყრმათა ქართული ენა და მასთანვე ქარ-
თული გრძნობა გაუღვიძოს გულში და
აღუზარდოს. ვინც ამის წინააღმდეგი
არის, მას სასტიკად ეპყრობიან და სასირ-
ცხვო ბოძზე აკვრენ.

აი რა ღვაწლი მიგიძღვის შენ ჩვენი
ერის წინაშე და ჰემმარიტად გეკუთვნის

დიდებული ზნეობრივი მკურნალის და აღმზრდელის სახელი.

ჩვენო^მდიდო აკაკი, მახსოვს შენი სიტყვები, რომლითაც შენ მიჰმართე ერთხელ ჩვენს სამშობლოს, „ცაფირუზ ხმელეთ ზურმუხტსა: „ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო, დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. აგისრულდა შენი გულის წადილი. ახლა მიმავალმა მთაწმინდას დიმ. თავდადებულთან და ჩვენს ძვირფას ილიასთან უკანასკნელად გადაავლე თვალი საქართველოს ყოველი კუთხიდან მოზღვავებულს ხალხს და იქრო მიხვიდე დიდ ილიასთან, მიუტანე მას ჩვენი ამბავი, არ მომკვდარა, უკვე გაიღვიძა თქო და თუმცა იგი გულნაკლულად არის ჩვენზე მისი უმანკო სისხლის დანთხევისათვის, მაგრამ დიდსულოვანია, გულს მოიბრუნებს ჩვენზე და კარგი ამბავის მიტანისათვის სიამოვნებით გადაგკოცნის. ინახულე აგრეთვე ჩვენი დიდებული წინაპარნიც—დიდი დავით,

უძველესი მხედართ მთავარი, უკვდავი შოთა, სხივმფენი თამარ, გმირი ირაკლი და სხვანი—„გუნდნი და გუნდნი ვაჟკაციანი, მამულის მფარველნი“. უთხარ მათ, ღვაწლი მამა-პაპათ არ გამჭრალა თქო; მკლავით ძლიერნი ქართველნი, რომელნიც მუდამ იბრძოდნენ ქრისტეს სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის, ახლამსოფლიო ომში ჩაბმულან და ლომებრიბრძვიან, რომ თავის სისხლით საუკეთესო მერმისი დაუმზადონ თავის სამშობლოსათქო.

მშვიდობით, დიდებულო მგოსანო! გეთხოვებით ქართული გიმნაზიის მოწაფენი და მასწავლებელნი. მოწაფეებმა დამაბარეს შენთან, შენს ანდერძს არ დაევიწყებთ, ხატად გვექნება გულში შენი „სატრფოს“ მომხიბლავი სახე, რომელსაც შენ მუდამ თავს ევლებოდი შენს სიცოცხლეშიო.

მშვიდობით!..

8 თებერვალი 1915 წ.

თბილისი.

ს კ ა კ ი ს

(წარმოთქმული ცხუდართან თებერვლის 5, გორის სადგურზე)

სულმნათო, ილიასთანა
 ვითხრიან აკლდამასა,
 შეეტკბი ვითა ძმა ძმასა,
 როგორც რომ შვილი მამასა!
 მტირალი დედა ქართლისა
 გიგალობთ სულთათანასა
 და შვილებივით დავითიც
 გეტყვისთ ზეციურ ნანასა
 რა მოჰკლავს იმ ერს, რომელიც
 ზრდის შვილებს თქვენისთანასა!!.

სულმნათო, ქართლის ბედისა
 გერგო ტარება კისრითა,
 ბევრჯელ იკვნესე მის ვარმით,
 როგორც დაქრილმა ისრითა.
 მის სიხარულით ჰხარობდი,
 იწოდი კეცხლით მისითა,
 და ბოლოს სამარეშიაც
 ჩახველ იმავე ფიქრითა!
 და ღმერთი საქართველოსი
 ჩემებრ პატარა კაცებსა
 თქვენი უსაზღვრო ღვაწლითა!
 ძალღონეს უსაკეცებსა!!.

თ. რაზიკაშვილი.

აკაკის დაკრძალვის დღეს

„მისთვის მომცა ღმერთმა ესა
სიმაართლისთვის გავიწირო,
ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო.
თუნდა ქვითაც დავიკირო;
მოძმის ვიყო შემწე ჭირში
ვისხარა და გავახარო,
რაც კი ვნახო მასში ცუდი
გამოვსთქვა და არ დავეუარო“.

აკაკი.

ღღეს ვასამარებთ იმ დიდებულ ადამიანს და ზეცის მუშას, რომელმაც თავისი მაღალი დანიშნულების შესახებ ასეთი მაღლიანი სიტყვები წარმოთქვა და აღნიშნა თავის დროშაზე... დღეს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ მას, ვინც ნაწილის განმავლობაში დღე და ღამე უმღეროდა ქართველ ერს ძმობა-ერთობისა და სიყვარულის დამყარების შესახებ!.. ვინც ნახევარ საუკუნეზე მეტი მედგრად ებრძოდა ბოროტებასა და უსამართლობას და პირად თავის მწუხარებას კი არ უწევდა ანგარიშებს და არაფრად სთვლიდა!.. ვინც ქართულ მწერლობას მესამოცე წლებიდან წინ გაუძოვა, გარდაქმნა იგი, მუშაკთა რიცხვი გაამრავლა და ოჯახი სკოლას შეუკავშირა!—დიახ, დღეს უნდა გამოვეთხოვოთ საუკუნოდ ჩვენს ერთგულ ჭირისუფალს, ჩვენი მწერლობის მამათ-მთავარს და საყვარელ მსცოვან მგოსანს აკაკის!..

აწ ვედარ ვიხილავთ იმის ღვთაებრივ სახეს, იმის გრძნობიერ და ნათელ თვლებს!.. აწ ვედარ დავსტკებებით იმისი ტკბილი ბულბულის ენით!—მშვიდობით, საქართველოს ბულბულო და დიდო მასწავლებლო! მე არ შემძლია გამოვსთქვა შენი ქება-დიდება; რაც შენი იუბილეს დღესასწაულობისა და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში მოგზაურობის დროს

გავიგონე, იმაზე უკეთესს მე ვერაფერს გეტყვი. ხალხო დღეს მეც ჩამოველ საქართველოს დედა ქალაქ თბილისში, რათა უკანასკნელად გადავალო ძველი შენს სპეტაკსა და სხივ-მოსილ ქალარას, და ამასთანავე გადმოგცე, რომ მთელ ქართველ ერთან ჩვენც ქუთაისის დაბალი პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელნი საერო და სასულიერო უწყებისა მუხლ მოდრეკით თაყვანს ვცემთ შენს ცხედარს და სიტყვას გაძღვეთ, რომ ჩვენ მოსწავლეებს გაუღვივოთ გულში ნაანდერძევი შენ მიერ სიმაართლის მსახურება და იდეალი, რომელსაც შენ თავ გამოდებით ემსახურებოდი შენს სიცოცხლეში.

მშვიდობით, ძვირფასო მასწავლებლო! თუმცა შენ ხორციელად მოგვშორდი, მაგრამ შენი ღვთაებრივი სახე სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში; ქართველი სახალხო მასწავლებელი; ვიდრე იარსებებს ქართველი. ერი, ყოველ დღეს ვახსენებს სკოლაში და ვერ დაივიწყებს შენს სულს!*)

ლადო ბზვანელი.

*) ეს სიტყვა უნდა წარმოეთქვა ავტორს, როგორც ქუთაისიდან ჩამოსულ წარმომადგენელს, მაგრამ რადგანაც კომიტეტის მიერ სიტყვების რიტხვი განსახდგურული იყო, ამის გამო, როგორც სხვა მრავალი, არც ეს თქმულა.



Handwritten text in Georgian script, partially obscured and difficult to read. It appears to be a list or notes related to the photographs.



აკაკის მამა თავადი როსტომი აკაკის დედა ეკატერინე ივანე
წერეთელი. აბაშიძის ასული.



აკაკი სტუდენტობის დროს და მისი საცოლო
ქ-ნი ბაზილევსკისა.

ს კ ა კ ი ს.

ჩვენ ბევრნი ვართ, შენს კალთაში, შენის ჩანგით გამოზრდილნი,
ვით ყვავილნი მრავალფერნი, ჩვენს მამულში ტურფად შლილნი;
ჩვენ შენს ხსოვნას ნათელ-ძხიურს მოკრძალებით გარს ვებვევით;
და შენს ლოცვას მარადიულს ვიმეორებთ სიმთა რხევით.

ჩვენ სიმება შენი ჩანგის დავირიგეთ თითო-თითოდ,—
გვსურს, მოძღვარო, შენი ღმერთი ჩვენცა ვაქოთ, ჩვენც ვადიდოთ.
ჩვენ აკინძავთ ჩვენს სიმღერებს, ყვავილებით დავამშვენებთ
და გვირგვინად შეკრულ ჰანგებს შენს საფლავზე დავასვენებთ.

და თუ ჩვენი სიმთა ტალღა ათამაშდა ვით ჩანჩქერი,
თუ შეეკმინით ლოცვა წმინდა, ლოცვა შენი შესაფერი,—
შენ მიიღე ის ღალადი, ანთებული ვით პატრუქი.
შენი შენვე დაგიბრუნდეს: მზეს უჩრდილოს—მთვარის შუქი.

უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა

(დიდებულ აკაკის ხსოვნას)

შინც ხალხისთვის არ დაშურა
თვისი ღონე, თვისი ძალა,
ვითა ფთილი მშობელ ერსა
შეეწირა, ენაცვალა;
ვინც უარყო საკუთრება,
გაუწოდა მოძმეთ ხელი
და გაიყო ჩაგრულთ ურვა,
გულის დარდი—ფიქრი მწველი;
ვინც ძრწოლაში მყოფ თვის ხალხსა
ბრძოლის ჰიმნებს უგალობდა,
შურსა, მტრობას, სიშულღვილსა
კაცთა შორის მარად გამობდა,—

იმის სახელს ვეღარ ჩაჰკლავს
თვით ცხოვრების შავი ხანა:
აწმყო გლოვით მუხლს მოიყრის.
იმის წმინდა ცხედართანა;
მომავალი უკვდავების
ძეგლს აუგებს მოკრძალებით
და ყოველ წლივ მის საფლავსა
მორთავს ცხოველ ყვავილებით;
მისი სიტყვა ყველასათვის
შეიქნება წმინდა მცნებად
და სახელი კი დარჩება
ხალხის გულში უკვდავებად.

ა. ფანცულაია.



აკაკი

8 თებერვალს ქართველი ერი სამუდამოდ გამოეთხოვა თავის საყვარელს, სასიქადულო შვილს აკაკის, მაგრამ ეს გამოთხოვება ისეთი ძლიერი იყო თავის შინაარსით, რომ იგი არასოდეს არ ამოიშლება ქართველი ერის ხსოვნიდან, მარად აღბეჭდილი იქნება მის მგრძნობიარე, მხურვალე გულში. ეს დღე იშვიათი ისტორიული დღეა. ჩვენი პატარა, მაგრამ სულით ძლიერი, საქართველოს თითქმის ყოველი ნაწილი, მთელი საქართველოს მკვიდრნი: კახელი, ქართლელი, იმერელი, გურული, სვანი, მეგრელი, აფხაზი; ყველა წოდებათა წარმომადგენელი: თავადი, აზნაური, გლეხი, მუშა ერთსულოვანი, ერთგვარი გრძნობით შეკავშირებულან, გლოვობენ სათაყვანებელი მგოსნის დაკარგვას. მაგრამ ყველაზე უფრო დისაღსანიშნავი ის არის, რომ ამ დღეს არა მარტო ქართველნი, არამედ კავკასიის ეროვნებათა თითქმის ყველანი ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას, თავიანთ წარმომადგენელთა სახით თანაგრძნობას უცხადებენ მეზობელ ერს—ქართველებს.

რითი დაიმსახურა აკაკიმ ასეთი ერთსულოვანი პატივისცემა და სიყვარული?

აკაკი იყო ნამდვილი მგოსანი, ნამდვილი მწერალი ამ სიტყვების ფართე მნიშვნელობით. დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა უკანასკნელ ცხოვრების წუთამდე მას არ გაუგდია ხელიდგან კალამი, სიკვდილამდე მხოლოდ ერთ პროფესიას ემსახურებოდა. იგი არ გაუტაცნია არც ჩინ-ორღენებს, არც საზოგადო დაწესებულებებში თბილს საპატიო ადგი-

ლების ძებნას. იგი დაშორებული იყო ამ დაწესებულებებში არსებულ წუმპეს. იგი, როგორც სიმართლის მოსამსახურე მარად მოსარჩლე გამოდის მხოლოდ სამართლისა და, როგორც „ბოროტების მტერი“ დამგობი სიმრუდისა. „გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რო ვისმე მივეფერო და გამიხმეს ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმ ვაჟღერო“. ამ პრინციპით გამსჭვალული იგი არ ეკუთვნებოდა არა ერთს ჩვენში არსებულ და მომქმედ პოლიტიკურ პარტიას, ამიტომაც მისი სული არ იყო პარტიული, ჯგუფური ფანატიზმით გაჟღენთილი. ბავშვობაში გლეხის ღუბჭირ ცხოვრებას გაცნობილი, გლეხის შვილებთან სიყრმიდამვე აღზრდილი, გლეხის ცხოვრებასთან კარგად გაცნობილი აკაკი 60-იან წლების მოღვაწეთა რაზმში ეწერება. მაღალ კეთილშობილური გრძნობებით გატაცებული იგი მაშინდელ ჩვენ საუკეთესო მოღვაწეებთან დიდ ილიასთან; ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან და სხვებთან ერთად გამოდის ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ, გლეხის განთავისუფლების მომხრედ და ჩაგრულთა მოსარჩლედ.

„მუშეხო, თქვენი მარჯვენა
იკურთხას ოფელით ნაბანი,
მიწაა თქვენი ღოგანი.
და ლაჟვარდი ცა საბანი!
მიმხვდარი არის ეგ თქვენი
შეუბღაღავი გონება,
რომ პირუტყვსავით არ შვენის
ქათველ კაცს სხვისი მონება“.

სამშობლოს ბედნიერებას: გლეხკაცობის განთავისუფლებას, მისი ცხოვრების

პირობების გაუმჯობესებას მგოსანი ხედავს მხოლოდ სწავლა-განათლებაში, შეგნებაში, ერის კულტურულად და ეკონომიურად აღორძინების საქმეში.

სამშობლო მგოსნის სათაყვანებელი ხატია. მას უყვარს სამშობლო არა ისე, როგორც ზოგიერთს ცრუ „პატრიოტებს“, არამედ ჭეშმარიტის გულთ, ჭეშმარიტის გრძნობით. მას უნდა შეაერთოს ყველა და შეერთებული ძალით მიაღწეინოს მიზანს.

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე—მთელი ქვეყნა
და რამ ვიწოდებ, ვდებოდებ
არ შემიძლია მეც განა?
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
შტრებისთვის სახანობელაო,
შტრების ვაი დედა ვაძახეთ,
ოდელა დელა დელაო“...

„ძმობა ერთობა, თავისუფლება“ მშრომელი ხალხის განთავისუფლება, აი რა იყო და არის აკაკის მთელ ნაწარმოებთა დედა აზრი. ისტორიული დრამები, „პატარა კახი“, „კულდურ ხანუმ“, „თამარ ცბიერი“, პიესები: „ხანის ვეზირი“, „სკაპენის ცულლუტობა“, „ბუტიაობა“, „ახალი გმირი“, „გაიძვერები“, „სცენები საპატიმროში“, პოემები: „ბაგრატ დიდი“, „სოლომონ მეფე“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში აჩუკი“, მრავალი სა-

ლირიკო ლექსები, იგავ-არაკები, პოლემიკური ხასიათის წერილები, საკუთარი ჟურნალი „კრებული“ სხვა მრავალი— აი რა ეკუთვნის აკაკის კალამს, მის კალამის ნაშრომს.

ქართველმა ერმა არ დაივიწყა თავის საყვარელი მოღვაწის სამსახური, და თუ არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემგზავსოს, იყოს სოფელში და სოფელსკი არაა არგოს; „არც ერთი ვარგა თუ ცოცხალი, მკვდარს დაემგავსოს ჰყავდეს მოღვაწე და მისი ღვაწლი არ დააფასოს. დიან აკაკის ღვაწლი არ დაივიწყა მშობელმა ერმა და არც დაივიწყებს არა სოდეს.

მოზარდი თაობა ღრმად აღიბეჭდავს გულში მსოვანი მგოსნის ნაანდერძებს, დრო გამოშვებით მიმართავს მის სურათს და წრფელის გულით აღიარებს:

„სულ-მნათო, მადლი შენს გაშჩენს!
დიდება ექსა შენს მშობეჯს,
და ძეგლად სამანადისოდ
ნეტარ სსენება ამ სოფელს!“

შენ ნიშნად უკვდავების
ერს მოვლენილხარ განკებით,
გ. ა. ტისარტეელა წარდგინას
უნდაურისა ჰსანგებით“.

გ. ობჩელი.



აკაკის გარდაცვალების გამო

(მოგონება)

როცა სათქმელი იყო—ვსთქვი თავის დროზე და ჩემს მიერ თქვენდამი მოძღვნილ ლექსშიაც გამოვსთქვი: დადგება მალე იგი დრო, ქართველობა ძმურად შეკრბეს და ღირსად თაყვანი სცეს შენ და ილიას სახელს—მეთქი და, გინატრე: გეცოცხლოს—შვება თვით გეგვრძნოს სულისა! და ეს აღსრულდა!!

თვით იუბილეზე—მოსალოც მოკლე სიტყვით ეს მოგახსენე: მეტად მიმაჩნის რაიმე სიტყვის წარმოთქმაც კი. თქვენს წინაშე ახლა-მეთქი.—

და აი, ახლა მით უმეტესს, როცა ვიხილე მეფური განსვენება შენი, ერის მიერ დიდებული—შენი შესაფერი გლოვა; ჩავსთვალე არა საჭიროდ კიდევლა რისამე წარმოთქმა ჩემგნით, დიად ცხედრის წინაშე. ეკლესიაში ვეამბორე კი შენს კუბოს, მუხლ მოდრეკილი, მწუხარე ფიქრთან ერთად, სადღესასწაულო, აღფრთოვანებულ გრძნობით, რადგან თვით სიკვდილი შენი გარდაიქმნა დღესასწაულად!—რადგან თვით სიკვდილში ვხედავთ შენს უკვდავებას!!!

მაგონდება ჩემ მიერ ნახული სიზმარი, თქვენთან ნაამბობი; მის მოსმენაზე ღვთიური სახე შენი, რაღაც შუქ-მფინავ შარავანდელით შეიმოსა და მოღიმარაბა დიდ ხანს გაჩუმებულმა მიცქირე.

„მრავალმა ხალხმა—ვით ქიანქვლის გროვამ თითქო დაჰვარა ქვეყანა და მოისმა ყრიამული, უცნაური ხმაურობა! შევირბინე ერთ ცარიელ ოთახში, რომელიც ანაზღად გაშუქდა ბრწყინვალე

შუქით! და,—ამას რას ვხედავ: ოთახის ქერში, ოთხივე კუთხივე მოსჩანან ჰაერში მდგომნი—დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე—მეფურის ტანისამოსით: ილია და აკაკი! ოთხივენი ნეტარის, კმაყოფილის ღიმილით მალლიდგან გადმომცქერაღნი!

ვუსცქერ ვაოცებული—ჰაერში როგორა სდგანან?! თუ სურათებია მათი კედლებზე, სარკვეც აქვეა სადმე, შასში მოსჩანან, მე კი ცოცხლებად მეჩვენენ! ვათვალიერებ კედლებს, არსადაა სურათი, არსად სარკვე. ავიხედავ და ისევ გადმოიყურებთან მხიარულნი ორი მეფე და ორი სახელოვანი მოღვაწე“.

აღბად, ბ-ნო აკაკი,—დავათავე, მომავალი კარგს გვიქადის—მეთქი! პასუხათ, ღიმილით რამოდენჯერმე გაიმეორე: ჩინებულია და რაღასაც კი უნდა ნიშნავდესო!“

მაგონდება ტკბილი საუბარი შენი, და დაუვიწყარია ჩემთვის ეს სიტყვაც, ნიკო ნიკოლაძის დას, ანნას, რომ უთხარით, დედა ჩემის გარდაცვალება როცა შეიტყუე და მინახულეთ დიდათ შეწუხებულმა: „რათ მინდა თავი ცოცხალი ამას ასე დამწუხრებულს ვხედავდე“—ო. — ვრწმობიერმა, ზეამაღლებულმა გულმა გათქმევიანათ ეს. დედა იყო ამისი და—ჩემი მეგობარი, მამა იყო და—მეგობარო. ეს-და მოვისაზრეო,—დაუმატეთ და—მომმართეთ: „რალა გითხრა, კარგად იცი, ყოველთვის ვცდილობ შენთვის, მაგრამ... ვერა გავაწყე-რა... ეჰ, ნურაფერი გავვი-

კვირდება..—მე კი, ჩემით ეს შემძლიან: მინდა კიოსკის გამართვა საკუთრად ჩემი წიგნებისათვის და ამ ჩემ საქმეს შენ განდობ—თუ შენც ისურვებ გონორარიც კარგი გექნება და გაერთობი კიდევ. ამხანაგ დედის დაკარგვით ნუ მიეცემი მწუხარებასო“.

ნება შენგან მოძღვნილი მშენიერის ყლი-თა და შენი სურათით ეს წიგნიც, რომელზედაც წააწერტ: „ქართველ ქალს—სახსოვრად ავტორისგან“.

განისვენე უკვდავო, ჩვენო საყვარელო აკაკი—სიამაყე შენის გამოფხიზლებულის ერისა!!!

ნატ. გიგაური გაბაევე-გაბაონელისა.

10 თებერ. 1915 წ.

თბილისი.

ბევრი რამ საგულისხმო გითქვამს ჩემთვის, რაიცა სამუდამოდ დაშობა ჩემს ხსოვნაში. ძვირფას განძად მაქვს და მექ-

მწუხრის ჟამი

საუკუნოდ ჩაესვენა
მზე ცხოველმყოფ სხივთა მსრბოლორ;
მოსხლტა სხივი ობოლ ვარდსა,
მზის გულმკერდზედ ანათროლოი!..

შეჭკრთა ვარდი... მწუხრის ჟამის
ცივმა სულთქმამ გადაჰკოცნა
და არყოფნის ბნელ წყვილიადმა
შთანთქა ყოფნის ტკბილი ზოცვანა!..

გარნა სხივი, თბილი სხივი—
ვარდს სიცოცხლე რომ შთაჰბერა,
კვალად ღვივის ვარდის გულში,
ღვივის ყოფნის ტკბილი ჟღერა!—

და მზე თუმცა ჩაესვენა,
ვარდს ვერ მოჰფენს ახალ სხივებს,
მის ბაგეზედ ვერ აღაგზნებს
თვალ-მარგალიტ ნამის მიძივებს;

მაგრამ განვლილ ყოფნის შუქი
ვარდს კვალად თავს დასცივლივებს
და მის გულში უკვდავების
დაუშრეტელ ცეცხლს აღვივებს!..

ილ. გოგია.

საკაკის ხსოვნას

„ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტმა მხარემ
გულს მიისვენა მნათობი თვისი,—
„სულის ჩამდგმელმა“ თვით სულის ჩამ-
დგმელს
დღეს აუსრულა ნატვრა-ხალისი!..

*
და აქვითინდა მწარედ „ჩონგური—
ეს საქართველო“—დაობლებულრ,—
„სული იცლება“ გლოვის ჰანგებში
ზედ წმინდა გრძნობას „აღნება გული“.

*
„და შეერთებით, ხმა შეწყობილად“
მოსთქვამენ „სინნი—ქართველთ შვილები“
და უკვდავების გვირგვინს უწნავენ
მას იღუმალად მომავლის ხმები!

*
ეს წმინდა ხმები, მისგნივ შობილნი,
მასვე ჰმოსავენ შარავანდელით...
და მომავალსაც აფრთოვანებენ
ახალ ცხოვრების ახალ იმედით!..

ილ. გოგია.

აკაკის ხსენებას

(უკანასკნელი საღამო)

ამ უკანასკნელ წლებში ბედმა გვი-
მუხბოლა...

სამშობლო ცას მოსწყდა კიდევ ერთი
მოკიანე, გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი...
სამუდამოდ განისვენა იმ ადამიანმა, რო-
მელიც 57 წლის განმავლობაში „ვარდსა
და ეკალზე“ თანაბრად მღეროდა, მშო-
ბელ ერს ლამპარივით გზას უნათებდა და
ცხრაკლიტულში დამწყვდევულ „ნესტან-
დარეჯანის“ განთავისუფლებისკენ მოუხ-
მობდა... მოკვდა ის, ვისი ლექსები ღრმად
სწვდებოდა ხალხის გულს... და მაღალ
გრძნობებს უღვიძებდა, ატკობდა.

აღარა გვყავს ჩვენი დიდი მოჭირბაზუ-
ლე აკაკი...

გარდაიცვალა უდიდესი მასწავლებელი,
ქართული ენის ქურუმი, სამშობლოს
მუდმივი დარაჯი, უანგარო მოღვაწე...

განისვენა მაშვრალთა და ტვირთ-მძი-
მეთა გულის მესაიდუმლოემ, მეჩონგურემ...

აღარ არის. მაღალ იდეალებით გამსჭვა-
ლული და სამშობლოსთვის მხნე მებრძო-
ლი ადამიანი... უღმობელმა სიკვდილმა
სამუდამოდ გააგდებინა მას კალამი, რომ
ლის წვერს ჯერ კიდევ არ შეშრობია
შავი მელანი... მას არ დასცალდა განა-
ხლებული საქართველო ენახა და მით
სიტკობება ეგრძნო მოხუცს.

ვინ იცის რამდენი ფიქრები თან წაი-
ლო? ვინ იცის რამდენი, ჯერ ჩვენთვის
უცხო აზრები მიგყვება ცივ-სამარეში,
ჩვენო სასიქადულო მგოსანო?

მინდა მეც რამე გითხრა, საქართველოს
სიამაყე, მინდა გამოვხატო ურვა და ვი-

ში, შენი სიკვდილით გამოწვეული და
ცრემლთა გუბე დავაყენო, მაგრამ რა
გითხრა მე ახალგაზდამ, იმ ახალგაზდამ,
რომელიც შენს ლექსებზე აღვიზარდე?
და განა შეიძლება მეტის თქმა, რაც შენ
ჯერ მთლად არ გაცივებულ ცხედრის
წინაშე ითქვა ქართველთა მიერ... და გა-
ნა ცხარე ცრემლებს არ ღვრის მთელი
მშობელი მხარე? დიახ! მშობელი მხარე
მოსთქვამს და სტირის დიდებული მოამა-
გის დაკარგვის გამო... მთელი მიდამო,
არე-მარე, ტყე-ღრე ძაძით შემოსილა და
მწარედ იცრემლება... მე კი რაღა უნდა
გითხრა, ერთ მივარდნილ სოფელში
მცხოვრებმა, ისეთ სოფელში, სადაც შე-
ნი სიკვდილის ღრმად დამამწუხრებელი
და საზარელი ამბავი ერთი კვირის შემ-
დეგ გავიგე! მანდ მყოფი ცხარე ცრემ-
ლებით შევამკობდი შენს მარად მომლიმარ
სახეს და შენს გარინდულ ცხედარს თაყ-
ვანს ვცემდი იმ სიყვარულით, რომლითაც
შენ გიყვარდა კეკლეუცი სამშობლო...
გეტყობდი აგრეთვე არასოდეს არ აღმო-
იფხვრება ჩემი გულიდან სიტყვები: „თქვენ
ქართველებს რუსებთან და სხვა ეროვნე-
ბასთან სიყვარულის, ძმობისა და თანას-
წორობის გრძნობა უნდა გაერთებდესთო“.
ეს გვითხარი ხონის საოსტატო სემინარიის
მოწაფეებს ამა ორი წლის წინანდ.

თუმცა შენი სხეული მკვდარია, დიდე-
ბულო მგოსანო, მაგრამ შენი ანდერძი
უკვდავია. განა შეიძლება მოკვდეს ისეთი
ადამიანი, რომელმაც თავის თავში განა-
სახიერა მთელი ერის შემოქმედება?... არა

შენ არ მომკვდარხარ... შენ მუდამ იცო-
ცხლებ ქართველ ერის გულში, სანამ
უკანასკნელი არ აღიგვება დედამიწის
ზურგიდან... აწ კი მშვიდობით, კეთილო
ადამიანო, მშვიდობით დიდებული მას-
წავლებელო, ჩვენი პოეზიის შუქურ ვარ-
სკვლავო... ნახად მიგიკრას მშობელმა
მიწამ დიდებულ ილიას გვერდით თვისი

პირმშო შვილი. ტკბილად განისვენე მე-
გობრებ შორის იმ იმედით, რომ საქარ-
თველო განახლდება და შენი მოძმენი
ჩაგძახებენ. საფლავში: შენი სურვილი
აღსრულდა „მიჯაჭვული ამირანი განთა-
ვისუფლდა და საქართველო აღსდგა
მკვედრეთითო“.

აკაკი სიგუა.

ნუ ვსტირით

ღსრულდა ბუნების კანონი, მოკვდა
აკაკი... კი არ მომკვდარა, მიიცვალა, სა-
ხე გამოიცვალა...

სტირის საქართველო, მოსთქვამს. შე-
ჩერდა ტკბილ-ხმოვანი ჟღერა ჩანგურისა,
რომელზედაც აკაკი ნახევარი საუკუნის
განმავლობაში ამღერებდა, მოსთქვამდა,
გოდებდა, იმედობდა და იმედით ჩაიკრა
გულში მგოსანი ეხლა წმინდათა-წმინდა
მთამ, მთა წმინდამ...

არ გვმართებს ტირილი, აკაკისთანები
არ კვდებიან ისეთ როგორც არ მოკვდა
შოთა, რომლის ავთანდილი დღესაც გო-
დებს და დაეძებს თავის ნესტარ-დარეჯანს.
აკაკის ჩონგური ხომ საქართველოა და
მისი სიმები ჩვენ...

აკაკიმ თავისი ცრემლები ხომ თავის
ერის ნალველში ღესა და ის იხმარა მელ-
ნათ...

აკაკის ერის გული ხომ დღესაც დასე-
რილია, დანალვლიანებული...

აკაკის ამირანი დღეს მიჯაჭვულია...

აკაკი ხომ იმ იმედით მიიცვალა, რომ

მიჯაჭვული ამირანი თავს აიშვებს, განთა-
ვისუფლდება, სიმწუხარე სიხარულათ შე-
ეცვლება...

მაშ ნუ ვსტირით, ტირილი არას გვარ-
გებს, აკაკის იმედს მივსდიოთ, აკაკის გზა
განვგრძობთ, ეკლიანი გზა, მიჯაჭვული
ამირანისაკენ, თორემ ამაღლებული აკაკი
მეორეთ მოსვლის დროს სასტიკად დაგვეს-
ჯის... უმეტესად, ჩვენ, ჩვენ დავისჯებით,
მოსწავლებლებო, რადგანაც აკაკის მო-
მავლისაკენ, იმედისაკენ ჩვენ უნდა მიუ-
თითოთ მომავალ თაობას, რომლის აღზრ-
და ჩვენ წილად გვხვდა. თუ მომავალი
თაობა კარგად ვერ აღვზარდეთ, თუ ვერ
ვაჩვენეთ მას სწორი სავალი გზა კავკასი-
ის ქედისაკენ აკაკის ამირანის ასაშვებათ,
გასათავისუფლებლად, ჩვენც აკაკის ჰაჯი-
უსუბივით სიკვდილი მოგველის, ჩვენი
ჯილდოც ცხელი ტყვია იქნება საფეთ-
ქელში. მაშ ნუ ვსტირით, წინ ამირანის
ასაშვებათ!..

გრ. საქარიქედელი.

ქ. კავკავი.



მოგონება

(აკაკის ხსენებას)

ჯერ ცხრა წლისა თუ ვიქნებოდრი, როცა სოფლის ერთკლასიან სკოლაში დავიწყე სწავლა. თუმცა ბევრი ჩემი ამხანაგები ჩემზედ უფროსები იყვნენ და ამიტომ ხშირად მიმორჩილებდნენ და მაჯავრებდნენ ხოლმე, მაგრამ მაგივრად მე შათ სწავლაში ვსჯობნიდი, რადგან ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე დედაჩემმა მასწავლა სამშობლო ენაზედ წერა-კითხვა, ცოტა ანგარიში და აგრეთვე რამოდენიმე ლოცვა. მასთან არც ბუნებისაგან ვიყავი დაჩაგრული. ამით აიხსნება ის, რომ მალე მასწავლებლის განსაკუთრებული ყურადღება დავიმსახურე და მან თავის პატარა თანაშემწედ დამნიშნა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გამათამამა და დამაახლოვა მასწავლებელთან. ამიტომ მას ხშირად მივმართავდი ხოლმე სხვა და სხვა კითხვებით, რაზედაც ისიც მზად იყო პასუხი მოეცა.

ერთხელ ერთს ჩემს ამხანაგს სასწავლო წიგნებთან ერთად ხელში დავუჩინა ერთი პატარა წიგნი. მე ამ წიგნმა ძლიერ დამაინტერესა, მაშინვე მივედი ამხანაგთან და წიგნი ვსთხოვე. იმანაც შემისრულა ჩემი თხოვნა. წიგნზედ უცბად ამოვიკითხე შემდეგი სიტყვები:

„აკაკი“, „ბაში-აჩუკი“. პირველი სიტყვა, მრეხვედი, რომ სახელია, ხოლო რას ნიშნავდა „ბაში-აჩუკი“, ეს კი არ მესმოდა. გადავხალე წიგნი და კითხვა დავიწყე. მოთხრობა ძლიერ მომეწონა, მაგრამ სამი გვერდის წაკითხვა ძლივს მოვასწარი, რომ გაკვეთილისთვის დარე-

კეს. მეც მაშინვე დავხურე წიგნი და მივედი მასწავლებელთან, რომელიც სარბენზედ იყო გადმომდგარი და თვალყურს ადევნებდა მოსწავლეებს, რომ კლასში წესიერად შესულიყვნენ და ფეხებით ტალახი არ შეეტანათ.

— ბატონო მასწავლებელო, „ბაში-აჩუკი“ რას ნიშნავს? ვკითხე მე.

— ეგ სიტყვა სად გაიგონეო, მკითხა მასწავლებელმა.

მე პასუხის ნაცვლად წიგნი ვუჩვენებ მან გამომართვა წიგნი, ცოტა დაფიქრდა და შემდეგ მომცა პასუხი კითხვაზედ.

— აკაკი ვინ არის? ვკითხე მასწავლებელს.

— აკაკი ჩვენი გამოჩენილი მგოსანია, მიპასუხა მან,—მას ბევრი შესანიშნავი ნაწერები აქვს.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დამაინტერესა. მე წინადაც გაგონილი მქონდა, რომ აკაკი პოეტიაო. მაგრამ მგოსანი თუ სხვა ადამიანებთან ერთად დედამიწაზედ იცხოვრებდა, ეს მე მაშინ წარმოდგენილი არ მქონდა. მე მეგონა, რომ მგოსნები ცხოვრობენ ჩვენთვის უხილავ სამეფოში, საიდგანაც ისანი აწვდიან ხალხს თავის უკვდავ ნაწარმოებებს. ამიტომ მე ძლიერ გამიკვირდა, როცა მასწავლებელმა სთქვა, რომ ჩვენი დიდებული მგოსნის სამშობლო დაბა საჩხერეაო.

მას შემდეგ განვლო თექვსმეტმა წელმა, და ამ დროს განმავლობაში მეც მასწავლებელი შევიქენი.

შარშან ბედნიერი შემთხვევა მომე-

ცა საჩხერეში ჩვენი შეუდარებელი მგონის სახლ-კარი ვინახულე, სადაც რამოდენიმე საათი დაეყავი და უსაზღვრო სიამოვნება განვიცადე.

საუკუნოდ დარჩება ერის გულში შენი ხსენება ჩვენი დიდებულო მგოსანო-მასწავლებლო!

ანტონ ბეკიაშვილი.

აკაკის ანდერძის შინაარსი

აკაკის ანდერძი შესრულებულია ქუთაისის ნოტარიუს დავით აბდუშელიშვილთან 7 ნოემბერს 1912 წ., რეესტრით № 6509 და შეიცავს შემდეგს:

„მე, თავადმა აკაკი როსტომის-ძე წერეთელმა, რომელიც ვიმყოფები საღვთისმეტყველო და მტკიცე გონებაზე, საჭიროდ დავინახე ჩემის სიკვდილის შემდეგ ასეთი საანდერძო განკარგულება მოვახდინო:

„უკვლამ ჩემს კეთილშენადნულ უძრავ ქონებას, რომელიც კი დარჩება ჩემს სიკვდილის შემდეგ, რასაც უნდა შეიცავდეს ის და სადაც უნდა მდებარეობდეს, ვუანდერძებ ჩემს ცოლს ნატალია, პეტრე ბაზილევსკის ასულს, წერეთლისას, და შვილს ჩემსას თავად ალექსი წერეთელს, რათა მათ სიცოცხლეში იუფლონ და ისარგებლონ ამ ქონებით. ამ ქონებიდან სამოსახლო ადგილს შენობებით, მათ შორის კარის ეკლესიით სოფელ სხვიტორში შორაპნის მაზრაში ვუანდერძებ სრულ საკუთრებაში ქართველთა შორის წ.-კ. გამაერცვლებელ საზოგადოებას, რათა იქ გახსნას ჩემ სახელობაზე საქალებო სასწავლებელი;

„ვინახსა კი და დანარჩენ ჩემ უძრავ ქონებას, სრულ საკუთრებაში ვუტოვებ ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგა-

დობას, რათა მან შეჰკრიბოს და გამოსცეს ქართული ზღაპრები, ლექსები და საზოგადოდ ზეპირი თქმულებანი.

„ჩემ ნაწარმოებთა გამოცემის უფლება უნდა გადავიდეს დასახელებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოების ხელში აღნიშნულ მიზნისათვის.

„დანარჩენ მოძრავ ქონებას ვუანდერძებ სრულ საკუთრებაში ზემოდ დასახელებულ ჩემს ცოლსა და შვილს.

„რადგანაც ზემოდ აღნიშნულ სამოსახლო ადგილთან დაკავშირებულია ჩემი გულისათვის ძლიერ ძვირფასი მოგონებანი, ამიტომ ვითხოვ, რომ როდესაც ღმერთი ისურვებს ჩემს მიხმობას, მიმაბარონ მიწას ჩემი სამოსახლოს კარის ეკლესიის გვერდით სოფელ სხვიტორში, ვითხოვ დამკრძალონ უზემოდ და უგვირგვინებოდ. თუ ვინც ნიციობაა ვინმე მოისურვებს ჩემს ხსონას პატივი სცეს გვირგვინით, მე ვსთხოვ მას გვირგვინის საფასური შეიტანოს ხსენებულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში ზემოდ აღნიშნულ მიზნისათვის. ამ ანდერძში გამოთქმულ ჩემი ნების აღმასრულებლად მე ვნიშნავ თავად გრიგოლ ნიკოლოზის ძეს დიასამიძეს, სერგი ლუკას ძეს ბახტაძეს, კონსტანტინე იოსების ძეს აბდუშელიშვილს და ექიმ ივანე სპირიდონის ძეს ელიაშვილს.

გ ლ ლ ვ ა

ცოდვა არ არის, ეგ ენა
 დაღუმდეს საუკუნედა?
 ფიქრი შესწყვიტოს მაგ ტვინმა,
 ხელეები ეწყოს ღუნედა?
 ცრემლი თვალეებში მაწვება...
 ლამის გადმომსკდეს წყაროდა!
 ვილა სთქვას ტკბილი ლექსები,
 რომ ისევე გავიხაროთა?
 მგოსანო, მოსხივციკარე!
 ცელქ ჩიტივით რო გალობდი,
 ოცნების სამფლობელოში
 ლაღად რო დასრიალობდი;
 ბუნებას რო შეუერთდი
 შენი ციური არსებით,

სამშობლოს ავი და კარგი
 რო გამოხატე სავსებით;
 ამას გთხოვ: ნუ მიგვატოვებ,
 სულ თავზე დაგვეტიალებდე,
 ჩვენს ყოველ ფეხის გადადგმას
 ისევე უთვალთვალეებდე!
 შენი აჩრდილი გვერდთ გვახლდეს,
 შენს აღთქმას მოგვევაგონებდეს,
 ავზუ სინიდის გვიმხელდეს,
 კარგს ქებით მოგვიწონებდეს,
 რომ კვლავ იმედით აივსოს
 შენი სამშობლო მამული,
 აქამდის შენი შემყურე,
 დღეს შენგან დაობლებული!

ს. აბულაძე.

მიყვარს მე დილა, მისი ციმციმი,
 ტრფობის ძახილი განთიადისა,
 პირველი სხივი—ციტ მოწყვეტილი,
 პირველი კოცნა დილის ვარდისა!..

...და როს გიხილე, ვით ეს ყვავილი,—
 ვით იგი სხივი ვარდზე ფრქვეული—
 შენთვის აფეთქდა სიმი, გულისა—
 შენთვის გავშალე ტრფობის რვეული!..

შეგების ცრემლს ვღვრიდი... შენით ვხარობდი,
 დღეს კი, ოჰ, რატომ?... მარტოდ და ვრჩები!..
 ნუ თუ არ გახსოვს ჩემი ვედრება,
 ჩემი ლოცვა და წრფელი სიტყვები?..

გეოა.

ასტრახანი.



სიხოცხლის სილაგაგა

მეყვარნ, როცა ღრუბლის ქულას
სხივი ფერავს ლაქვარდს ცაზე,
როცა სიოხ სურნელება
დალივლივებს ყვავილთ ტბაზე...

* * *

როცა ნიხლი გაპენტილი
კრემლოდ დნება მწვანე მთაზე,
სულს იმედით აცისკროვნებს
ეს სიცოცხლის სილაგაზე!..
კიენა-ფშაველა.



მეგობარს

ოდეს მარტო ვარ მწუხარე, არვინა მყავს მე მეგობრად,
მწარე სევდა გულს მიტანჯავს, თვალეზზე მდის კრემლი ღვარად,
ოდეს ჩემი მოთქმა კენესა არავის არ ეყურება,
შავ-ბედში მყოფს არ მშორდება ნაღველი და მწუხარება.

ოდეს ჩემსა მწარე ფიქრებს არავინ არ იზიარებს,
არვინ ჰკურნავს ალერსითა ჩემი გულის წყლოვს, იარებს;
ოდეს სატრფოც ნუგეშის წილ მღალატობს და მასმევს ნაღველს,
გულს მიდავავს კაეშანიჲ, არვინ მაძლევს, ძმურად მე ხელს.

ოდეს მშობელს აღარ ესმის თვის შობილის კენესა მწარე
და მით გულსა უმრავლდება ვაება და სიმწუხარე,
ოდეს ვწყევლი ჩემს შობის წამს და ვემღური მწარ ცხოვრებას,
სიკვდილს ვუხმობ რომ მოვიდეს, ბოლო მისცეს ჩემს წამებას.

მეგობარო, გულის სწორო, სად ხარ ამ დროს, რომელ მხარეს?
მწარე მოთქმას რად არ უსმენ შენს მეგობარს მგლოვიარეს?
რად არ მაძლევ თანაგრძნობით ობლად შთენილს ძმურად ხელსა?
ბოლოს რისთვის არ მოუღებ გულის მდაგველს ჩემს ნაღველსა?

ბ. გაფრინდაშვილი.

სულ გარდავქმნი

კით დიანა გავფრინდები,
გადავივლი ამ მხარეს,
შავ ღრუბლებსა ავცილდები,
მოვეხვევი ჴელში მთვარეს.

იქ მძლავრ ქარად გადვიქცევი,
მიმოვფანტავ რისხვით ღრუბლებს;
ნელ სიოთი გავადვიძებ
ბნელში ჩამკვდარ ობოლ სხივებს...

სხივ-ნათელით დატვირთული
მივაწურებ მშობელ მხარეს;
გულს გადვუხსნი, გადავკოცნი
ცრემლ მორეულს, მგლოვიარეს...

აქ კი ნამათ გადვიქცევი,
ვეპკურები მზისა ყვაილს,
სიცოცხლისა ხმებად შევსცვლი
შავბედითი ყორნის ჩხაილს:...

შემდეგ მერცხლად გადვიქცევი,
ქიკქიკითა ვუსტვენ არეს,
გაზაფხულსა მივულოცავ
მოკაშკაშე მზეს და მთვარეს...

სულ გარდავქმნი ამ ქვეყანას,
ძველის ნაცვლად შევქმნი ახალს,
ოქროს სხივებს მიმოვაბნევ
ქვეყანაზე, ურიცხვს, მრავალს...

ლ. ძიძიგური.

ის კი იცინოდა... იცინოდა მჭკნარი სიცილით...

ღიდი ხანია რაც აღარ მენახნა ის,
რომელიც ბრწყინვალე იყო, როგორც
უკვდავი სილამაზის დია-ღმერთის აფრო-
დიტას სიზმარი.

და აი დღეს შევხვდი უცაბედად.

მეგონა კვალინდებურად გოროზად
გადმომხედავდა და უწყალოდ დამისერავ-
და ძლივს პირ-შედუღებულს წყლოლებს,
მაგრამ... ეჰ, ნეტავი ისევ კუმტად შემ-
ხვედროდა... ნეტავი რისხვის ცეცხლი
წაეკიდებინა და ნავლად ექცია ჩემი გუ-
ლი, მთელი ჩემი არსება, ოღონდ არ
დამენახნა მისი კრიტი, დამჭკნარი სი-
ცილი.

იგი მიცინოდა... დიან, იგი მიცინო-
და, მაგრამ სადღა იყო ის გიჟმაჟი, უღარ-
დელი კისკისი წინეთ რომ ჰკრთოდნენ
ხოლომე მისს ბაგეზე... სადღა იყო ის ჟუ-
ჟუნი თვალებისა, რომელნიც მესვეტეთაც

კი წააცდენდნენ ქვეყნიურ სიტკბოს საგე-
მებლად, ხორციელ მშვენების სათაყვანე-
ლად...

იქვე... იქვე იყვნენ ის თვალები, მაგ-
რამ ძველებურად ეშხით კი აღარ ჟუჟუ-
კებდნენ—არამედ ჩაცვივნილიყვნენ გუგე-
ების სიღრმეში და იქიდან იყურებოდნენ
ცივი, უსასოო მეტყველებით...

უყურებდი მას და ვცდილობდი მენუ-
გეშებინა თავი, რომ ეს ის კი არ არის—
აფროდიტის მზიური სიზმარივით რომ
ბრწყინავდა... არა! ეს მიცვალებულის
სულია და მწარე სიცილით დაჰყურებს
თვისს გაციებულს სხეულს, რომელიც
ერთხელ სალოცავ კულტად მიაჩნდათ და
ახლა კი იშლება, ისპობა ციციქნა ჴიათა
ლაშქარისაგან...

ასე ვნუგეშობდი მე—ის კი იცინოდა...
იცინოდა მჭკნარი სიცილით და დაჰეშა-

რიტებით მარწმუნებდა, რომ ის სწორედ აჩრდილია იმ ადამიანისა, რომელიც აფროდიტის სიზმარს შევადარე, სულია იმ ადამიანისა, რომელიც ერთხელ კვის ლაქვარდის ქალწულებრივ სიწმინდეს ემეტოქებოდა და დღეს იცინის, იცინის მწარე სიცილით იმიტომ, რომ მისს არსება-

ში ქალარა დრომ უკვე დაიწყო რღვევა სიციცხლისა და შორს აღარ არის ის წუთი, როცა მას მთლად მოჰკვეთს—მოსთლის უღმობლად და მისს უძრავ ნეშტს სამარეს შესძღვნის ქია-ღუაფა გასასუქებლად...

დ. თურდოსპირელი.

სურათი

მზისა არის ესე შუქი თუ მთვარისა? სადღესასწაულოდ თითქო გაბრწყინებულა! უფრო იმ ადგილს ანათებს, სადაც ხალხი სდგას, სით მოისმის ჩვენის მოძმეთ ხმა ყრიაშულსა! ეს რაღაა?—საუცხოვო დასანახავი: ქალი ნარნარი, ბროლის ხელით წინ გამოწვდილი, ნელ-ნელა სამარიდან წამოიწია, დიდი ხნიდან აკლდამაში დაკრძალულია! სილამაზით, სინარნარით შუქს მიმოაფენს მეფურ სამოს-სამკაულით მიმოელვარებს. ნეტარასა ღიმილითა თვალს მიმოავლებს თვის გარშემო—ქართველ ერსა—შემოკრებილებს.

მეფე ქალი კვლავ მღუმარებს, მხოლოდ ღიმილით, ვითა შვილებს უაღერსებს, სალამსა უძღვნის—აღტაცებას მხოლოდ სახით გამომეტყველებს!

ზეცილად იხმა ამ დროს მომხიბლავი ხმა: „მეფე თამარი საღათას ძილით შეპყრობილი, ვინც მკედრათ ჩასთვალა—დაინახეთ რა შემცდარია!..“

თამარ ნაზი, მეფის გვირგვინით შემკობილი, ზე აღიმართა, საამო ხმით გამომეტყველი:

ქართველთა ტომნო, ძველნო ქართველნოც—მაჰმადის სჯულზე უნებლიედ მონათლულებო, საერთოთა აქ შეკრებილხართ!?

—ჰო, მეფეო, რომ შენთვისა ქვესკნელშია გვეუწყებინა: „მამაცი ბრძოლა ქართველმა კვლავაც იჩინა—ძმობის ერთობის და სამშობლოს დასაცავად!—დაიქნება საქართველო მარად ქებული—შენ სახელთან ერთად მარად—სადიდებელი!“

ამ დროს ისევე გამოისმა ხმა ზეციური, ოქროს სვეტად ჩამოეშვა ციდან სხივები: „მოღვლინე ზეცავ, ამ ერს ხანა ოქროსი, —რომ საქართველო—შვენებით მსგავსი წალკოტის, ახალის ძალით მოსილი კვლავ აყვავილდეს!!“

შესწყდა ესე ხმა და სურათიც მიმოიფანტა. იყო ჩვენება თუ ოცნება—ეს აღარ ვიცი; დამრჩა კი გულში საიმედო, თითქო ჩურჩული: მოვლენა ესე იყო კარგის მომასწავლები: ამ სურათის ხილვაც ცხადლივ იმის მთქმელია: აღსდგა თამარი!—მაშ, აღსდგება მისი ერი“.

ნატ. გიგაური-გაბაევი-გაბაონელი.



ცხოვრების პირველ საფეხურზე

(ფსიხოლოგიური კითხვა)

I

ნესტორი ობოლადე და მისი მეუღლე ტასო თუმცა სრულებით ახალგაზდანი, მაგრამ ცხოვრებაში კარგა შეგნებულნი და გამოცდილნი იყვნენ, როდესაც მათ თამრო ეყოლათ.

ახლად დაბადებულმა პირველმა ასულმა ისეც ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით გატაცებულნი უფრო და უფრო შეაკავშირა, მათი სული და გული ერთმანეთს ჩააკონა. მათ თავიანთ სიცოცხლის საგნად მართო პატარა თამროლა დაესახნათ; მას შეჰყურებდნენ, დასტრიალებდნენ, თავს ევლებოდნენ.

თამრომ პატარაობით თავის ჩხვილტირილით ბევრჯერ მოაბეზრა თავი დედამას, მაგრამ არც დედის და არც მამის პირიდან ერთხელაც ან დაძრულა: დაჩუმდი ან დაიძინე, თორემ აგერ ბუა, ტურა, მგელი, გლახა მოდისო.

თამროს მშობლებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ამ სახელების გაგონება ჭკვა-გონება აღებულ ბაღს შიშის-ხარსა სცემს, აბლაბუდაში გაბმულ ბუზივით, სხვა და სხვა შავ-ბნელ ფიქრების ქსელში აბამს, დღე შემზარავ სურათებს უშლის, ღამე სიზრმებათ ეჩვენება მის ნორჩ გონებას. თამროც გათამამებულ-განებიერებული; მშობლების თვალში დღითი იზრდებოდა და არა წლითა. სამი-ოთხი წლის თამროს გიშერივით შავი თმა კულულად დაეყარა მხრებზე, შავი კუმეტი თვალები, შავი გადაჭიმული წარბები, მძივივით ას-

ბმული მოელვარე კბილები, შავგვრემანი, სიწითლით შეზავებული, უფრო კი ხორბლის ფერი ნაზი სახე და აყრილი ტანი მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. ეს შემკული პატარა არსება, დედასავით მთელი დღე სახლს დასტრიალებდა, რასაც დედა ან მოსამსახურე გოგო, მარო, აკეთებდა, უეჭველად თამროსაც ის უნდა გაეკეთებია, თითქოს მთელი ოჯახი ამ პაწაწაზე იყო დამოკიდებული, მთელი ოჯახის მზრუნველი და ბატონ-პატრონი ესა ყოფილიყოს: ყველასა სწვდებოდა, ყველა უნდა გაეკეთებინა.

მოთმინებიდან გამოსული დედა და მარო ხშირად ბუტბუტებდნენ:

— თუ თავს დამანებებ და მომასვენებ, შენი არაფრის გაკეთება არ მინდა!

ნესტორის სახლ-კარო, რომელშიაც პატარა თამრო დასტრიალებდა, ქალაქის შუაგულიდან მოშორებით, ცოტა მალეობ გადაშლილ ადგილზე, მშვენივრად გაშენებულ ბაღს თავში იყო ამართული. ეს სახლი გარედან კოპწია პატარძალივით, მორთული იყო და შესდგებოდა ოთხი კოხტადვე მორთულ ოთახისაგან. ორ მხრით შემორტყმულ გულ-ღია აივნით, თავის თლილი ქვის ათ საფეხურიანი კიბით. ამ კოხტა ერთ სართულიან სახლს სურო-ბალახით დაფენილი, შიგა და შიგ დაბურულ ხეხილის ჩრდილით დამშვენებული მწვანე ბიბინა ეზო უფრო მეტ სილამაზეს აძლევდა.

აივანზე კარების მარცხენა ფანჯრის იქეთ, კედელზე, ერთი ადლის სიმაღლე-

ზე, ჩამოკიდებულ ფართო და ლამაზ გალიაში უდარდელად იმყოფებოდა სრული ერთი წლის კაკაჭი. გალიაში სამ გადებულ ჯოხზე სხლარტად ახტრდ-დახტრდა; გადახტ-გადმოხტოდა და თან ყვიტ-ყვიტ-ჰყიბ-ჰყიბებდა, უფრო თავის განუშორებელ მეგობარს, თამროს იხმობდა თავისთან. თამროც წამდაუწუმ დაუხარებლივ გამორბოდა თავის საყვარელ მატკოსთან და ესაუბრებოდა; უფრო კი ელაკლაკებოდა; ეტიტინებოდა ჯერ კიდევ ჩვილი ენით თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; თავიანთ მეგობრობა-სიყვარულზე.

— ყვიტ-ყვიტ-ყვიტ, ტყიბ, ყვიტ-ყვიტ, გააბა მატკომ. თუმცა ჯერ მარტიას არ დაემთავრებინა თავისი ლაპარაკი, მაგრამ თამრო მაინც შეეკითხა:

— რაო ჩემო მატკო; ჩიჩია გშიან? — მაგრამ თამროს მალე მოაგონდა, რომ სახლში ბალიცა ჰქონდათ, უეცრად გაქანდა ოთახისკენ და თან უკან მოხედვით ეუბნებოდა მეგობარსა:

— მატკო, მოიცა ბალს შოგიტან ეხლავე ბალსა!

თამრომ მალე თავისი პატარა მუქა, ბლის კუნწულებით სავსე გამოუბრუნებინა მატკოს და გალიის მავთულებზე დაუკიდა. მარტია ასეთმა მოულოდნელმა საჩუქარმა გაახარა, ჯოხებზე ახტა-დახტა, გადახტ-გადმოხტა და ბოლოს მალა მესამე ჯოხზე შეხტა, კუნწულას მიუახლოვდა, საჩქაროდ ჯერ ერთი მარცვალი გამოაძრო კუნწულას და გადაყლაპა, მალე მეორე, მესამე, მეოთხე. ცოტა შეჩერდა, ძირს ჯოხზე ჩახტა, მეორეზე გადმოხტა მალე ისევ ზევით ახტა-დახტა, გადახტ-გადმოხტა და კვლავ ზევით ჯოხზე წამოსკუპდა. ყელში დამალული ბლის ჯერ პირველი, მერე მეორე და შემდეგ მესამე

მარცვალი ყელიდან წამოაგდო და იქვე გალიის მავთულებ შუა ჩაჩხირა. ბოლოს მეოთხე მარცვალი წამოაგდო, ცოტა ხანს ნისკარტში დაიჭირა გადახტ-გადმოხტა და ბოლოს ისევ ზემო ჯოხზე წამოსკუპებულმა ბლის მარცვალი ფეხის კლანჭებში გადაიტანა და მადიანად მირთმევა, წიწკნა დაუწყო.

— შაქარი მატკოს შაქარი! — შესძახა მარტიას იქვე თამროსთან მდგომმა მარომ და თან თამროს მიუბრუნდა და უთხრა:

— ქალო თამრო, შაქარი მოჟოტა მატკოს, შაქარი!

თამრომ საჩქაროდ გამოუბრუნებინა შაქრის პატარა ნატეხები თავის მატკოს, რომელმაც სიამოანებით, ყვიტ-ყვიტით ჩამოართო, მაგრამ აქვე გალიის კუთხეში მიკრულ კოლოფში ჩამალა.

II

შემოდგომის პირველმა სუსხიანმა დღეებმა დააფაცურა ტასო. მან თამროს თბილი ტანთ საცმელი უყიდა და ქრა-კერვასაც შეუდგა. ჯერ კაბას უკერავდა საკერავ მანქანაზე, რომელიც ოთახში ტახტის წინ პატარა მაგიდაზე ედგა და ერთობ აზუზუნებდა. თამრომაც თავის კაბისავე ნაჭრიდან გამოუჭრა თავის კუკს კაბა, აბლანდა, თავის პატარა თითები თვე გააწყო კუკის ტანზე, ზედ ქობა დაუდო, დააბლანდა და ახლა მანქანას შესტკეროდა, დედას აჩქარებდა, რომ მალე გადაეცა იმისთვის. ის იყო მოთმინების ფიალა ავესო თამროს, მანქანა უნდა ახლა ძალით წაერთმია დედისთვის, რომ გარედან, მოულოდნელად, ორჯერ ზედი-ზედ შემოესმათ ძახილი:

— ავე ვილაც გეძახის, შვილო, დედა გენაცვალოს, აბა ერთი გაჰხედე ვინ არი,

ან რა უნდა. — ხვეწნით მიჰმართა ტასომ თამროს.

თამრო ფიცხლავ გავარდა გარეთ აი-
უხანზე, ბევრი იყურა აქეთ-იქით, მაგრამ
რაკი ვერავინ დაინახა, ისევ მალე შემო-
ტრიალდა სახლში და უთხრა დედას.

— დედაჩემო არავინ არი!

თამროს ჯერ კუკანასკნელი სიტყვა არც
კი დაეთავებინა, რომ კიდევ ზედი-ზედ
მოესმათ ძახილი:

— თამრო, თამრო, გოგო თამრო!

— როგორ არა, შვილო, ვიღაცა გე-
ძახებს, დედა გენაცვალოს, გადი აივანზე
გზისკენ გაიხედე. — სთხოვა მეორე მდე-
ლამ.

თამრო მეორეთ გავიდა გარეთ; ბევრი
იყურა: ხან გზისკენ, ხან ბალისკენ, მაგ-
რამ მაინც ვერავინ დაინახა; თუმცა გა-
მრცხმაურა კიდევ, და რაკი პასუხი ვერ-
საიდან მიიღო, ისევ შემოუბრუნდა თავის
საქმეს არ გასულა ორი-სამი წუთი, მო-
ესმათ კიდევ გაბმითი ძახილი:

— თამროოო, გოგო თამროოო! —

ტასომ საქმეს თავი დავანება, საჩქაროდ
წამოღგა და კარებიდან დაიწყო გარეთ
ყურება, აშკარად გაიგო, რომ აქ ვიღაც
ეშმაკობდა. უნდა ეთვალთვალა, ნამდვი-
ლად გაეგო ვინ აწუხებდა ტყუილ-უბრა-
ლოთ, ვინ იხსენიებდა თამროს გოგოთ,
ვინ ეძახოდა ესე წამდაუწუმ. თამრომ ეს
შემთხვევა ისარგებლა, ფიცხლავ მანქანას
ეცა, კაბა გაუსწორა ნემსს, ის იყო უნდა
დაეზუზუნებინა მანქანა, რომ კიდევ მოის-
მა ხმა:

— თამროოო, გოგო თამროოო!

— არ იყავი შენ აჰა, შენ კი ენაცვა-
ლე თამრიკოს, და თან ქოქილა მიიყარა,
ამ წყეულს ვერ უყურებ, რა მკაფიოდ
ეძახის ჩემს გოგონას, განა ჩემთვის, რომ
გოგოა თამრო, შენთვისაც გოგოა შე

წყეულო შენა. — გაცეხულად გამოელაპა-
რაკა ტასო მარტიას და თან თამროს მი-
უბრუნდა:

— შვილო თამრო, გენაცვალოს დედა!
რკი ვინ გეძახის? —

— ვინ დედაჩემო? — შეეკითხა თვალვბ.
დასკეტილი თამრო თავის დედას.

— ვინა და შენი მატკო, შვილო! —
კაქკაქისკენ ყურებით დაბოლოვა ტა-
სომ.

გაცეხული და სიყვარულით ყურებამ-
დი წამოწითლებულად თამრო მაშინვე გა-
ლიას მიჰვარდა და თან მატკოს ეკითხე-
ბოდა:

— რა გინდოდა ჩემო მატკო, რას მე-
ძახდი, აბა ეხლა მითხარი! —

მაგრამ მატკომ, მითომ აქ არაფერი
ამბავიაო, თამროს მისვლაზე ახტა-დახტა,
გადახტ-გადმოხტა და ბოლოს მალლა
ჯობიდან არხეინად დაუწყო ძველებურად
ყვიტ-ყვიტო. თამროს და დედას კი უნ-
დოდათ კიდევ გაეგონათ მარტიას ლაჰა-
რაკი, მაგრამ მას, როგორც ახლად ენა
ამოდგმულს, თითქოს შერცხვა, ველარ
გაბედა აშკარად ლაპარაკი.

თამრო თავის მამის შოსვლას მოუთმენ-
ლად ელოდა, უნდოდა თავის სიხარული
მამისთვისაც გაეზიარებინა, მაგრამ ნეს-
ტორმა დაიგვიანა, არსადა სჩანდა.

ტასო მალე მიუბრუნდა თავის საქმეს.
თამროს კი სრულებით გადაავიწყდა კუ-
კის კაბა. ის ეხლა უფრო გულ-მოდგინეთ
დასტრიალებდა თავს თავის მატკოს, რად-
განაც მას ხშირად ეძახდა და თან ხას რას
გაიძახოდა, ხან რას.

III

სალამო ხანი იყო. ნესტორის სახლის
აივანზე, სუფთა და თეთრ სუფრა გადა-
ფარებულ მაგიდაზედ ოღნაფ ჩუხჩუხებდა

სამოვარო. გზის მხრივ ნესტორი და თამარი ესხდნენ მაგიდას, იმთავირად პირ აქეთ კი ტასო და დასუფთავებულ ჭიქებში ჩაის ასხამდა. თამრომ თავისი საკუთარი ჩაით სავესე ჭიქა მიიღვა და საშაქრიდან ჯერ ერთი ნატეხი შაქარი ამოიღო და ჭიქაში ჩააგდო, მერე მეორე. მარტია კი შორიდან უყურებდა თამროს ქცევას.

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა, — გაისმა მატკოს შუროთ სავესე ხარხარი და თან დააყოლა ზედ.

— თამროს შაქარი, ხა-ხა-ხა, —

მარტიას შუროთ სავესე ხარხარს ზედ მოჰყვა: ნესტორის, ტასოს და თამროს გულიანი სიცილი.

— შენ არ იყავი, მატკო, აჰა. — და აბოლოვა ტასომ თავისი სიცილი ქოქოლის მყკით. მამის გვერდს მიკრული თამრო ფიცხლავ წამოხტა და ერთი ნატეხი შაქარი მატკოსაც მიუბრუნებინა, მერე ისევ მამა მისს მოუჯდა და სიამოვნებით ესაუბრებოდა თავის მატკოს ტიტინზე. უფრო ბინდდებოდა. გრილი შემოდგომის სიო, ცივ ნიადავ გადაიქცა. მოულოდნელად ზედ შუა გზაზე, გზის პირას მდგომ ცაცხვის და აკაციის ხეების ჩამოცვივნილი ფოთლების ბოძი ააყუდა კუდიანმა ქარმა, ტრიალით დაგრიხა და ბოლოს ისევ სწრაფად ძირს დასცა. ფოთლები მიფანტ-მოფანტა. რამდენიმე ათი ფოთოლი აივანზე გადაისროლა, ზოგი ფოთოლი კუდიანმა ქარმა პაწაწა გოგონას თმაშიაც ჩაჩხირა. თამროს საყვარელ კოლის მურაბასაც კი ჩააყარა ფოთლის ნაწილები. აცივდა. ლოყაზე თამროს ბუსუსი აეშალა. აივანზე ჯდომა აღარ შეიძლებოდა. ნესტორი წამოდგა, თავის გოგონას ხელი დასტაცა, სკამიდან აიტაცა, გულზე მიიკრა და სწრაფად შინ შეარბენინა. ტასოც მალე შეჰყვა ნესტორს. მარომ

მაგიდა მიალაგ-მოალაგა. აივანი მოიწმინდა, აღარავინ იყო გარეთ გარდა თამროს მეგობრისა. მატკოც ბუმბულ აბურტენული, გაბუებული მალლა ჯოხზე კედლისკენ მიმჯდარიყო, თავი მარჯვენა ფრთას ქვეშ ამოედო, დასაძინებლად მომზადებულიყო. მაგრამ განა მეგობრის გული მოითმენდა, რომ მატკოს იქ აივანზე, გარეთ, სიცივეში დაეძინა? რასაკვირველია, არა, და აი სწორეთ ამიტომ თამრო უწყვედა მამას პატარა თითებით და ბაბს და თან ეხვეწებოდა:

— მამილოჯან, გენაცვალე, მატკოც შინ შემოვიყვანოთ, გარეთ შესცივა, ცოლდა. თუმცა მამამ თამროს მოკლედ აუხსნა, რომ მის მარტიას ამ უბრალო სიცივისა კი არა, ყინვებისაც არ ეშინიანო, მაგრამ თამრო მაინც ვერ დააშოშმინა მამის განმარტებამ. ის კიდევ განაგრძობდა და ბაბაბის წვენა-ხვეწნას. თამრომ ჯერ მამა დაიყოლია და შემდეგ მაროს მიჰმართა:

— მარო, ჩემი მატკო შინ შემოვიყვანე, გარეთ შესცივა, ქარია. —

მამამ მარო გატრიალდებოდა მარტიას შემოსაყვანად, მამა, გალიის ოთახში შემოტანის მაგივრად, სამზარეულოში შეტანას ურჩევდა თამროს და თან ეუბნებოდა:

— სამზარეულოში შეიყვანოს მატკო. შევილო, იქა სჯობია, იქ უფრო თბილა, სახლში სანათებლის შუქზე ვერ დაიძინებს, შუქი მას ძალიან ეჯავრება. —

თამროს დაყოლების შემდეგ, ნესტორი მიუბრუნდა მაროს და უთხრა:

— მარო წადი სამზარეულოში შეიტანე გალია, მატკო იქ უფრო თბილად და არხენად დაიძინებსო!

IV

შუა ღამე გადასული იყო. ნიავე შესწყდა. მშვიდი და წყნარი ღამე დადგა. ყველას ტკბილად ეძინა. ღამის სიმშვიდე, ცოტა ხნობით, სამზარეულოდან კაჭკაჭის გაბმულმა ჩხავილმა დაარღვია. კაცი ამკარად იგრძნობდა, რომ თამროს საყვარელ მატკოს რაღაც უბედურება ეწვია, თითქოს მარტიას ამ შესაბრალ ჩხავილიდან, რაღაც გაუგებარის ხმით;

— თრ-თრ-თრ — ისმოდა.

ალბად მატკოს უნდოდა დაეძახნა თავის მეგობრისთვის:

— თამრო, თამრო, მიშველე. — მაგრამ ვეღარ მოახერხა, ვეღარ გამოუძახა საშველად თავის საყვარელ მეგობარს. შიშის ზარმა ალბად სულ დაუდუნა მატკოს ახლად ამოდგმული, მოტიტიინე ენა. უბრალო ჩხავილიც მალე მისუსტდა, სრულებით შესწყდა.

დილას ნესტორ აბოლადის სახლის კარები პირველმა მარომ გააღო, ოთახიდან სამზარეულოში შევიდა საქმის გასაკეთებლად. სამზარეულოში კაჭკაჭის გაფანტულ-გამოფანტულმა ბუმბულმა მიიქცია მაროს ყურადღება. ბევრი ეძება მოტიტიინე მარტია, მაგრამ ვერსად იპოვნა. სამზარეულოს ერთ ამონგრეულ კუთხესთან ფილაქანზე ეყარა უფრო მეტი ბუმბული და გამოხიწნული მატკოს ფრთის წვერები. ელდა ნაცემი გოგო, კარში გამოვარდა და იქვე ეზოში, ბალის ღობესთან მდგომ ნესტორს დაუძახა:

— ბატონო, აქ მობძანდით, კაჭკაჭი რაღაცას შეუქამია!

ნესტორი საჩქაროდ წავიდა სამზარეულოსკენ, შევიდა შიგ და რაკი მართლა კაჭკაჭი ვეღარა ნახა გალიაში, ძლიერ შეწუხდა, დაათვალიერა ჯერ გალია, რომელსაც ერთი გვერდიდან მავთულები

სულ დაგრებილ-დამტვრეული ჰქონდა, შემდეგ კაჭკაჭის გამოწიწნილი ფრთის წვერები და დაარწმუნდა, რომ იმ ღამეს კაჭკაჭი ვირთავას შეექამა. შეწუხებული ნესტორი სამზარეულოდან გამოვიდა და ოთახში ტასოსთან შევიდა, სადაც ის კამოდის თავს ალაგებდა, მწუხარების გასაზიარებლად. თამროს ის იყო გამოეღვიძნა. ჯერ კიდევ თავის კოხტა საწოლში შეუმჩნევლად იზომრებოდა, ძილს ერკვეოდა.

— ტასო, სწოზედ სამწუხარო ამბავი უნდა გაგიზიარო! — მწუხარების კილოთი მიჰმართა ნესტორმა თავის ცოლს.

ტასომ კამოდის დალაგებას უცბად თავი დაანება, ქმარს მიუბრუნდა და გაფითრებული სახით შეეკითხა:

— რა იყო, რა ამბავია ნესტორ!

— მაგდენი არაფერი. — დაშოშმინებით მიუგო ნესტორმა, რადგანაც შეატყო, რომ ტასო ძლიერ შეშინდა. — მაგრამ მაინც სამწუხაროა. — განაგრძო ნესტორმა!

— რა ამბავია, მითხარი ჩქარა!

— რაღა რა ამბავია, წუხელ ჩვენი მარტია ვირთავას შეუქამია, ფრთის წვერების მეტი აღარაფერი დაუნარჩუნებია და ისენიც ისე გამოუხიწნია, რომ თითქოს ფრთის ძვლები დანით დაუფხეკნიათო. — გულახდით ეუბნებოდა ნესტორი.

მამის სიტყვები: „წუხელ ჩვენი მარტია ვირთავას შეუქამია და ფრთის წვერებიც ისე გამოუხიწნია, თითქოს დანით დაუფხეკნიათო“. თამროს ლახვარივით ეცა, უცბად დაიკოდა მის მკერდ ქვეშ მძგერი პატარა გული. შეუმჩნევლად წაიხურა თავ-პირზე საბანი და თითქოს უსულოდ გადაქცეული, ყურს უგდებდა დედ-მამის ლაპარაკსა.

— რა ვქნა, გალიის კარები ხომ ჩაკეტილი იყო და საიდან შევიდა გალიაში ის

წყვეტილი, ისა! არ მესმის? მწუხარების კი-
ლოთი შეეკითხა ცოლი ქმარსა.

— გალიის კარები რა საჭიროა ყოფილა
ჩემისთვის, როდესაც ისე მიუგრებ-მოუგ-
რებია, მიუმტვრევ-მოუმტვრევია ერთის
მხრიდან გალიის მავთულები, რომ იმჟ-
ღენა ვირთავა აღვილად შებრძანებულა
შიგა.— განუმატა ნესტორმა ტასოს.

— უი დამიდგეს თვალები, რა საშიში
რამა ყოფილა ის წყველი ის შეჩვენებუ-
ლი ისა, აფსუს ჩვენო მატკო; აფსუს,
ისეთი კარგი მოტიტინე მაინც არა ყო-
ფილიყო ის საწყალი ისა! მერე, ნესტორ,
სამზარეულოში საიდანღა შესულა, ხომ
დაკეტილი იყო?— შეეკითხა ნესტორს
ტასო.

— სამზარეულოს კუთხეში ფილაქანი
ამოუნგრევი და იქიდან ამოსულა ის
ღმერთგამწყვრალი ისა.— მიუგო ნესტორმა
და თან კარებისკენ გასწია, ისევ გარედ
გავიდა.

— ვაიმე, შვილო, ვაიმე, რომ შენი
კარგი მატკო აღარ გეყოლება, იმ წყე-
ულ-შეჩვენებულ ვირთავას შეუქამია!—
ამბობდა თავისთვის ტასო და თან კამო-
დის თავზე ისევ ნივთებს ალაგებდა, რიგ-
ზე აწყობდა.

✓

საბანში წაფუჩნულ და სმენად გადა-
ქცეულ თამრიკოს ყველაფერი ესმოდა.
საშინელება ფიქრებმა გაიტაცეს პატარა
არსება. მან თავისი ნორჩი ჯერ გაუფურ-
ჩქნელ-გაუშლელ გონება-ფიქრებით ყვე-
ლა ასწონ-დასწონა და გაჩერდა იმ აზრ-
ზე, რომ იმასაც სწორედ თავის მარტიას
დღე მოელოდდა, რომ იმასაც ღამე ვირ-
თავა მიეპარება და შესქამს.— როგორც
ჩემს მატკოს ვერ მიეშველნენ ჩემი დედა
და მამა, ვერ იხსნეს ის ვირთავის ლო-

ქავ პირიდან, ვერც მე გადამარჩინენ,
ტკბილ ძილს მიცემულნი ჩემი დედ-მამა,
ვერ დამიხსნიან მის პირიდან; მის ჩაყაყე-
ბულ კბილებიდან.— ფიქრობდა თავისთვის
ხშირად ზარდაცემული თამრიკო. რომელ-
საც რაღაც საზარელი; ვირის თავპირის
მქონე, მხეცი ვირთავა ედგა თვალწინ.
საბნის გადახდას; საწოლიდან გადმოსვ-
ლას, ადგომას ველარც კი ჰბედავდა თამ-
რო, თითქოს პირდაღებული ვირთავა
იქვე ელოდდა; დედას კი უგონა, რომ
მის კაწაწა ცუგრუმელი გოგონას ტკბი-
ლად ეძინა.

— შვილო, თამრო, გაიღვიძე დედა
გენაცვალოს, რამდენი გძინამს, — დაბა-
ლის, გაუბედავის ხმით ეძახდა დედა თამ-
როს. ეტყობოდა რომ არ უნდოდა მას
ტკბილი ძილი დაფურთხო თავის გოგო-
ნასთვის; მაგრამ განგებ განაბულ თამროს
ვერაფერი შეასმინა. ბოლოს, ესე მეთუ
საათზე; დედას მაინც თამროს ძალად გა-
მოღვიძება დასჭირდა: საწოლს მიუახლოვ-
და პირიდან საბანი გადაჰხადა თამროს
და ძალად ღვიძება დაუწყო. თამრომ ჯერ
სახე შეიკმუხვნა, თითქოს არ უნდოდა
გამოღვიძება, მაგრამ დედა აღარ მოეშო,
ძალად დახუჭული თვალები ხვეწნა-აღერ-
სით გაახელინა. თამრომ გაიღვიძა, ადგა,
ტანთ ჩაიყო, მაგრამ თავისებურად ველარ
ურბენდა ოთახებს, კარ-მიდამოს, ბაღში
ხეხილებ ქვეშ ველარ დაქკრიალებდა.
ერთი სიტყვით დედას აღარ ჰშორდებო-
და, კაბის კალთაზე მიკრული დასდევდა
მას. რადგანაც დედას თამროს გამოკით-
ხვა-გამოძიებისა ეშინოდა, მან წინდაწინ-
ვე მოკლედ უთხრა თამროს მარტიას ვი-
თომ გალიიდან გამოსვლა და სადღაც
დაკარგვა, მაგრამ თამრომ ყველა კარგად
იცოდა, ის აღარც თავის საყვარელ მა-
ტიკოსა კითხულობდა და აღარც იმის

დაკარგვის გამოკვლევა-გამოძიებას მოეკი-
და, რადგანაც ეშინოდა, თითქოს გამო-
კვლევა-გამოძიება უბედურებას მიუახლო-
ვებდა. დღეები გადიოდა. ყველამ დაი-
ვიწყა მარტია და მისი უბედურობა, მხო-
ლოდ ერთა-ერთმა თამრომ ვერ მოიშო-
რა გონებიდან ის შემზარავი სურათი და
ვირთავას სიმხეცე. შიშმა სრულებით
დაიმონავა პატარა არსება, ცქრიალა თამ-
რო. მისმა სახემ ფერი იცვალა, სიწითლე
დაეკარგა, გამჟღევდა, ცოცხალი შავი
თვალეები მიებნინა, ჩაუცვივდა. იმ შავ-
ბნელ დღიდან ერთი ღამეც აღარ დაუ-
ძინია თამროს თავისებურად, უდარდ-
ლად, ტკბილად. წვებოდა კი დასაძინებ-
ლად, მაგრამ ათასნაირი, ათას გვარი
ფიქრები გაიტაცებდნენ ხოლმე მის ნორჩ-

სა და სუსტ გონებას. თუ მაინცა და მა-
ინც ბევრი ტანჯვის შემდეგ მის სუსტ
ძალღონეს ძილი დაიმორჩილებდა, მაშინ
უფრო უარესი იყო მისთვის, მთელი ღა-
მე საშიშ-შემზარავ სიზმრებში ატირებდა.
ძილში ხან ხტოდა, ხან სლოუკ-სლოუკებდა-
ტიროდა, ხან კიდევაც უცბად დაიწი-
ვლებდა ხოლმე. რაკი თამრომ ფერი საგრ-
ძნობელად დაკარგა, ცუდ გუნებაზე შეიქ-
ნა, მშობლებმა მაშინვე ექიმს პიპმართეს,
ბეჯითად მოეკიდნენ მის წაშრობას, მაგ-
რამ ვერცა-რა ეჭმის წამლებმა უშველეს,
რადგანაც მას საზარელი ფიქრები და სიზრ-
მები თავს არ ანებებდნენ...

კ. ხევისუბნელი.

(დასასრული. იქნება)


ცოტა რამ უჯრედთა შესახებ

მცენარეთა, ადამიანთა და საზოგადოთ
ყოველივე ცხოველთა სხეული უჯრედ-
ბია. მართალია, ადამიანი ყოველი მხრით
უმადლესი ცხოველია, იგი პირუტყვისა-
გან განირჩევა. მაგრამ მისი სხეულის შე-
ნობისაგან არ განსხვავდება. ერთიცა და
მეორეც ამ ელემენტარული ნაწილები-
დან, უჯრედებიდან შესდგება და ერთ-
გვარი კანონის მიხედვით აშენებულია.
მცენარეთა და ცხოველთა შენებულება
(ანატომია), მისი განვითარების ისტორია
მეცნიერებმა დიდი ჯახიერთა და შრომით
საფუძვლიანად გამოიკვლიეს, შეისწავლეს.
გამოკვლევამ ისინი მიიყვანა უმდაბლეს
ორგანიზმებამდე, რომელთა სხეული მხო-
ლოდ ერთი უჯრედისაგან შესდგება. მრავ-
ალ მცენარეთა და ცხოველთა სხეული

სიცოცხლის განმავლობაში მარტოდ მარ-
ტო ერთი უჯრედია, მათი სხეული მრავ-
ალ უჯრედთა შეერთებას არ წარმოად-
გენს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორ-
უპოვარო მკითხველო, ცოცხალ არსებათა
უმრავლესობის სხეული-კი ურიცხვ უჯ-
რედთა შეერთებაა. უმადლესი ცხოველე-
ბის და უმდაბლესი ორგანიზმების სხეუ-
ლი უჯრედებს წარმოადგენს. დიახ, მათი
სხეული უჯრედებით არის აშენებული,
მარა მათ შორის განსხვავება სუფევს:
უმდაბლესი ორგანიზმის უჯრედი დამოუ-
კიდებლად ცხოვრობს, მას სხვა უჯრე-
დებთან კავშირი არ აქვს, მაშასადამე,
იგი დამოუკიდებელი ორგანიზმია. უმაღ-
ლეს ცხოველთა სხეულის უჯრედები-კი

ერთი მეორეზე დამოკიდებულია, მათ შორის მკიდრო და მტკიცე კავშირი სუფევს, იგი ურთიერთშორის გადაჯაჭვულია და ერთ მთელს წარმოადგენს...

მცენარეები რომ უჯრედებიდან შესდგება კაცობრიობას ამცნო პირველად რობერტ ჰუკმა 1667 წ. *) მან სხვათა შორის გამოიკვლია პრობკა (იხ. სურ. 1) და მის პაწაწინა ცარიელ ადგილებს უწოლა უჯრედები **).



სურათი 1. პრობკის უჯრედის ქსოვილი.

რობერტ ჰუკის შემდეგ უჯრედთა შესახებ მეცნიერთა მრავალი გამოკვლევანი გამოქვეყნდა, მაგრამ ამ გამოკვლევების

*) რობერტ ჰუკი კუნძულ უაიტზე დაიბადა 1635 წ. იგი გეომეტრიის პროფესორი იყო, გარდაიცვალა 1703 წ.

***) ამას წინეთ ბ. იღ. აღსანიშნავად (იხ. „განათლება“ № 4. 1914 წ.) ტერმინს „უჯრედს“ (Клетка, Cellula), დოქტორი ვირსლადის რჩევით, „ბამი“ უწოდა. წინადადებად შემოიტანა, ეს ბამი „მართლაც საუცხოოა, ზედგამოჭრილი ტერმინია“-ო. ჩვენ ვკადნიერდებით და ვიტყვით, მათემატიკური დოქტორბ ვირსლადის ტერმინი „ბამი“ კოჭლია, ვინაიდან, ერთი მხრით, ჯერ არ ვიცით სხეულის ეს ელემენტარული

შესახებ სიტყვას ჩვენ აქ არ ჩამოვადგებთ, ვინაიდან ეს ამ წერილის მიზანი არაა...

ჩვენი, აღამიანების, სხეულიც ამ ელემენტარული ნაწილებით—უჯრედებით—აშენებულია. იგი ჩვენი სხეულების უმთავრესი ნაწილებია, მისგან ვართ ჩვენ მოქსოვილი, და, მაშასადამე, უსარგებლოთ არ ჩავივლის უჯრედთა ცხოვრების გაგება.

მიკროსკოპის ქვეშ პირველყოვლისა უჯრედში ვამჩნევთ სიცოცხლის ყოველივე მოვლენათა მატარებელ, ეგრეთ წოდებულ პროტოპლაზმს და ამასთანავე ბირთვის (ядро) (იხილ. სურ. 2).



სურ. 2. უჯრედის სხეულის უმთავრესი ნაწილები: შუაში მოსჩანს ბირთვი; შიგ შავი წერტილები არის, ეგრედ წოდებული, ხრომატინი; ბირთვს ზევით ვარსკვლავის მსგავსი სხეული ცენტროზომია; მარცხნივ ფიჭვის მსგავსათ აქნებული პროტოპლაზმია და მარჯვნივ-კი ბეჭებივით.

პროტოპლაზმი სხვა და სხვა ნივთიერებიდან შესდგება. მისი უმთავრესი შემად-

ნაწილი, უჯრედი, მართლაც, ცხოველთა და მცენარეთა სხეულის დასაბამია, თუ არა, მეორე მხრით, ძველი ტერმინი „უჯრედი“ უნდა დავტოვოთ, რადგანაც მას მოქალაქობრივი უფლება აქვს მოპოებული ჩვენს ლიტერატურაში. **ზ. ჩ.**

გენელი ნაწილები არის წყალი, დაახლოებით 70%, ცილა, ლითონთა მარილები და სხვა. ბირთვი ქიმიური შედგენილობით პროტოპლაზმისაგან განსხვავდება; იგი სხვათა შორის ფოსფორს შეიცავს. პროტოპლაზმის სქელი ნაწილები, რაშიაც სითხეა მოთავსებული, უჯრედის შენობის საფუძველს წარმოადგენს. უჯრედთა პროტოპლაზმის შენებულების შესახებ რამდენიმე თეორია არსებობს. პროტოპლაზმა

პაწაწინა მარცვლებიდან შესდგებაო, ფიქრობენ ერთნი; მეორეთა მოსაზრებით, იგი ძაფებს, ბეწვებს, წარმოადგენს; მესამენი ადასტურებენ, სქელი და თხელი ნაწილები უჯრედში ფუტკრის კვერცხებივით განაწილებულია და ფიჭის მზგავსიაო. ეს უკანასკნელი თეორია დაყრდნობილია მრავალგზით მიკროსკოპის საშუალებით პროტოპლაზმის გამოკვლევაზე (იხ. სურ. 3 და 4). მარჯვნივ სურათზე



სურ. 4. ზელოვნურად გაკეთებული უჯრედი.

სურ. 3. ცხოველთა უჯრედი.

(სურ. 3) ეხედავთ ცოცხალი უჯრედის (vorticella) ნაწილს, რაც აშკარად და ნათლად მოგვაგონებს ფიჭას. პროტოპლაზმის ასეთი სურათის მზგავსი შეიძლება ხელოვნურადაც გაკეთდეს. ასეთ ხელოვნურ უჯრედს წარმოადგენს მეოთხე სურათი. თუ ჩვენ კარგათ დაუკვირდებით სურათებზე ნაჩვენებ ცოცხალ უჯრედსა და ხელოვნურს შორის მზგავსებას აღმოვაჩინთ. ამ ხელოვნურ უჯრედში მოძრაობის მოვლენა ფრიად საინტერესოა და საყურადღებოა. მისი ზედა პირის ზოგი კვერდები სქდება და ამ ადგილზე კვერცხები ჰქრება. ამ დროს, ეგრეთ წოდებული დაწოლა (давление) ირყევა, მეზობელი კვერცხები მოძრაობაში მოდის და ეს მოძრაობა მოგვაგონებს ცოცხალ უჯრედს—ამებას.


ბირთვის საფუძველი გადაქსოვილი ძაფებია (სურ. 2). მასში მოთავსებულია

მარცვლების მზგავსი ნივთიერება, რასაც ხრომატინი ეწოდება. ერთი სიტყვით, მოკლეთ ვიტყვით, უჯრედი თავისი ნაწილებით სიცოცხლის მატარებელია და მასში ცხოვრების პროცესები წარმოებს.

სიცოცხლის შესანარჩუნებლად უჯრედები საზრდობენ, იკვებებიან. მცირეოდნათ დანაწილებული უჯრედი ამების მზგავსათ (იხ. სურ. 5) ზედა პირით საჭმელს ღებულობს. ეს უჯრედები წყლის მცენარეებით და მიკროორგანიზმებით იკვებებიან. როცა ამ უჯრედებს პაწაწინა მიკროორგანიზმები, ან წყლის მცენარეები, გზაზე გადაელობება, ისინი ფართე შტოებს გაუშვებენ. ეს შტოები გარეშე სხეულს ორი მხრით გარს შემოერთყმის, შემდეგ უჯრედის პროტოპლაზმა ნელ-ნელა გადავა შტოებში, ერთი მეორეს შეუერთდება და მიკრო ორგანიზმი კი უჯ-



სურ. 5. ბ) მცურავი აქების უკანასკნელი მოძრაობის ორი მომენტი. ბ—ბირთვი. გ—პროტოპლაზმაში საჭმლის ნაშთი. დ—ვაკუოლი. ბოასი.



სურ. 5. ა) აქება.

რედში მოექცევა. გარეშე სხეული იქ, უჯრედში, ხანდისხან შეიცვლება და განზავდება. ამ პროცესს იწვევს ქიმიური ნივთიერება, რასაც უჯრედი ამუშავებს. მას ეწოდება მონელემა. ამ მიზნისათვის ზოგი უფრო განვითარებული ერთ უჯრედლიანი ორგანიზმი განსაკუთრებით არის შეიარაღებული და შეგუებული. მას ეგრეთ წოდებული უჯრედის პირი ემჩნევა. ეს ორგანო გარემოცულია მოძრავი წამწამებით, ულაშებით: იგი სწრაფი მოძრაობით გარემოცულ სითხეს პირთან აბრუნებს თითქოს ძაბრის მზგავსათ და ამ გზით მაგარ ნაწილებს უჯრედის პირში გზავნის. უმაღლესი ორგანიზაციის უჯრედში შესაძლებელია საჭმლის მიერ განვლილი გზა ხანდისხან გაეარჩიოთ, სანამ პროტოპლაზმაში განზავდება იგი. საჭმლის მიღება, მონელემა და უჯრედის სხეულში მისი დანაწილება არის საზრდოობის პროცესი. მონელეებული საჭმლიდან ცოცხალი უჯრედის უფრო რთული ნაწილი უნდა აღორძინდეს; ძველი ნაწილები ირღვევა, იშლება და ამ დარღვეულ—დაშლილს ახალი შესცვლის და დაიჭერს. ამ

პროცესს კი ეწოდება ასიმილიაცია, ანუ შეგუება.

უჯრედის სიცოცხლისათვის მკაფადი აუცილებლად საჭიროა. უმკაფადოთ უჯრედს სიცოცხლე არ შეუძლია. მას იგი ჰაერიდან, წყლიდან და გარემოცული წრიდან ითვისებს. უჯრედს მკაფადი სულთქმისათვის ესაჭიროება. უჯრედშიაც, რასაკვირველია; წვისა და დაჟანგვის პროცესსი წარმოებს. ამ პროცესის ზეგავლენით რთული ქიმიური შეერთება ირღვევა, იხრწნება და უბრალოთ იქმნება. სულთქმის პროცესსი ბუხარში შემის წვას ჰგავს. სულთქმის დროს წვის ნაყოფი არის ნახშირმკაფა, წყალი და შემდეგ კი აზოტის ნივთიერებანი. თუ ეს ნივთიერებანი მრავლად მოგროვდა უჯრედისათვის მკენებელია; ეს მზარალებელი და მკენებელი ნივთიერება მან უნდა მოიშოროს და უკუ აგდოს. მკენე ნივთიერების უჯრედიდან, მოშორებას ეწოდება გამოყოფის პროცესი, ან ექსკრეცია. უჯრედის ზედა პირი, იშორებს ნახშირმკაფას, მიკროსკოპის საშუალებით ერთ-უჯრედიან ორგანიზმებს. ვამჩნევთ წყალში განზავებულ ნივთიერებათა და მარილთა გამოყოფას.

ყოფას. დროგამოშვებით ამ ორგანიზმების სხეულში ჩნდება ცარიელი ადგილი; ეს ადგილი, ეგრედ წოდებული ვაკუოლი, სითხით სავსეა. როცა პროტოპლაზმა მცირდება, ბურთის მზგავსი ვაკუოლი სქდება და რაც შიგ არის გარეთ გამოადის. მაშასადამე, უჯრედში ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა ხდება. ამ გაცვლა-გამოცვლის დროს რთული ნივთიერებანი მუდამ იხრწნებიან და შორდებიან. უჯრედში შეგუების მეოხებით უფრო უბრალო ნივთიერებიდან ახალი რთული ნივთიერება ხელახლა იქმნება. ამ პროცესის დროს ენერჯის გარდაქმნა ხდება, ჰითარდება სითხო და მოძრაობაც შესაძლებელია. ცხოველთა ცოცხალი ორგანიზმის დამახასიათებელ თვისებათ დიდხანს მეცნიერებს. მოძრაობა მიიჩნდათ. უმდაბლესი ცხოველები სხვა და სხვა ფორმით მოძრაობენ. სხეულის ყველა ნაწილზე ამებას შეუძლია შტო გაიკეთოს (იხილ. სურ. 5) და, პირიქით, იგი სხეულშივე შეინახოს. მას მთელი თავისი სხეულის მასსა გადააქვს შტოებში, შტოებიდან ხელ-ახლა სხეულში და ასე ამრიგად თავისი პროტოპლაზმით გადადის ახალ შტოში; ამ დროს იგი წინ მიტურავს, მიჩო-

ჩავს და საკმელს იჭერს... აშება ძლიერ ნელა მოძრაობს, ვინაიდან სიცოცხლის პროცესის მატარებელ მისს პროტოპლაზმს არ ძალუძს სწრაფად შემცირება. მისს ყოველივე მოძრაობას რაიმე ვალიზიანება იწვევს. მაშასადამე, ვალიზიანების და მოძრაობის უნარი უმდაბლეს ორგანიზმს მოეპოება: უმაღლესი ცხოველებში კი მრავალგვარად მოძრაობენ და ამისათვის საჭირო განსაკუთრებული ორგანოებიც აქვთ...

ნივთიერებათა გაცვლა და ენერჯის გარდაქმნა მუდმივად იწვევს ორგანიზმის ქიმიურ შემადგენლობის და ფორმის შეცვლას. ნივთიერებათა გაცვლის დროს შემოსავალ-გასავლის განწყობილება აუცილებლად საჭიროა. თუ უჯრედი შემოსავალზე მეტს ხარჯავს, პირველათ, მისი ტანი კლებულობს და ბოლოს კი იღუპება, კვდება. თუ იგი საზრდოობის დროს მეტ ნივთიერებას ითვისებს და ნაკლებს ხარჯავს, მაშინ უჯრედი იზრდება. ასეთ პირობებში ხანდისხან მოხდება ხოლმე, რომ პროტოპლაზმასა და ბირთვის შორის განწყობილება იცვლება და უჯრედი გაყოფას იწყებს (იხილეთ სურათი 6). ერთ-უჯრედიანი ორგანიზმი იყოფა და გა-



სურათი 6 უჯრედის გაყოფის პირველი საფეხურია. უჯრედის დანაწილების შემდეგ ვეღვი საფეხურია.

ყოფის საშუალებით მრავლდება იგი გაყოფილ და გათიშულ უჯრედებში ცალ-ცალკე იწყება იგივე სიცოცხლის პროცესი, რაც დედა უჯრედში არის. მრავალუჯრედიან ორგანიზმში კი პირობები იცვლება. განაყოფიერებული კვერცხის უჯრედი იყოფა, მაგრამ გაყოფის შემდეგ უჯრედები არ ითიშება, ერთი მეორეს არ შორდება, მხოლოდ თვითოეული მათგანი ხელახლა იყოფა და ყველა ერთად ერთი მეორეზე გადაბმული ბუტრის მზგავს უჯრედთა გროვას წარმოადგენს. ასეთი უჯრედთა გროვა თუთის ნაყოფს მოგვაგონებს (იხ. სურ. 7). ამ ფორმის



სურ. 7. შრომის.

უჯრედებს ეწოდება **შრომის**. მისი შემადგენელი ყველა ნაწილი საკმელს და შეეზებადს მოითხოვს. ზედა პირზე ახლოს მყოფი უჯრედები საზრდოს საკმაოდ ღებულობენ. ზრდისა და გამრავლების მიხედვით ამ ბუტრის მზგავს უჯრედებში სითხით სავსე, ცარიელი სივრცე გაჩნდება ხოლმე. ამას ეწოდება **ბლასტულა**, და იქ კი ყველა უჯრედები თანასწორ და თანაბარ პირობებში იკვებება. შემდეგ განვითარების დროს უჯრედთა ერთი ნაწილი ზედა პირზე რჩება, მეორე კი ღრმადდება და მდგომარეობის უცვლელად შიგ ეწეობა. უჯრედთა ასეთ მდგომარეობას ეწოდება **გასტრულა**. გასტრულა გვხვდება უმაღლეს ცხოველთა კვერცხის განვი-

თარების დროს და როგორც დამოუკიდებელი ორგანიზმი არსებობს. გარეშე ნაწილების უჯრედები შეეზებადს გარეშე წრიდან ღებულობენ; ამ შეეზებადის ნაწილის ისინი შინაგან უჯრედებს გადასცემენ. ამასთანავე ითვისებენ გარეშე გაღიზიანებას და განსაკუთრებულ ნივთიერებას ამუშავებენ. ეს განსაკუთრებული ნივთიერება მათთვის საჭიროა. არსებობისათვის ბრძოლაში. იგი მათ ამ ბრძოლაში ეხმარება. შინაგანი უჯრედები კუჭის, ან წელის მოვალეობას ასრულებენ; იქ უჯრედები მასაზრდოებელ ნივთიერებას ქიმიური ნივთიერების გავლენით ინელეზებენ; მონელეზულ საკმელს იგივე უჯრედები ითვისებს და ნაწილს გარეშე უჯრედებს გადასცემს. ეს მოვლენა, როგორც ვხედავთ, აშკარად მოწმობს **შრომის განაწილებას**.

შრომის განაწილების და სპეციალიზაციის საზოგადო მნიშვნელობაზე ჩვენ აქ სიტყვას ატ ჩამოვაგდებთ. ამ პრინციპის შესახებ, გგულისხმობთ, თანამედროვე მკითხველთ შესაფერი ფართე წარმოდგენა აქვთ, მხოლოდ ვიტყვი, უმაღლეს ცხოველთა უჯრედებს საკვირვალად და სარცრად აქვთ შეთვისებული ეგრეთ წოდებული შრომის განაწილება. მოგხსენებთ, შრომის განაწილების საუკეთესო მაგალითს ფაბრიკა, ან დიდი ქალაქი წარმოადგენს. აქ თვითოეული სპეციალისტი ურთიერთ შორის მჭიდროდ გადაჯაჭულია და შრომა სისტემატიურად წარმოებს. ეს რომ ასე არ იყოს, რთული მანქანა მოქმედებას შეაჩერებს. ადამიანის სხეული, რომელიც ცალ-ცალკე უჯრედებიდან შესდგება, ქალაქის ცხოვრებას მოგვაგონებს. ადამიანთა ორგანიზმი აუცილებლად საჭირო საკმელს და შეეზებადს გარემოცულ ბუნებიდან ღებულობს. სა-

კვირვლად მოწყობილი ფილტვები, საქმლის მოსანელებელი აპპარატი საქმილდან ითვისებს, რაც ორგანიზმისათვის საჭიროა. შეთვისებული ნივთიერება გადადის სისხლში; სისხლი ძარღვების შემწეობით მას სხეულში ანაწილებს, თვითოეული უჯრედი ღებულობს და თავისთვის იტოვებს, რაც მისთვის და მისი სიცოცხლისათვის აუცილებლათ საჭიროა. დარღვეულის და დაშლილ ნივთიერებათა ნაყოფი ორგანიზმისათვის მავნებელია, იგი მისთვის საწამლაია. ამ მომწამვლელ ნივთიერებას თირკმელების, შარდის მილის, ფილტვების და კანის საშუალებით ორგანიზმი იშორებს და უკუ ავდებს.

თითქმის ყველა უჯრედებს რეგენერაციის, ანუ აღორძინების უნარი აქვს, ე. ი. როცა უჯრედი ნორმალურათ საზრდოობს, ყოველთვის რჩება მასალა და ენერგია, რომ იგი დაზიანების დროს შეიცივლოს. მაგრამ სამწუხაროთ, ამ დაზიანებული ნაწილების ასაღორძინებელი უნარი უმაღლეს მრავალუჯრედიან ცხოველებს ძლიერ სუსტათ და ნაკლებათ აქვთ, ან სულ არ აქვთ, რასაკვირველია, მრავალ უხერხემლო ცხოველებთან შედარებით. ზოგიერთ ჭიებს და მწერებს თავი რომ მოვაცილოთ, მას ხელახლა ამოუვა იგი. ადამიანს რომ ასეთი უნარი ჰქონდეს, მისთვის არც მოხუცება და არც სიკვდილი საშიში არ იქნებოდა... დროთა განმავლობაში უჯრედთა მასაზრდოებელი მასალა და ენერგია სუსტდება, მთელი მისი შექანიზმი იშლება, მოქმედებას აჩერებს და განაბოლოს სიკვდილი იწყება. მაშასადამე, უჯრედები მუდმივი არაა, მაგრამ თანამედროვე ბიოლოგიაში არსებობს იდეა, რომ ცოცხალი უჯრედი პოტენციურათ უკვდავია, იგი

ისებივე მუდმივია, როგორც მატერია... ამ ცოცხალ უჯრედთა მუდმივობის შესახებ სხვა დროს მკითხველთ იქნებ მოველაპარაკოთ, ახლა კი ვიტყვი, რომ ცხოვრება ცდილობს ინდივიდის, პიროვნების სიკვდილით შთამომავლობა არ გაქრეს. ამ მიზნით განსაზღვრულ ორგანოში უჯრედები აქმნება. ეს უჯრედი სპეციალისტი არაა. მას პირველ დასაწყისი კვარტის უჯრედის თვისები აქვს; ამ უჯრედში იმავე სახის ახალი ორგანიზმი ვითარდება. ეს სქესობრივი უჯრედია, რომელიც ჩნდება განსაკუთრებულ ორგანოში, საკვერცხეში და თესლის ჯირყვლებში, კვერცხის უჯრედი (საკვერცხეში ღორძინდება) თესლის უჯრედს (თესლის ჯირყვლებში ჩნდება) რომ შეუერთდეს, ამისათვის სქესობრივ ორგანოების მთელი სისტემა არსებობს. უმაღლესი ორგანიზმები, როგორც ვიცით, გაყოფის საშუალებით მრავლდება და ამ განაწილების ნაყოფში სიცოცხლეს აგრძელებს იმ დრომდე, სანამ ვარგშე ძალამათ არსებობას არ შეაჩერებს. ჯამაღლეს ცხოველებს სიკვდილი მხოლოდ სხეულის სიცოცხლეს უჩერებს; სქესობრივი უჯრედები კი ცოცხლობენ, ვითარდებიან და უმაღლესი ცხოველების მუდმივობას შთამომავლობაში უზრუნველყოფენ...

ადამიანის სხეული მრავალ უჯრედებიანია; იგი დაახლოებით ოცდაათ ბილიონ უჯრედს შეიცავს, ეს აუარებელი უჯრედები ვერ შესძლებდა ერთათ შეაჩერებას, რომ არ იყოს უჯრედთა ჯგუფი, ჩონჩხი, რომლის მიზანია ამ მასის თავის მოყრა. ადამიანთა სხეული ცალცალკე სხვა და სხვა ჯგუფის უჯრედებიდან შესდგება. თვითოეულ მათგანს სულ სხვა და სხვა დანიშნულება აქვს: ზოგი

სარძიკველია, რაზედაც დანარჩენი უჯრედები ეყრდნობა, ზოგს უჯრედთათვის მასაზრდოებელი ნივთიერება დააქვს და სხვა. ერთი სიტყვით, ორგანიზმთა შენე-ბულების ეს ძირითადი ელემენტი—უჯ-

რედი—სხეულთა სხვა და სხვა ნაწილე-ბის ალორძინების დროს მრავალგვარ ცვლილებას განიცდის...

ზ. ჩიჩუა.

ციმბირი, 1914 წ.

ქართული ენა ქუთაისის უმაღლეს ჰირველ-დაწყებით სასწავლებლებში

ქუთაისში დღეს არსებობს სამი უმაღლესი ჰირველდაწყებითი სასწავლებელი ოთხ-ოთხი წლის კურსით, ამათ რიცხვში მესამე სასწავლებელი ახალი დაარსებულია... სხვა საგანთა შორის ამ სასწავლებლებში ქართულ ენასაც აქვს ადგილი და თვითოეულ კლასში კვირაში ორი გაკვეთილი არის დაწესებული; სასწავლებლის გამგეების შესახებ ქართულ ენის თაობაზე არავის არ შეუძლია სთქვას საყვედური ისეთი, როგორც ჩვენ ვვესმის ხშირიდ პროვინციის ზოგიერთ ამ გვარ სასწავლებელთა გამგეებზე; ესენი პატივისცემით ეპყრობიან ამ ენას და ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. მიუხედავად იმისა, რომ მესამე სასწავლებელში გამგე ეროვნებით რუსია, ქართული ენის სწავლება იქაც ისეა დაწყებული, როგორც ჰირველსა და შეორე სასწავლებელში. სასწავლებლები თვითოეულ სასწავლებელს ქართული ენისათვის საკუთარი ჰყავს, ყველანი საკმაოდ გამოცდილი დახელოვნებულნი არიან. სახელმძღვანელოებად აქვთ „გუთანი“ და „ქართველი მწერლები“, პროგრამაში შეტანილია სახალხო სასწავლებელთა დირექტორის ნებადართვით ჰირველდაწყებითი

გრამატიკა; სამშობლოს აღწერა და საქართველოს მოკლე ისტორია.

დირექტორის მოხსენებთ ოლქის მზრუნველთა თანახმა გახდა, რათა მოსპობილიყო ცალკე გადასახადი თვითოეულ მოსწავლეს ენების სწავლებისათვის, ამის გამო დღეს ქართული ენის სასწავლებლებსაც ამ სასწავლებლებში ეძლევათ დადგენილი „ჯამაგირი“ სპეციალური საშუალებებიდან. ამ გარემოებას უნდა შიშვანრობთ ის, რომ ამ სასწავლო წლებიდან სავალდებულოდ გახდა მოსწავლეთათვის ქართული ენის სწავლა, და ისინიც უფრო ბეჯითად და გულიანად სწავლობენ სამშობლო ლიტერატურას და ისტორიას.

არ არის საეჭვო, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში სამშობლო ენის სწავლების საქმე ამ სასწავლებლებში თან და თან გაუმჯობესდება, და რამდენადაც მოსახერხებელი იქნება, პროგრამაც გაფართოვდება. სასურველია, რომ საქართველოს ყველა კუთხეების ასეთი ტიპის სასწავლებლებში გამგეები სამშობლო ენას ჯეროვან ყურადღებას მიაქცივდნენ, რათა მათ შესახებ ყოველგვარ საყვედურს ბოლო მოეღოს.

ლადო ბზვანელი.

მასწავლებლის შენიშვნები

I

ქართული ენა ჩვენებურ სკოლებში

ეს უკვე ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოში მოწაფეთა დედა ენა აბუჩად არის აგდებული... ოფხიოდეს სასწავლებლის გარდა, ის სავალდებულოა ცი არ არის ცნობილი... (იგულისხმება სამოქალ. სასწავ. გიმნაზიები და სხ... კვირაში ოფხისა და ხუთის მაგიერ ერთი ან ორი გაკვეთილი ძლიერა აქვს დათმობილი და ისიც მეხუთე ან მეექვსე, როდესაც მოწაფენი ისე არიან მოქანცულნი და დამშეულნი, რომ ნაყოფიერი გონებრივი მუშაობა აღარ ძალუძთ ბევრსაც რომ ეცადნენ...

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გული არ უნდა ავიყაროთ ამ საგანზე და თავგამოდებით უნდა ვასწავლოთ ახალ თაობას. ვიდრე ჩვენს დედა ენას უკეთესი დრო დაუდგებოდეს... იმ დრომდის კი ერთი გაკვეთილიც რომ იყოს, იმასაც მაგრათ უნდა დავებლაუქნეთ.

მაგრამ რა უნდა ვასწავლოთ, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება, რომ ამ აუტანელ პირობებში ჩვენმა მოზარდმა თაობამ ცოტათი მაინც შეისწავლოს და შეიყვაროს თავისი დედა ენა მათი გრძობა-გონების ამაღლებისა და გააპეტაკების საუკეთესო იარაღი? მოგეჩვენებათ, რომ ზოგიერთ მასწავლებელს მოწაფეებში ეროვნული გრძობის გასაღვივებლად საქართველოს ისტორიის შესწავლა მიაჩნია; ზოგი გრამატიკული კანონების შეთვისებას აქცევს მეტ ყურადღებას და ეტიმოლოგი — სინტაქსით აბეზრებს თავს მოწაფეებს... და სხ... და სხ...

ჩემის აზრით კი, არსებულ პირობებში, სულ სხვა რამეს უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ზემოხსენებულ სასწავლებლებსა და კლასებში. — ეს არის სიტყვა-კაზმული მწერლობის შესწავლა. და ეს არა იმიტომ, რომ ჩვენი მწერლობის ეს დარგი რუსთაველიდან მოყოლებული ვაჟა-ფშაველამდის მდიდარია თავისი ფორმითა და შინაარსით; არა იმიტომ რომ ენის შესწავლა შეიძლება მხოლოდ სამაგალითოთ ქართულის მცოდნისაგან, არც იმიტომ, რომ პოეტური ნაწარმოების შესწავლა მეტად ეხალისებათ პატარეებს, — არამედ იმიტომ რომ ამ საშუალებით შეგვიძლიან ადვილად შევავაროთ მოწაფეებს ქართული ენა და თუ ეს სიყვარული კარგად გაუჯდათ მოწაფეებს ძვალსა და რბილში, მაშინ შეუძლებელი იქნება მათი გადაგვარება: მათ ეყვარებათ ქართული წიგნი, ქართული ჟურნალ-გაზეთები და თუნდაც რომ სრულიად მოუსპონ სკოლაში დედაენის სწავლება, ისინი თვითონ შეისწავლიან და შეთვისებენ...

არ მინდა ვინმემ ჩემი აზრი ისე გაიგოს ვითომ მე წინააღმდეგი ვიყო ზემოხსენებულ სკოლებში ქართული ისტორიის და გრამატიკის სწავლების არსებულ პირობებში. არა, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ყველა ამ საგნებს წინ უნდა უძღოდეს სიტყვა-კაზმული მწერლობის შესწავლა, და ყველაფერი ამაზე უნდა იყოს დამყარებული.

პასუხად

გაზეთ „შადრევანის“ რედაქციას

გაზეთ „შადრევანის“ რედაქციამ, რომელმაც ვრცელი ადგილი დაუთმო გაზეთში ბ-ნი პრ. ჯაფარიძის საუკადრისო წყალ-წყალა კრიტიკას განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ და ჩემი პასუხის დაბეჭდვა-კი სასურველად ვერ სცნო, თავიდანვე აღიარა, რომ რედაქცია ბევრ რამეში არ ეთანხმება ბ-ნი ჯაფარიძეს და თავის აზრს შემდეგ გამოთქვამსო. მოუთმენლად ველოდით რედაქციის აზრს და წავიკითხეთ კიდევ „შადრევანის“ № 10-ში სათაურით „ერთი კამათის ვამო“, რომელსაც სიამოვნებამ დავესტამბავდით „განათლებაში“, მაგრამ უადგილობამ შეგვიშალა ხელი. ამ განმარტებაში თითქმის მოკლედ არის გამეორებული ის, რაც აღნიშნული მქონდა უფრო ვრცლად ჩემს პასუხში (იხ. „განათლება“ № 1). მხოლოდ როცა ამ წერილს კითხულობ, გიკვირს და უნებლიედ იტყვი: თუ რედაქცია ასეთის აზრისა იყო ბ. ჯაფარიძის კრიტიკის შესახებ, რატომ არ შეასწორა, ან არ უჩრჩია ჯაფარიძეს თვითონ შეესწორებინა რედაქციის შენიშვნების მიხედვით და შემდეგ მიეტანა დასაბეჭდად. მაშინ შეიძლება, რომ ბ-ნი ჯაფარიძის ბრალდებას რამდენიმე მუხლი მაინც ჩამოშორდებოდა.

სამწუხაროდ თვითონ „შადრევანის“ რედაქციაც ვერ აცდენია ზერელეობას და ბევრი მისი განმარტება საგნის გაუცნობლობისა, დაუკვირვებლობისა და შეუსწავლელობის ნაყოფია, ამიტომ ვურჩევდი თავიდანვე „შადრევანის“ რედაქციას საგანს

კარგად გასცნობოდა, შეესწავლა გოგებაშვილის სახელმძღვანელოების თანდათან გასწორების ისტორია და შემდეგ გამოეთქვათ აზრი, ვისაც რა სურდა.

„შადრევანის“ რედაქცია ბ-ნს ჯაფარიძეს დაფინს გვბრგვინს უძღვნის იმის გამო, რომ „მან შეეხო ამ საკითხს ისე, რომ დღეიდან ამ საკითხის ჩაჩუმება შეუძლებელია. მან საჭიროდ აღიარა ამ სახელმძღვანელო წიგნების შესწორება რომელიმე კოლეგიის მიერ, რასაც მოჰყვება, ჩვენის აზრით, ამუშავება ზოგიერთი მიმალული ძალებისა“-ო. („შადრევანი“ № 10).

გამოდის, თითქოს ჯაფარიძემდე არავის ეზრუნოს ხსენებულ სახელმძღვანელოებზე, თითქოს მარტო ჯაფარიძეს და „შადრევანის“ რედაქციას შესტკიოდეს გული ამაზე და დღემდის, ვიდრე ბ-ნი ჯაფარიძე ხმას არ ამოიღებდა საზოგადო კრებაზე, რუხადე ბანს არ მისცემდა და „შადრევანის“ რედაქცია ტაშს არ დაუკრავდა, ეს საკითხი ჩაჩუმებული ყოფილიყო. ეს ასე არ გახლდათ. სულ ორ წელიწად ნახევარი, რაც გოგებაშვილი გარდაიცვალა. გარდაცვალების პირველ წელიწადს ე. ი. 1912 წელში მისი სახელმძღვანელოები უკვე დაბეჭდილი იყო გარდა „ბუნებისკარისა“ და „რუსკ. სლოვ.“ I ნაწილისა. იმ წელსვე შესწორება რისმე მოუხერხებელი იყო, რადგანაც მძისთვის არც დრო რჩებოდა საქმარისი და არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც რომელიმე სახელმძღვანელოს საფუძვლიანად შესწორება

წლობით მუშაობას, დიდს მოფიქრებას ფიზიკურს და არა რამდენსავე კვირას.

1913 წელს გამოიცა შესწორებული და შევსებული მეორე ნაწილი „რუსკოე სლოვოსი“, რომელიც წინაც მხოლოდ 6000 ცალი გადიოდა და შესწორების შემდეგ მისმა ბაზარმა 1913 და 1914 წელს ერთი ორად კი არა მეტადაც იმატა. მიუხედავად იმისა, რომ 1914 წელი სასწავლებლებისათვის ხელსაყრელი არ იყო, ამ წელში „რუსკ. სლ.“ მეორე ნაწილი 11,936 ცალი გაიყიდა 1915 წლის იანვრის პირველადის. ამაში, სხვათა შორის, წილი უძევს იმ „ჩაჩუმებულ“ საკითხს, რომლის შესახებაც გახურებული მუშაობა იყო სასკოლო სექციაში—იმაზე აღრე, ვიდრე ბ-ნი ჯაფარიძე აღძრავდა ამ საკითხს საზოგადო კრებაზე. რამდენი ახალ-ახალი მასალა, ახალი სურათები და სხვა რამ ცვლილება იქმნა შეტანილი ამ შესწორებულ გამოცემაში, ნათლად დაინახავს ყველა, ვინც შეადარებს 1912 წ. და 1913 წ. გამოცემებს და გაეცნობა ამ შესწორების ვრცელს საბუთებს.

1914 წელს შესწორებული და დაბეჭდილი იქმნა იმავე სახელმძღვანელოს I ნაწილი. ეს წიგნიც წარმატებაშია. თუ რა ცვლილებაა მომხდარი ორსავე სახელმძღვანელოში, ამის დაწვრილებით ჩამოთვლა შეუძლებლად მიმაჩნია და არც დრო გვაქვს ახლა ამისთვის; ამას ადვილად მიხვდება ყველა, ვინც ძველსა და შესწორებულს გამოცემებს შეადარებს, ვინც გაეცნობა სექციის მუშაობას ამ დარგში და სექციისავე ვრცელს განმარტებას ამ საგნის შესახებ—თუ რა მოსაზრებით სცვლიდა ამა თუ იმ მასალას და რა უპირატესობას აძლევდა ახლად შეტანილს მასალებს და გაეცნობა აგრეთვე გამგეობის დადგენილებათ, მაგრამ საქმის დაწვრი-

ლებით შესწავლისათვის არავის თავი არ შეუწუხებია და ამიტომაც „შადრევანის“ რედაქციის მსჯელობაც ბევრში სიმართლეს მოკლებულია. მოვახსენებ „შადრევანის“ რედაქციას იმასაც, რომ საკითხი ამა; თუ იმ სახელმძღვანელოს შესწორების შესახებ ყოველთვის კოლეგიაშიც სწყდებოდა და გამგეობაშიაც, ისე შეუძლებელი იყო და არის. სასკოლო სექციამ 1913 წელს ბარათებიც დაუგზავნა ქართულ სასწავლებლებს, ტფილისის ქალაქის სკოლების ყველა გამგეებს, იწვევდა ყველას მონაწილეობა მიეღოთ, ან თავისი აზრი წერილობით გამოეგზავნათ, მაგრამ ბევრმა სიჩუმით ჩაატარა ეს მოწვევა, ზოგმაც თავისი აზრი, დაკვირვება და შეხედულობა წერილობით გამოგზავნა, რაც წაკითხული და მოსმენილი იქმნა სექციის მიერ და საყურადღებოდაც მიღებული. ამ სახით „შადრევანის“ რედაქციის აზრი, თითქოს დღემდის გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესწორების საკითხი „ჩაჩუმებული“ ყოფილიყვეს, ყოველ სიმართლეს მოკლებულია. თუ სასკოლო სექცია მოასწრებს ყოველ წელიწადს თითო სახელმძღვანელოს შესწორებას, როგორც ამდენხანს შერებოდა, და შესწორებულს თანდათან გაუმჯობესებულად დაბეჭდავს, ესეც დიდი საქმე იქნება.

ამას გარდა „შადრევანის“ რედაქცია აღნიშნავს, რომ „კრიტიკოსი, რომელიც ეხება „სამოსწავლო მასალას“ ძალაუზნებურად უნდა შეეცდოს მეთოდსაც. მეთოდი და მასალა ერთი მეორის სულის ჩაძვგმულია. სხვანაირი კრიტიკა შეუძლებელია“—ო („შადრევანი“ № 10).

საინტერესო იყო რედაქციის გამოთქვა თავისი აზრი გოგებაშვილის მეთოდის შესახებ, ბ-ნი ჯაფარიძე უფრო კვირანუ-

რად მოიქცა, რომ მეთოდს არ შეეხო. უეჭველია ბ-ნს ჯაფარიძესაც მოსწონს გოგებაშვილის მეთოდი, თორემ არ დაზოგავდა. მეც პირადად არაფერს მოგახსენებთ ჯერჯერობით განსვენებულის ი. გოგებაშვილის მეთოდის არც ღირსებისა და არც ნაკლის შესახებ; რაკი საკითხი სახელმძღვანელოს შესწორებას ეხება, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეთოდის შეცვლა გოგებაშვილის სახელმძღვანელოში ყოველად მოუხერხებელია და არა სასურველიც. სისტემა და მეთოდი უსათუოდ გოგებაშვილის უნდა დარჩეს, უამისოდ შედგენილს თუ შესწორებულს სახელმძღვანელოს განსვენებულის სახელი არ ერქმევა და ამისი არც ზნეობრივი უფლება აქვს ვისმე.

ვეთანხმებით „შადრევანის“ რედაქციას, რომ საფუძვლიანი და დაკვირვებული კრიტიკა, შეუმცდარად მითითება იმ ნაკლებზე, რომელიც მოაპოვება განსვენებული გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებში, საჭიროაო. საღი კრიტიკის წინააღმდეგი ვინ უნდა იყვეს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ასეთი კრიტიკა იშვიათად წაგვიკითხავს ჩვენს მწერლობაში. როგორც გვახსოვს, ვინცკი ღღემდის შეხება ამ საკითხს, მომეტებული ნაწილი ნაკლს პოულობს იქ, სადაც ნამდვილი ღირსება არის. საღი კრიტიკისათვის განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. ასეთი ნიჭიერი კრიტიკოსები-კი, მომეტებულად პედაგოგიურს საკითხებში, ჯერ-ჯერობით ჩვენში იშვიათია.

დასასრულ „შადრევანის“ რედაქცია ორიოდ სიტყვას მეც მიძღვნის. ამას წინადაც მპირდებოდა და მაღლობას ვუძღვნი დაპირების ასრულებისათვის, მაგრამ არ შემძლიან არ შევნიშნო პატივცემულ რედაქციას, რომ სულ სხვა საკითხს ეხე-

ბა და არა იმას, რის შესახებაც კამათი გვაქვს. ბ-ნი ჯაფარიძე „რუსკოე სლოვოს“ ორსავე ნაწილში რუსულ ენას იწუნებდა—ამისი სიტყვები: „თითქის ყველას ის, რაც ორიგინალურია, ან ქართულიდან არის ნათარგმნი, ან გადმოკეთებული რუსულიდან—საერთოდ მოუხეშავი რუსული ენით არის დაწერილიო“ („შადრევანი“ № 4) და მოჰყავდა „რუსკოე სლოვოდან“ მაგალითები, რომლის შესახებაც არ შეიძლება ითქვას მოუხეშავი რუსული ენააო და დაუმტკიცე კიდევც ეს იყო მთავარი საკითხი ჩვენი კამათისა. სხვა საკითხს არ შევხებოვარ და გასწორებული წიგნები რომ ენის მხრითაც გაუსწორებლი გაეშვა, ამას არც სექცია ჩაიდენდა და არც გამგეობა მოიწონებდა და დაადასტურებდა.

რედაქციის აზრი—, პედაგოგის წიგნები კი დაკვირვებით და საყვედურით შესცქერის წერა-კითხვის საზოგადო წლიურ კრებას და გამგეობას ეუბნება: თუ ბ. ბოცვაძე ასე გვამართლებს; მაშინ თქვენ რად დაადასტურეთ ჩვენი შეცდომებიო“ („შადრევანი“ № 10), სწორედ გაუგებრობის ნაყოფია, ან ბანზე სიტყვის აგდება. განსვენებულს გოგებაშვილსაც უნდოდა შესწორება შეეტანა სახელმძღვანელოებში და სწორედ ეს თავისი სურვილი ანდერძში გამოხატა, რომლითაც ნება ეძლევა გამგეობას ზოგიერთი ცვლილების შეტანისა ნაანდერძვეს წიგნებში, გამგეობაც და პირადად მეც ყოველთვის მომხრე ვიყავით და ვართ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესწორებისა და ცოტა შრომაც არ გაგვიწევია ამ საქმისათვის, სასკოლო სექციაც, გამგეობაც და თქვენი უმორჩილესი მონაწილეობა იზიარებდნენ და იზიარებენ საზოგადო კრებაზე გამოთქმულ აზრს საზოგადო

სახელმძღვანელო წიგნების შესწორების შესახებ, რასაც როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფაქტიურად კიდევ ახორციელებდნენ. ვიდრე საზოგადო კრებაზე წარმოითქმოდა ეს აზრი, ორი სახელმძღვანელო წიგნი უკვე შესწორებული იყო საზოგადო კრების ზუღასტუროდაც. საზოგადო კრების აზრი ამ საკითხში გამგეობისა და ჩემი აზრის გამომხატველიც იყო. და თუ ბ-ნი ჯაფარიძის საპასუხოდ „რუს. სლი.“ შესახებ ვსთქვი შესწორებულია და ახლა არც იმდენი ნაკლი აქვს მეთქი, ამას გამგეობაც გეტყობათ, სექციაც და ყველა, ვინც მონაწილეობა მიიღეს ამ შესწორებაში. თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ ძველი და ახალი შესწორებული გამოცემანი და მაშინ შეგიძლიათ მიგვითითოთ შეცდომაზე. ეს იქნებოდა საქმის სერიოზულად შესწავლა. ბ-ნი ჯაფარიძე და „შადრევანის“ რედაქციამ კი ამ უნარს ვერ იჩენენ. უკანასკნელი იმ ბრალსა მდებს, თითქოს მე გოგებაშვილის მემკვიდრედ ვგრძნობდე თავს და ეს გრძნობა მიკარნახებდეს. შეუცდომლად აღვიარო განსვენებულის სახელმძღვანელოები. საქმეში ჩახედული ადამიანი ამას არ იტყობდა და არც საკადრისი და არც მართებული საქციელი იასეთი ცნიადაგო ფრაზის წამოსროლა. ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია ყოველთვის და ყოველგან სალი პედაგოგიური პრინციპების დაცვა და თუ ამ საქმეში ვისმე ორქოფობას და სიცრუეს შევამჩნევთ, არ დაზოგავთ, რადგანაც ამას მოითხოვს სალი პედაგოგიური პრინციპების დამყარება და მოზარდ თაობათა კანონიერი აღზრდა.

არ არის მართალი არც ის, ვითომ ჩვენში ჩვეულებად იყოს, თუ ერთხელ რამე მოწონებულია, იმის შესახებ ხმას ვერ ამოიღებ, თუ გაბედვ და სთქვი რამე

იმ წამსვე აღრ-ზაღრი ატყდებო და სხვ. („შადრევანი“ № 10). არა, ბატონებო, ჩვენი საზოგადოება იმდენად მომწიფებულია, რომ ავისა და კარგის გარჩევა კარგად შეუძლიან და ვისმე ააშფოთებს არა ქვეყანური რამე, არამედ ისეთი უგვანო და საღ მსჯელობას მოკლებული აბლა-უბლური წერილები, რომელიც ბ-ნმა ჯაფარიძემ გამოაცხო და „შადრევანის“ რედაქციამ ფიანდაზად გაზეთის ფურცელი გაუშალა.

რაც შეეხება „გარე შესაფრთხობელას“, ამასაც რომ ანგარიშის გაწევა სჭირდება, უეჭველია, და ისიც უნდა იცოდეს „შადრევანის“ რედაქციამ, თუ რა კანონს ხელმძღვანელობენ ამ უკანასკნელ ხანებში მოხელეები, რომ უფრო და უფრო შეზღუდონ სახელმძღვანელო წიგნების საკითხი.

„შადრევანის“ რედაქციას გვიწერს: „მოცვაძეს რუსის პედაგოგების რედაქციით შეტანილი „ამბები“ ქეშმარიტებად მიიჩნია ენის თუ ფორმის მხრითო.“ („შადრევანი“ № 10) დიად, ვიმეორებთ, რომ თუ რუსულ საუკეთესო სახელმძღვანელოში ესა თუ ის ფრაზაა მოთავსებული, სწორი რუსულია და იმას ჩვენ ვერ გატყუსწორებთ, ან შეიძლება მხოლოდ ისე შევასწოროთ, რომ ქართველ ბავშვებისათვის უკეთ გასაგები გაეხადოთ. ამისთანა და ასე შემუშავებული მასალა „რუსკოე სლოვოში“ მრავალია. ამასაც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მოქცეული შესწორების დროს, რომლის მაგალითი ძლიერ ბლომად არის: რუსულ ენის უსწორ მასწორობის მაგალითად „შადრევანის“ რედაქციას მოჰყავს ერთი ფრაზა „А МУЖИКЪ СЪ ВОЗОМЪ СКАЗАЛЪ“ და ამბობს ბოცვაძის აზრით ეს ტოლსტოის ეკუთვნისო, მაგრამ დასძენს რუსული არ არისო,

ტოლსტოი რუსის „მუჟიკებიდან“ სწავლობდა ენას და შესაძლებელია ეს გამოთქმა რომელიმე „მუჟიკისა“ იყოს და არა ტოლსტოისა, ტოლსტოის კრიტიკოსები ენას უწუნობენ და საკვირველიც არ არის რომ ტოლსტოიც ენის მხრივ აქა იქ მოისუსტებდეს ისე, როგორც ნინოშვილი, ყაზბეგი და კლდიაშვილი, („შადრევანი“ № 10). თუ ეს გამოთქმა რუსული არ არის, ნუთუ ამას სხვა რუს პუნდარეგებმა ვერ მიაქციეს ყურადღება, რომ იმ რედაქციითვე მიიღეს თავიანთი სახელმძღვანელოში, როგორც ტოლსტოის აქვს, ან ესთქვათ მუჟიკური ენაც იყოს, განა რუსული არ იქნება.

ასეთს წვრილმანებს რომ გამოუდგეთ, ვინ იქის სანამდის მივალთ. შემდეგ რედაქცია შეკითხება „როგორ უნდა გააგებინო ჩვენს ბავშვებს ეს რაღაც „МУЖИКЪ СЪ ВОЗОМЪ“ არის, განა ეს შეეფერება ჩვენს ცხოვრებას, ან ენას, ან სხვა რამეს“? („შადრევანი“ № 10).

აქ სულ სხვა საკითხია, ე. ი. მასალა ჩვენს ცხოვრებას არ შეეხებაო. ამ საკითხის აღძრა მაშინ შეიძლებოდა, რომ სახელმძღვანელოში მართლა ბლომად იყვეს უცხო ერის ცხოვრების მასალები, მაგრამ მთელს „რუსკოე სლოვოში“. ისეთს მასალას, რომელიც რუსთა ყოფა ცხოვრებას შეეხებოდეს ორ სამს თუ იპოვი, მეტს ვერა და ისიც დაპირდაპირებულია ქართველ ერის ცხოვრებასთან.

ასეთის მაგალითად „Полевые работы“ „რუსკ. სლ.“ II ნახ. 5 გვ. 76 და „Маленький мужикъ“ გვ. 26, საიდანაც აღებულია გამოთქმა „А мужикъ съ возомъ сказадь“. როცა ბავშვი ამ მოთხრობას კითხულობს, თავისთავადაც მიხვდება შინაარსით, რას ნიშნავს ეს გამოთქმა, მასწავლებელი კი, როგორც სასაუბროშია მოხსენებული და იქვე დახატული უჩვენებს რუსულ „ტელეგას“, ქართულ ურემს, ნნ გვერდზე რუსულ „ვოზს“ და გააცნობს მათ. რომ ეს ბავშვისათვის არავითარს სიძნელეს წარმოადგენს, ამაში ყველა მასწავლებელი დაგვეთანხმება. ამ მოთხრობაში ასათი წინადადებაც არის „ВХАДЪ мужикъ съ сыномъ“, თუ კი ეს რუსულია, ნუ თუ „МУЖИКЪ СЪ ВОЗОМЪ“ არ შეიძლება. მეტის მეტი აზირებულეზაა!!

ვათავებ პასუხს და ვსწუხვარ, რომ „შადრევანის“ რედაქციამ ბ. ჯაფარიძეზე მეტი საქმეში ჩახედულობა და უნარი ვერ გამოიჩინა და სრულიად ვერ დაგვიმტკიცა დანაპირები რომ მე „ბევრში ვცდებრ“.

ლ. ბოცვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.



შეცდომის გასწორება

ჟურ. „განათლების“ № 1-ში სპ. ცომაიას წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია:

ბმპრ.	სვეტი	მწკანი	არის.	უნდა იყოს.
5	2	5	(ქვევ.) პირალი	პირალ
"	"	1	(„) კეთილი	კეთილ
6	1	8	(„) მეფის იოანეს	მეფის ძის იოანეს
"	4	13-14	(ზევ.) ორი-სამი პირი	ორი-სამი პირი ¹⁾
"	"	18-19	(„) (აღურიცხველად) ¹⁾	(აღურიცხველად) ²⁾
"	"	25	(„) „ ¹⁾	„ ²⁾
"	"	24 და 25	მწკარ შორის (ზევ.) მეორე შენგუ. („რომ მართლდაც“ etc.) წინ, უნდა ჩაემატოს შემდეგი: ¹⁾ იხ. №№ 3, 20, 38, 40.	
"	"	5	(ქვ.) 1913 წ.	1914 წ.
"	2	3	(ზევ.) მართწერის	მართლწერის
"	"	8	(„) „ლაშქრობა ნაპოლეონისა	(გვ. 1 ბ.1. „ლაშქრობა ნაპოლეონისა
"	"	18-19	(ქვ.) ფანჯლიძეები (Панчуд.?!).	ფანჯლიძეები (Панчуд.?!), ბი- ბილურები (Лашкаревы).
"	"	11-10	(„) მაგ. ჩოლოყაშვილის გვა- რიდან, თამაფილის	შესაძლებელია, — მაგ., — ჩოლოყა- შვილის გვარიდან, იაშვილის
"	"	7	(„) ВТ.	В. Ш.
8	1	5	(ზევ.) პეტერბურში	პეტერბურში
"	"	7	(„) „რომელნიცა	(გვ. 298). „რომელნიცა
"	"	13 14	(„) ქართულ	ქართულად
"	2	1	(„) იმარხურებოდნენ	იმარხურებოდნენ
"	"	2	(„) რუსეთისასა	რუსეთისათა
"	"	"	(„) დიდისა მოსკოვისასა	დიდისა ქალაქისა მოსკოვისასა.
"	"	4	(ქვ.) (1752—1788)	(1752—1782)
"	"	3	(ქვ.) 1904 წ.	1804 წ.
9	1	3	(ზევ.) გჳარს	გჳარს
"	"	4	(„) საქართველოსად	საქართველოსად
10	1	5-6	(„) მაგალითად,	მაგალითად, ელჩ-დესპანად
"	"	23	(„) „СВѢД. О НОМЯН.	„СВѢД, О ПАМЯТН.
"	2	18	(ქვ.) მარკიზ	მარკიზ
11	1	2	(ზევ.) გურსკის	გურსკის
"	"	6	(ქვ.) გიორგი VII-ს	გიორგი XII-ს
"	2	1	(ზევ.) ამავე	ამავე
"	"	4	(ქვ.) Хаханашвили	Хахановъ
12	1	17	(ზევ.) вскриваль Зулбу.	вскричалъ Зубову
13	2	5	(„) ეგნატე	ეგნატი
14	1	4	(ქვ.) родъ	рода
"	2	5	(„) утр.	стр.
15	2	17	(ზევ.) 39 და 41	39 და 40.

ს. ც.



ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНЫЙ, НАУЧНЫЙ И ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛЬ

„СЪВЕРНЫЯ ЗАПИСКИ“

ПЕТРОГРАДЪ

(3-й годъ изданія)

Вышелъ № 1 (Январскій)

СОДЕРЖАНІЕ: 1. Армянскому народу. Стихотвореніе—**Маріэтты Шагинянъ**. 2. Благо тебѣ, очарованный братъ. Стихотв.—**Маріэтты Шагинянъ**. 3. Суровые дни (Въ деревнѣ). За семью печатями. **Ив. Шмелева**. 4. Стражи закона. Очеркъ.—**Пьера Милля** Перев. съ французскаго. 5. Стихотвореніе—**Вл. Волькенштейна**. 6. Шиповники. Разсказъ—**Вѣры Станевичъ**. 7. Три стихотворенія.—**С. Парнокъ**. 8. Драма крестьянина. Повѣсть.—**І. Линнанкоски**. Пер. съ финскаго **М. П. Благовѣщенской**. 9. Индійскіе цвѣты (Вгартигари) и двоестрочія.—**К. Вальмонта**. 10. а, Байрону, б, Генераламъ двѣнадцатаго года. Стихотв.—**Марины Цвѣтаевой**. 11. Парижъ во время великихъ Собѣтій—**Мих. Павловича**. 12. Въ германіи въ декабрь мѣсяцѣ.—**Ж. Вердэна**. 13. Балканская мозаика.—**Влад. Викторовъ-Топорова**. 14. Проблема войны въ литературѣ Франціи.—**Андрея Левинсона**. 15. Первый курортный съѣздъ.—**В. Веселовскаго**. 16. Государственная роспись на 1915 годъ.—**А. Леща**. 17. дороговизна жизни.—**Н. Огановскаго**. 18. Польскіе обывательскіе комитеты и евреи.—**Григорія Ландау**. 19. Матеріалы къ психологіи переживаемаго времени: а, Куиры **Ромэна Роллана**. б, Протестъ **Антура Шницлера**. 20. Научная работа **П. Л. Лаврова**.—**Н. Карѣва**. 21. О положеніи и задачахъ философіи въ россіи.—**Б. Яковенко**. 22. Новый коллективный трудъ о западно-европейской литературѣ.—**Ал. Гвоздева**. 23. Ббліографія. 24. Объявленія.

256 стр. текста; цѣна въ отдѣльной продажѣ 60 к.

Продолжается подписка на 1915 г.

	годъ.	6 мѣс.	3 мѣс.
съ достав. и пересылкою	4 р.	2 р. 50 к.	1 р. 25 к.

Подписка принимается: въ Главной конторѣ журнала, Петроградъ, Загородный пр., 21, въ крупныхъ книжн. магаз. и во всѣхъ почтовыхъ учрежденіяхъ.

Отдѣльные номера продаются во всѣхъ крупныхъ книжныхъ магазинахъ и высылаются изъ главной конторы журнала за 60 к., наложеннымъ платежомъ 80 к.

Издательница **С. И. Чащина**.

სნობები

ქ. შ. წიგნ-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედებისა.

ო ქ მ ი

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების
30 ნოემბერს 1914 წ.
(დასასრული)

გრ. რცხილაძე (გამგეობის წევრი) შეუძლებლად სთვლის ყოველ წელიწადს ერთსა და იმავე საგანზე კამათს. ეს მილიონის ქონება, რომელიც დღეს ჩვენს მუზეუმს აქვს, ერთბაშად კი არ არის შეძენილი, არამედ ნაწილ-ნაწილ, მრავალი წლების შრომის ნაყოფია, არ შეიძლება ერთი სიტყვით გადაჭრა და დააბრლოვება რთულის მილიონებათ ღირებული საქმისა, ამას უნდა დაფიქრება, აწონდაწონა, ყოველ მხრივ გამოკვლევა.

ა. ლომთათიძე წინადადებას იძლევა აღნიშნული საკითხის გამოკვლევა მიენდოს გამგეობას.

თავმჯდომარე კრების გადასაწყვეტად აყენებს ორ კითხვას: ვის მიენდოს საკამათო საკითხის გამორკვევა გამგეობას, თუ საგანგებო კომისიას;

კრება ადგენს: საკითხი წიგნთ-საცავ-მუზეუმის შესახებ გადაეცეს ყოველ მხრივ გამოსაკვლევად განსაკუთრებულ კომისიას, ხოლო ხსენებულ კომისიის წევრთა არჩევა მოხდეს გამგეობის შედგენილობის არჩევის დროს.

თავმჯდომარის წინადადებით და კრების სურვილის თანახმად: მდივანი კითხულობს ანგარიშს საგურამოს მამულის შესახებ.

დ. დუმბაძეს საჭიროდ მიაჩნია წარსულის წლის საზოგადო კრების მიერ არჩეული საგანგებო კომისიის მოხსენების წაკითხვაც საგურამოს მამულის მდგომარეობის შესახებ.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ საზოგადო კრების მიერ არჩეულის კომისიის მოხსენება საგურამოს მამულის შესახებ გამგეობამ მიიღო მხოლოდ ამ თვის

(ნოემბრის) პირველ რიცხვებში, რის გამოც იგი დღის წესრიგში შეტანილი არ იქნა, რადგან ამასთან საქირო იყო აგრეთვე გამგობის განპრტებაც, რის სისრულეში მოყვანა კრებისთვის ვერ მოესწრებოდა, მიგრამ, თუ კრება ისურვებს, მოხსენება წაკითხულ იქნება.

ზღვიანი კითხულობს:

წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა შარშანდელ წლიურ კრების დადგენილების თანახმად, კომისიამ შემდგარმა თ-დ ს. მ. ჩოლოყაშვილის, ვ. ზ. ქორდიანის და ს. ვაწაძისაგან დაათვალიერეს ილია ქაეჭავაძისეული საგურამოს მამული: გაეცნენ საქმის ვითარებას, რასაც მოკლედ აღწესხავენ ქვემო მრყვანრლ სტრიქონებში.

საგურამოს მამული ბუნებრივ შეკულია; როგორც მიწის შემადგენილობა, ისე ადგილობრივი მდებარეობა და ჰავა ხელსაყრელნი არიან სხვა და სხვა მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის, მრავალ და მაღალ ხარისხოვან ნაყოფის მისაღებად.

მთელი მამული ხუთ კატეგორიათ იყოფა: 1) ტყე შეიცავს 113 დესეტინას; იგი დაკულია და წარმოადგენს შეშის, ჭიგო-მარგილის და ალაგ-ალაგ შენობის მასალას. 2) სახნავი მიწა უდრის 123 დესეტინას, მათში დაახლოვებით 3 დესეტინა სარწყავია, თუმცა ურწყავი მიწებიც სავსებით კარგი ხარისხისა არიან. 3) ბუჩქნარი და ხრიოკ საძოვარი უდრის დაახლოვებით 25 დესეტინას. 4) საბაღე მიწები, რომელნიც უმაღლეს მცენარეთა კულტურისათვის გამოსადგენი არიან, სიერციით დაახლოვებით 22 დესეტინაა. 5) კარ-მიდამო და ეზო დაახლოვებით 3 დესეტინას უდრის.

მამულის შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს დღეს-დღეობით სახნავი მიწები; მათგან წმინდა შემოსავალ მოსალოდნელია წელიწადში დღევანდელ პირობებში 1200 მანეთი, (123 დესეტინიდან ყოველ წლივ მოიხენება 82 დესეტინა, საშუალო მოსავალი დესეტინაზე უდრის 65 ფუთს ე. ი. 5330 ფ., მემამულეს სასარგებლოდ შეოთხედი გადასახადი უდრის 1332 ფ. ღირებულს ფუთი 90 კაპ.

ვენახები ფილოქსერისაგან განადგურებულნი არიან და წარმოადგენენ ველებს აქა იქ მდგომ ცოცხალ-მკვდარ ვაზებისაგან; 600 ვედრა ღვინოზედ მეტი მოსალოდნელი ძნელია და წლითი-წლივ თუ არ დააკლდა, არა მოემატება რა. შემოსავალი ვენახებისაგან მოსალოდნელი არ არის, რომ აღმატოს ფეხის მოსავლითურთ 1000 მანეთს, მხოლოდ ნახევარი რომ კი ვივარაუდოთ შესამუშავებლად, პატრონს 500 მანეთზე მეტი არ ღარჩება.

მამულში ფუტკრის მოშენებას მისდევენ, აღირიცხება 100 გეჯამდის, რაც წმინდა შემოსავალს დაახლოვებით 200 მანეთს მოიკემა.

მამულში გაფანტულია დაბერებული და დაავადებული ხეხილი, მათი მოსავალი შეიძლება 100 მანეთად იყოს გაყიდული და ამ გვარად საგურამოს მამული დღევანდელ პირობებში დაახლოვებით 2000 მანეთს მოიკემა.

მამული დაგირავებულია ბანკში და წლიური გადასახადი სარგებლისა 1080 მანეთია, საერობო და სახელმწიფო ხარჯები 120 მანეთი, ამგვარად აუცილებელი ხარჯი ყოველწლივი უდრის 1200 მანეთს; თუ მხედველობაში მივიღეთ მამულის ადმინისტრაცია, ტყის დაცვა, შენობების დაზღვევა-შეკეთება, შემოსავალი 2000 მანეთი საფასვლით მოენდომება მამულს. მოსალოდნელია, რომ მოკლე ხანში შემოსავალი შემცირდეს, რადგანაც ვენახები, რომელნიც დღეს ცოტა რასმეს იძლევა ამ ფილოქსერის გამო გადახმება საფასვლით.

დღეს-დღეობით სახნავი მიწები მოიჯარადრე გლეხებს. უჭირავთ და საბატონო იჯარას იხდიან, ვენახებიც იჯარით არიან გაცემულნი წილზედ; როგორც პირველთ, ისე მეორეთ შემუშავება ძველ მეურნეობის წესზედ აქვთ დამყარებული, გარდა ერთი დესეტინა ვენახისა, რომელიც მოიჯარადრეებს წრეულ ჩაურგიათ დამყნილ ამერიკულ ვაზის საძირებზედ.

ფუტკარი კარგად არის დაყენებული და გეჯები ახალი ტიპისა არიან. მოიჯარადრეებს მოუწყვიათ ორანჟერეია დამყნილი ვაზის გასაღვივებლად და ამ შრომის გაწევაში კულტურტრეგერის ნაბიჯი გადასდგეს, მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ წესით ვაზს არსად არ აღვიგებენ, თუმცა საზღვარ-გარეთ ვაზის გაღვივება მხოლოდ ამ სისტემით ხდება, რაც დიდს შვებას აძლევს მევენახეს.

საქმის დღევანდელი მდგომარეობა კომისიამ არა ნორმალურად სცნო შემდეგი მოსაზრებით: 1. მოიჯარადრეთ ისეთს მძიმე უღლად ადევთ იჯარის პირობა, რომ მისი პირნათლად შესრულება შეუძლებელია: მაგ. წლიურად იხდიან იჯარას 1300 მან. და ამასთანავე ვალდებულნი არიან ერთი დესეტინა ვენახი გაააშენონ ყოველ წლივ ამერიკულ საფესვეებზედ მავთულის დაქიმივით, რაც ჯდება 1200 მანეთი, ამ გვარად წლიური გადასახადი უდრის 2500 მან. მაშინ, როცა შემოსავალი არ აღემატება 2000 მანეთს; ამ გვარად ხელშეკრულობა არა ნორმალურ ნიადაგზედ აყენებს საქმის წარმოებას და ინტენსიური მუშაობა შეუძლებელი ხდება. 2. სახნავებს მოიჯარადრე გლეხობა უზატიოდ ექცევა, — სცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გამოიჩინონ. მამულს, მის გაღარიბებას ანგარიშს არ უწევენ — მაინც საბატონოა და ამის მეტი რა შეგვრჩებაო; მოიჯარადრეებიც რასაკვირველია, სცდილობენ რაც შეიძლება მეტი მამული გასცენ იჯარით — ეგებ რამე დაგვრჩესო. 3. კარ-მიდამო და ეზო არა სასიამოვნო სურათს წარმოადგენენ, რადგან მოიჯარადრენი დატვირთულნი პრაქტიკულ და მატერიალურ მისწრაფებით ამისთვის ველარ იკლიან და არც ხელსაყრელია იგი მათთვის. სახლს სჭირია დიდი რემონტი, სახურავის შეღებვა და სხვა ღირებული არა ნაკლები 500 მანეთისა. სასმელ-სარწყავი წყალი თითქმის შეწყვეტილია — მიღებს შეკეთება სჭირია, რაც მოითხოვს 100 მანეთამდის.

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში კომისიამ, სასურველად სცნო შემდეგი აზრი გამოეთქვა:

1. რადგან ილიასეული სახნავი მიწები უხსოვარ ღრობიდან გლეხებს უჭირავთ და მათთვის მოხსენებული მიწების ჩამორთმევა საგრძნობ ეკონომიურ სიღუბლეს გამოიწვევს, ამიტომ ნება დართულ იქნას მათი მიყიდვა გლეხებისადმი

სავსებით, ან საზოგადოებამ შეინარჩუნოს მარტო რამდენიმე დესეტინა ამ სახნავებისა, გადასაცემად ქართულ სამეურნეო საზოგადოებისადმი, საჩვენებელ მიწდერის მოსაწყობათ, დანარჩენი კი გლეხებს მიეცილოს.

2. ტყე ნაწილი გაყიდულ იყოს იმავე გლეხებზედ, მხოლოდ საზოგადოებამ შეინარჩუნოს არა ნაკლებ ნახევრისა, რომ მომდინარე წყარო არ დაშრეს, რომ მამულს მუდამ ჰქონდეს საკმარისი მარგილი, სარი და შეშა და რომ ქვემო მყოფი მიწები არ ჩამორეცხოს ავდრობაში მთიდან მოვარდნილმა ნიაღვრებმა.

3. მამულის გაყიდვიდან შემოსული ფულით პროპორციონალურად იყოს გადახდილი მამულის ვალი, მხოლოდ დანარჩენი თავისუფალი თანხა მოხმარდეს ბაღების გაშენებას და სახლის შეკეთებას.

4. გაცვლით თუ შესყიდვით სასახლის გარშემო ერთს ან ორ ნაჭრით შემოზღუდულ იქნას ადგილი ზომით დაახლოვებით 20—25 დესეტინა, ყველა დანარჩენი ნაჭრები კი გაყიდულ იქმნენ.

5. ამ შემოზღუდულ ადგილზედ გაშენებული იქმნას მოიჯარადრეების და დარჩენილ თანხის საშუალებით ვენახის და ხილის ბაღი, რაც შეიძლება ჩქარი ტემპით.

6. ვიდრე მუშაობის წარმოება დაიწყებოდეს, გარკვევით, დაწვრილებით და მკაფიოდ უნდა შემუშავდეს სამეურნეო სამუშაო გეგმა განსაზღვრით, თუ რა წელიწადში რამდენი და როგორ უნდა დამუშავდეს, (Хозяйственный планъ) რომელიც დამტკიცებულ უნდა იყოს ქართულ სასოფლო სამეურნეო აგრონომიულ სექციის თანადასწრებათ.

7. სასახლე შეკეთებული იქმნეს და 2 ოთახი მაინც განცალკევებული უნდა ინახებოდეს ილიასეული ავეჯით და აგრეთვე ბაღას უნდა მიეკცეს ყურადღება.

8. სასურველია სკოლა უკეთეს პირობებში იმყოფებოდეს; დღეს-დღეობით მასწავლებელი შევიწროებულ პირობებში იმყოფება, ბაღლები შორი გზიდან იარებიან და, თუ მოხერხდება, სამჯობინო იქნება სკოლა თვით სოფელში მოწყობილიყო.

9. სამეურნეო სამუშაო გეგმის შედგენა უნდა შემოდგომამდის შედგენილ და დამტკიცებულ იყოს, რომ ამ დროიდანვე შეუდგენენ მის განხორციელებას, რათა უთავბოლო მუშაობა არ გამოვიდეს. ყველა ამ მოსაზრებასთანავე ხელშეკრულობა მოიჯარადრეებთან, რასაკვირველია, გადასხვაფერებულ უნდა იყოს მოთხოვნილების დავგარად, მხოლოდ სასურველია მისწრაფება მიმართულ იქმნას ბაღების გაშენებასა წლიურად რაც შეიძლება მეტი, რათა მამულს კულტურული ელფერი დაედოს და შემოსავლის წყაროც გაჩნდეს, რომ შესაძლო იყოს ადგილობრივ რაიმე პროფესიონალური სკოლის დაარსება დიდებული კაცის სახსოვრად.

დ. ხართიშვილი აღნიშნავს, რომ გამგეობას ფაქტიური შემოწმება საგურამოს შემოსავალ-გასავლისა, როგორცა სჩანს, არ მოუხდენია, თავის მოხსენებას იგი ამყარებს მოიჯარადრეთა თხოვნაზე და ამ თხოვნის მიხედვით აძლევს მათ შეღავათს, კომისიას, რომელიც არჩეული იყო საჯანგებოდ მამულის მდგომარეობა

ზის შესასწავლად, ნაკისრი მოვალეობა ძლიერ გვიან შეუსრულებია და თან საქმეც ზერელეთ გაუთვალისწინებია.

ა. ყიფშიძე (გამგეობის წევრი) განმარტავს: ხუთ წელიწად ნახევარია, რაც საგურამოს მამული წ.-კ. გ. საზოგადოების ხელში გადმოვიდა. მამულს ძლიერ ბევრი ვალი ედვა. თავნი ვალი 20,000 მანეთი, საერო გადასახადი—2000 მანეთი, ძველი წლების „ნედლომკები“—2000 მან. მოიჯარადრეების 1200 მან. ფრიდონოვისა 2500 მან. კერძო ვექსილებით 14,500 მან. და სხვა. სულ 1908 წ. ვალის მთელი ჯამი შეადგენდა 44,260 მან. გამგეობის მეცადინეობა იჩითკენ იყო მიმართული, რომ ეს ვალი რამენაირად გადაეხადა, რომ ილიასეული მამული შეენარჩუნებინა და სასირცხვოდ ხელიდან არ გასცლოდა. ხუთი წლის განმავლობაში გამგეობამ შესძლო მოეწყვიტა მთელი ვალისათვის 17,434 მან. და 50 კაპ. მე მგონია ამას სწორედ უნარის გამოჩენა სჭირდებოდა. ამ ჯამად მამულს მართებს სულ 28,825 მან. და 50 კ. აქედან ილიას ფონდისა 8500 მან. თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა—18,325 მან. 50 კაპ. ეს ვალი ისეთი საჩქარო გადასახადი არ არის. დღეს საჭიროა მხოლოდ საქმის რიგიანად გაძლოდა, რათა შესაძლებელი იქნას ყოველ წლიური საეროობა და ბანკის გადასახადების დროზე გასტუმრება.

აი ეხლა, როცა მამულს ცოტა ვალი დარჩა, შეიძლება იმ სამეურნეო გემის განხორციელებაზე ლაპარაკი, რომელსაც კომისია აღნიშნავს თავის მოხსენებაში. მოიჯარადრეებიც ერთგული და საქმის მოყვარულნი არიან, საჭიროა მხოლოდ შეღავათის მიცემა, რომ პირობა სავსებით შეასრულონ: გააშენონ 9 დესეტინა ვენახი, 4 დესეტინა ხილის ბაღი, მოაწყონ სანერგეები და სხვა. ხელის შეწყობით და გამხნევებით ჩვენ მიზანს მივალწევთ, მამულის საქმე გამოკეთდება, შემოსავალი საგრძნობლად იმატებს და, რომ ვინიცობაა ორი წლის შემდეგ საოპეკო მამული ხელიდან გამოგვეცალოს, რაც მოსალოდნელია, ცოტაოდნად ღაინც უზრუნველყოფილნი ვიქნებით საკუთარი მამულის შემოსავლით. საგანგებო კომისია ჩიანს ძლიერ ზერელედ გასცნობია საქმეს. მის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჩვენ 123 დესეტინა სახნავი მიწა უნდა გვეჩინდეს, როდესაც ნამდვილად 62 დესეტინაზე მეტი არ არის. გლეხებზე ადგილის გაყიდვა, რასაც კომისია გვიჩვენებს, ყოვლად შეუძლებელია და საზოგადოებისთვის საზიანო, სადა გვაქვს გასაყიდი მიწა, ერთი სიტყვით, დასძენს ორატორი, როგორც სარევიზიო, კომისიის მოხსენება, ისე საგანგებო კომისიის მოხსენებაც საგურამოს მამულის შესახებ უსაფუძლო ნიადაგზე აგებული და ქეშმარიტებას მოკლებული.

დ. დუმბაძე (სარევიზიო კომისიის წევრი) ბ-ნი ყიფშიძის საყვედურს უსაფუძლოდ სთვლის და აღნიშნავს, რომ სარევიზიო კომისია ხელმძღვანელობდა იმ საბუთებით, რომელიც იხატება წ.-კ. გ. საზ. საქმეებში, თავის მოხსენებასაც საბუთებზე ამყარებს. კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მამულის საკითხის გამორკვევა ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა და მხოლოდ ეხლად წარმოადგინა მოხსენება და ისიც უნუგეშოდ სცნობს მამულის მოვლა-პატრონობას. იმედის დამყარება იმაზე, რომ ხუთი წლის განმავლობაში იმდენად გაუმჯობეს-

დება მამულის საქმე, რომ საკმაო შემოსავალს მოგვცემს, ორატორს შეუძლებლად მიაჩნია, მისი აზრით მამულის მოვლა-პატრონობა უნდა მიენდოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, როგორც სპეციალურს დაწესებულებას.

ვლ. ცაგარელის აზრით, აუცილებლად საჭიროა დღევანდელ მოიჯარადრეებს, რაც შეიძლება, მეტი შეღავათი მიეცეს, რათა შესაძლებელი გახდეს მათთვის პირობის სისრულეში მოყვანა, მხოლოდ კონტროლი კი უნდა გაძლიერდეს. მისი აზრით, შემოსავლის მხრივ ძლიერ კარგი იქნება „დესერტის“ ჯიშის ვენახების გაშენება.

პრ. ჯაფარიძის აზრით სარევიზიო კომისიას უნდა დაეთვალაიერებია მამული და ფაქტიურად შეემოწმებინა დღევანდელი მისი მდგომარეობა. რადგან ეს არ მოხდა და კრებას ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოუდგენია ხსენებული მამულის ვითარება, ხაჭირია აირჩეს ახალი კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მამულის ვითარება, ხოლო დასკვნა კომისიისა წარედგინოს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში.

თავმჯდომარეს ზედმეტად მიაჩნია ახალ კომისიის მოწვევა. მისი აზრით საკითხი საკმარად გამოარკვეულია. საჭიროა მხოლოდ ტექნიკის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელ იქნეს ახალი სამეურნეო კულტურის შეტანა მამულის გაუმჯობესობის საქმეში.

რ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ შარშანდელ კრებაზე არჩეულმა კომისიამ ვერ მოასწრო დროზედ მამულის დათვალაიერება, ესეც უეჭველად გამგეობის დაუდევრობას უნდა მიეწეროს; ალბად კომისიისთვის არ გაუხსენებიათ, რომ მას დროზე შეესრულებინა თავისი მოვალეობა. საგურამოს მამული ნამდვილ შემოსავლის წყაროდ გახდება, თუ რბიანი მოვლა-პატრონობა ექნება, საჭიროა დღევანდელ მოიჯარადრეთათვის ხელის შეწყობა; შეღავათის მიცემა, ხოლო ამასთან ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის უნარის გამორჩენა.

ი. რუხაძე ეთანხმებოდა ბ-ნ. ა. ყიფშიძის განმარტებას საგურამოს მამულის სივრცის და დავალიანების შესახებ და აკვირვებს საგანგებო კომისიის მიერ მოხსენებაში აღნიშნული სიზამდევილეს მოკლებული ცნობები. სჩანს, კომისიას ზერეულედ დაუთვალაიერებია მამული, სახნავი მიწა 52 დესეტინაზე მეტი არ იქნება, კომისიას კი, მამულის რაოდენობა 123 დესეტინად გაუხსნია. შემდეგ ორ ორატორი საკმარად ვრცლად განმარტავს მოიჯარადრე-მოურავთა მიერ მამულის აოხრებას და განადგურებას და ამავე დროს გამგეობის უყურადღებობასაც აღნიშნავს. მოურავებმა გაპყიდეს ილიას სახლში დარჩენილი მრავალი ნივთები, გადაახდევინეს გლეხებს მათზე დარჩენილი ძველი წლების გადასახადები; გაპყიდეს 1300 მან. ღვინო და აღებული ფული თვითონ მოიხმარეს; გაანადგურეს სკები, დასწვეს ღობეები, მოსჭრეს ცაცხვები და გაპყიდეს. მოსაჭრელად 52 დესეტინაზე მეტი ტყეა. მე ვწერდა ზოგიერთ გამგეობის წევრთ ამის შესახებ, მაგრამ რეალურ ნაყოფს მათი მოქმედებისას ვერ ვეღირსეო. ბევრი სხვა უტყუარი საბუთი მაქვს მამულის აოხრების შესახებ; მაგრამ ჯერ-ჯერო

ბით „კოზირებს“ ვინახავ და როცა ჩემს ნათქვამში ეჭვი შეეპარებათ, და საჭიროება იქნება „კოზირებსაც“, გამოვამჟღავნებ.

ირ. რამიშვილის აზრით, შეუძლებელია გამგეობას, რომელიც შესდგება არა სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირთაგან, რიგიანად აწარმოვოს ისეთი რთული, საპასუხისმგებლო საქმე, როგორიც არის მამულის მოვლა-პატრონობა. საგურამოს მამულის საქმე რომ კარგად წავიდეს, საჭიროა მისი პატრონობა სპეციალისტებს მივანდოთ, ილიასეული სახლიც, როცა მას წ.-კ.-გ.-საზ. განაგებდა, შემოსავალს არ იძლეოდა და, როცა ბანკის რწმუნებულმა იკისრა მისი მართველობა, შემოსავალიც გაჩნდაო.

პ. საყვარელიძის აზრით, გარდა ბ-ნ ა, ყიფშიძისა და ილია რუხაძისა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ და აქვთ ხსენებული მამულის საქმესთან, თითქმის არავის ნათლად არ აქვს გარკვეული ეს საკითხი, ამიტომ, მისი აზრით, მიენდოს სამის კაცისაგან შემდგარ კომისიას გამგეობასთან და სარევიზიო კომისიასთან ერთად ყოველ მხრივ გამოარკვიოს მამულის მდგომარეობა და თავისი დასკვნა წარმოუდგინას არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას.

დ. დუმბაძის აზრით საგურამოს მამულის მოვლა-პატრონობა გადაეცეს სამეურნეო საზოგადოებას.

არ. ჯაჯანაშვილს (გამგ. წევ.) უაზროდ მიაჩნია საკამათო საკითხის ახალ კომისიაში გადაცემა, ვიდრე არ გამოირკვევა: 1. კომისიას ევალება სამეურნეო გეგმის შემუშავება, თუ მამულის გადაცემის საკითხის შესწავლა, თუ კიდევ სხვა რაიმე სხვა ფუნქციის ასრულება. ჯერ უნდა გამოირკვეს, სასურველია თუ არა მამულის გადაცემა, ხელსაყრელი იქნება თუ არა ეს კომბინაცია საზოგადოებისათვის და დარჩება თუ არა მამული წ.-კ.-გ. საზოგადოების ხელში, ხოლო ამის შემდეგ შეიძლება კომისიაზე ლაპარაკი.

დ. ჯავახიშვილის აზრით კომისიის იმედობარ უნდა ექონიოთ, კომისია არ ჩეული იყო და დღეს ვხვდავთ, რომ არაფერი გაუკეთებია, ასევე მოიქცევა ახლად არჩეული კომისიაც.

ბ-ნი ბუკია ხაზოულობს კენჭი ეყაროს წამოყენებულ წინადადებებს.

ბ-ნი კელია საკმარისად აღიარებს იმ საბუთებს, რომელიც ამჟამად ხელთ აქვთ საზოგადო კრებას და საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროდ, სთვლის მხოლოდ კანტროლის გაძლიერებას.

დ. ხართიშვილს შემოაქვს კონკრეტული წინადადება: საგურამოს მამულის უკეთ მოსაწესრიგებლად საზოგადო კრებას საჭიროდ მიაჩნია მისი შესწავლა, რა ნიადაგისაა, რა უნდა მოშენდეს, რამდენი დასპირდება თითოეულ დღიურის შესაფერისად დამუშავებას და მოშენებას და საზოგადოდ, მთელი მაჟულ-სას. ხოლო მოიჯარადრეთა წინადადება-თხოვნა იჯარის შემცირების შესახებ, სანამ მამულის შემოსავალ-გასავალი იქნება გამოარკვეულ, დარჩეს ღიათ—გამოარკვევამდე.

ბ. ბარათაშვილი ემხრობა ბ-ნ პ. საყვარელიძის მიერ გამოთქმულ აზრს და თავის მხრით წინადადებას აძლევს კრებას საკამათო საკითხი გადაეცეს განსაკუთრებულსა და სარევიზიო კომისიის შეერთებულ კრებას.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად აცხადებს და კრების გადასაწყვეტად სვამს ოთხ წინადადებას:

1. მიეცეს დღევანდელ მოიჯარადრეებს, რაც შეიძლება მეტი შეღავათი და დაევალოს გამგეობას ხელი შეუწყოს მათ პირობების სისრულეში მოსაყვანად და თან გააძლიეროს კონტროლი.
2. საკითხი მამულის მდგომარეობის შესახებ გადაეცეს გამოსარკვევად ახალ კომისიას, რომლის დასკვნა მოხსენდეს არა ჩვეულებრივ კრებას.
3. რადგანაც გამგეობას, როგორც არა სპეციალისტებისაგან შემდგარს, არ ძალუძს მამულის მოვლა-პატრონობა, საგურამოს მამული გადაეცეს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას.
4. საკითხი საგურამოს მამულის შესახებ გადაეცეს ყოველ მხრივ გამოსარკვევად გამგეობას, სარევიზიოს და ახლად არჩეულ საგანგებო კომისიას. მოხსენება წარედგინოს დასამტკიცებლად საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივ კრებას, რომლის მოწვევა დაევალოს გამგეობას მომავალი წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში.

კრება ხმის უმეტესობით ღებულობს მე-4 წინადადებას, ხოლო ანგარიშს საგურამოს მამულის შესახებ უცვლელად ამტკიცებს,

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას, ვისაც რაიმე ფაქტები აქვს ხსენებული მამულის შესახებ, შეუძლიან კომისიას წარუდგინოს.

კრება გადადის ანგარიშის მორიგ საკითხზე სტიპენდიების შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, ახლა გეძლევათ შემთხვევა შეაშოწმოთ, თუ მწერლებს ეძლევათ სტიპენდიები.

დ. ხართიშვილი. უპასუხებს უმჯობესი იქნებოდა მწერლები: რო გამოგზარდათ, ვეკილების მაგიერ, ესენი თავის გონების ნაშრომს ხელში მიიტანდნენ ყველასათვის ანბანურს ჰეშმარიტებას შეადგენს ის მცნება, რომ რამდენადაც მძლავრია ეკონომიურად ესა თუ ის ერი, იმდენად მძლავრი და ღონიერი იყო თვით ერიც და პირიქით, თუ დაქვეითებულია ნივთიერად დაქვეითებულია კულტურულად და ეროვნულადაც. ჩვენი ერის ნივთიერი მდგომარეობა ყველას გათვალისწინებული გვაქვს: ჩვენ გვჭირდება დღეს კოოპერატივები, რომელთაც უნდა მოჰქონონ ჩვენი მხარე კოოპერატიული დაწესებულებებით და ამით ეკონომიურად წელი გაუმაგრონ ხალხს, მისცენ ერს ეკონომიური სიძლიერე, ამისათვის კი უნდა ვეცადოთ გავამრავლოთ ასეთი მუშაკნი, მოვაშაბროთ ჩვენი ახალთაობა. ვეკილები, ინჟინრები, ექიმები და, თუ გინდა აგრონომებიც, თუმც საჭირონი კი არიან, მაგრამ ჩვენ დღეს არას გვარგებენ; ესენი გამოდიან უნივერსიტეტებიდან, შეველენ სახელმწიფო სამსახურში და კარიერას იძენენ და თავის მიზანს ამით ათავებენ. ჩვენი გამგეობა ასეთს პირებს უნიშნავს სტიპენდიებს. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად ორატორს კრების საყურადღებოდ შემოაქვს შემდეგი წინადადება: საზოგადო კრებას სტიპენდიებით შესაფერისად სარგებლობისათვის საჭიროდ მიაჩნია გამორკვეულ იქმნას ჩვენი ერის საჭიროებანი, ხარისხოვანობით და ამით ში პირველი საჭიროებანი უპირველესად კმაყოფილდებოდეს, სტიპენდიანტები რომ საჭირო სარგებლობას აძლევდნენ ერს, ამისათვის მათ დაედოს ვალად საზო-

გადოების გამგეობის მოთხოვნით, იმუშავონ ხუთი (პირველი) წლის განმავლობაში იქ, სადაც ამას გამგეობა მოითხოვს. იმ სტიპენდიებით, რომელთაც შეიძლება ხასიათი შეეცვალოს, გაიხსნას ქ. თბილისში სამასწავლებლო სემინარია, სპეციალური (საკოოპერაციო და სამეღრწეო) განყოფილებებით.

პ. გელეიშვილის აზრით, გამგეობის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მდებარე ხალხში პირველ დაწყებითი სწავლის გავრცელების საქმეს. ამ მიზნის ირგვლივ უნდა შეიკრიბოს მან მთელი თავისი ნივთიერი და სულიერი ძალები. ვეებერთელა თანხა იხარჯება დღეს სტიპენდიებზე. უმაღლესი სწავლა ჩვენთვის შამპანიურია, იმ დროს, როდესაც არსებითი პურიც არა აქვს მდებარე ხალხს, როდესაც ჯერ კიდევ მკითხავებისაგან ვერ დაუხწყევია თავი. ჯერ პირველ დაწყებითი სწავლა და შემდეგ უმაღლესი განათლება, ავბლოთ ნემცთა კალონიების მაგალითი, სადაც უმთავრესი ყურადღება პირველ-დაწყებითის ცოდნის გავრცელებას აქვს მიქცეული. საჭიროა დღევანდელმა საზოგადო კრებამ მომავალ ქველმოქმედ-შემომწირველთა საყურადღებოდ გამოსთქვას აზრი თუ რას უნდა ხმარდებოდეს წ.-კ. გ. საზ. თანხები, რომ შემომწირველი არ საზღვრავდეს შემომწირულებათა დანიშნულებას. მაშინ საზოგადოებას საშუალება მიეცემა მთელი ნივთიერი ქონება-საშუალება პირველ-დაწყებითი სკოლების გავრცელების საქმეს მოახმაროს.

დ. დუმბაძის აზრით, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ამ ყამად უფრო ესაჭიროება სპეციალური ცოდნის აღჭურვილნი პირები, როგორც არიან მაგ. მეურნეები, ტექნიკები, კოოპერატორები—სასურველია დაევალოს საზოგადოების გამგეობას სტიპენდიების განაწილების დროს ხელმძღვანელოს ხსენებული მოსაზრებით და მომავალში მხოლოდ ასეთს სპეციალურის ცოდნის მიმდევართ დაუნიშნოს სტიპენდია.

ა. ლომთათიძის აზრით შესაძლებელია საზოგადოების გამგეობამ გავლენა იქონიოს ქველმოქმედ ზუბალაშვილებზე, რომელთაც სასტიპენდიო თანხის გასაძლიერებლად ყოველ წლიურად 5000 მან შემოაქვთ. ხსენებულ ქველმოქმედთა სახელობის სტიპენდიებს ვადა უთავდებათ 1916 წელს. ამ წლიდან შეიძლება მოლაპარაკების საშუალებით პატივცემულმა ზუბალაშვილებმა დანიშნულების განუსაზღვრულად შემოსწირონ ფული და, მაშინ საშუალება მიეცემა გამგეობას ეს თანხა პირველ-დაწყებითი განათლების საქმეს მოახმაროს.

ივ. რატიშვილის აზრით წ.-კ. გ. საზოგადოების უმთავრესი საზრუნავი პირველ-დაწყებითი სწავლის გავრცელებაა მდებარე ხალხში; სტიპენდიების განაწილება და ამ დანიშნულებისათვის გადადებული თანხების წარმოება ბევრს ძვირფას დროს ართმევს საზოგადოებას და სრულიადაც არ შეეფერება მის მიზანს, ამიტომ ეს საქმე უნდა გადაეცეს განსაკუთრებით ამ დანიშნულებისათვის არსებულ სპეციალურ საზოგადოებას. ასეთი საზოგადოება არის თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ღარიბ მოწაფეთა დამხმარე კომისია. ვისაც სტიპენდიებისათვის უნდა ფულის დატოვება შესწიროს ამ საზოგადოებას, წ.-კ. გამ. საზოგ. კი განთავისუფლებულ იქმნას ამ ზედმეტ შრომისაგან.

ა. შანშიაშვილის აზრით, სტიპენდია იმდენი მაინც უნდა ეძლეოდეს, რომ შესაძლებელი იქნეს არსებობა, დღევანდელი სტიპენდიის რაოდენობა — თვეში 25 მანეთი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია კოტაოდნად რიგიანად ცხოვრება: ამისათვის, ორატორის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ წ.-კ.-გ. საზოგადოება სრულიად მოიშორებდეს თავიდან სტიპენდიების განაწილებას და სასტიპენდიო თანხის წარმოების საქმეს.

ბ. ლომთათიძეს შეკითხვა შემოაქვს, იხდიან თუ არა ყოფილი სტიპენდიატები მიღებულ ფულს.

თავმჯდომარე უპასუხებს, რომ მხოლოდ ერთი ყოფილი სტიპენდიატი, ისიც გამგეობის წევრი იხდის სასტიპენდიო ვალს.

ა. კიკალიშვილის აზრით ჩვენთვის ყოველგვარი კოდნაა საქირო და ვიდრე ეს სტიპენდიები არსებობენ, არ უნდა იქნეს შეზღუდული გამგეობა და სტიპენდიების განაწილების დროს ხელმძღვანელობდეს დროსა, გარემობის და საქიროების მიხედვით, ხოლო, სასურველია, დღევანდელმა საზოგადო კრებამ მომავალ ქველმომქმედ-შემომწირველთა საყურადღებოდ გამოსთქვას სურვილი, რომ შემოწირულებანი დღეიდან ეძლეოდეს საზოგადოებას დანიშნულების განუსაზღვრელად, რათა ამით საშუალება მიეცეს გამგეობას თავის შეხედულებისამებრ დროს, საქიროების და გარემოების მიხედვით, მოიხმაროს შემოწირული თანხა.

ბ. საყვარელიძე ემხრობა ბ-ნს, კიკალიშვილის აზრს.

ა. ჯაჯანაშვილის (გ. წ.) აზრით, საზოგადო კრებისადმი თხოვნით მიმართვა, რომ მან განაჩენი გამოიტანოს შემომწირველთა სურვილის შესაზღუდავად, უტაქტოდ მიიჩნია. ნიუდავის მომზადება შეიძლება, საზოგადოების აზრის საშუალებით, გარეშე კრებისა და არა კრების საშუალებით.

ი. მერკვილაძის აზრით, უმჯობესი იქნება, რომ გამგეობამ წინდაწინვე შეიმუშავოს ანდერძის ტექსტი შემომწირველთა სახელმძღვანელოდ.

ექ. თაყაიშვილის აზრით, სასურველია რომ კრებამ გამოიტანოს განაჩენი, რომ გამგეობას უფლება მიეცეს, როცა საქიროება მოითხოვს, სტიპენდიის რაოდენობა 100 მანეთამდე აიყვანოს, ვინაიდან დღევანდელი სტიპენდიის რაოდენობა ძლიერ მცირეა.

ბ-ნ კედიას აზრით, სასურველია ამიერიდან წ.-კ. გ. საზ. მოერიდოს სასტიპენდიო თანხების მიღებას და ამით გაითავისუფლოს თავი ზედმეტი ტვირთისაგან.

დ. ჯავახიშვილის აზრით სტიპენდიების განაწილების დროს გამგეობა უნდა ხელმძღვანელობდეს სტუდენტთა კორპორაციის რჩევით.

თ. ბარათაშვილის შეკითხვაზე, რას უნდა მოხმარდეს დაბრუნებული სტიპენდიები,

თავმჯდომარე განმარტავს, რომ დაბრუნებული ფული საზოგადოებას შეუძლია მოახმაროს სკოლების დაარსების საქმეს.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად სთვლის და თვითველ წინადადებას ცალ-ცალკე აყენებს.

3. გელეიშვილი წინადადებას იძლევა, მიღებული წესის თანახმად ყველა შემოყენებული რეზოლიუცია გადაეცეს გამგეობას, რომელიც წინადადებათა ავტორების თანადასწრებით და მონაწილეობით შეიმუშავებს რეზოლიუციის საერთო ტექსტს და წარმოუდგენს საზოგადო კრებას.

კრება წინადადებას ღებულობს, ხოლო ანგარიშს სტიპენდიების შესახებ ამტკიცებს.

კრება დაიხურა დღის 4 საათსა და 25 წუთზე. შემდეგი კრება დაინიშნა კვირას, 7 დეკემბერს, დღის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში.

კრების თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი.

კრების მდივანი ვარ. ბურჯანაძე.



მ ქ მ ი

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა
7 დეკემბერს 1914 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის მოვარეობის აღმასრულებელმა, გამგეობის წევრმა დ. გ. კარიჭაშვილმა დღის 11 საათსა და 40 წუთზე. დაესწრო 122 ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კითხულობს საზოგადოების თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის წერილს, რომლითაც იგი მადლობას სწირავს საზოგადო კრებას თანაგრძნობის გამოცხადებისათვის იმ უბედურობისა გამო, რომელიც შემთხვევა მის ოჯახს და გამოსთქვამს სრულს. იმედს, რომ წევრთა ნაყოფიერი მუშაობა გამარჯვებას მიაჩქებს ძვირფასს წ.-კ. გ. საზოგადოებას. კრება თანაგრძნობით ისმენს ბ-ნ ყაზბეგის წერილს. ამის შემდეგ კრებას მოხსენდა ჰო ნოემბრის საზოგადო კრების ოქმი, რომელიც ჩამოდენიშე შესწორების შეტანის შემდეგ კრებამ დაამტკიცა.

თავმჯდომარე (ბ-ნი კარიჭაშვილი) საკვიროდ სთვლის განმარტოს, რომ ბ-ნ 3. გელეიშვილის განცხადება წინანდელ კრებაზე; ვითომც ა. ორბელიანის ხელთაწერებიდან, დ. კონჭაძის სურამის ციხის შესახებ რამდენიმე ფურცელი დაკარგული იყოს, სიმართლეს მოკლებულია, მან გადაათვალიერა ხსენებული მწერლის ხელთაწერი, რაიც შეიცავს სულ 16 გვერდს. (კატ. № 1461) და არც ერთი ფურცელი არ აღმოჩნდა დაკარგული. პორნოგრაფიული ხასიათის წერილების არსებობას სრულიად უარყოფს და დასძენს, რომ შეუძლებელია ისეთს დარბაი-

სელ მწერალს, როგორც იყო ალ. ორბელიანი დაეწერა რაიმე პონოგრაფიული შინაარსის წერილი.

პ. გელეიშვილი არ კმაყოფილდება ხსენებულის განმარტებით, იგი მტკიცედ ადგია წინანდელ თავის განცხადებას; ასახელებს მალაქია ტოროშელიძეს, რომელიც მასთან ერთად მუშაობდა მუზეუმში და კარგად იცის ამ ხელთნაწერების ისტორია.

სადავო საკითხის გამორკვევა კრებამ მიანდო პ. საყვარელიძეს და რ. გაბაშვილს პ. გელეიშვილის დახმარებით.

კრება ისმენს და უკამათოდ ამტკიცებს 2 დეკემბრის გამგეობისა და რეზოლიუციის ავტორთა შეერთებულ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციის ტექსტს. სტიპენდიების შესახებ: „ვინაიდან ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ერთადერთი მიზანია ხალხში პირველ დაწყებითი ცოდნის გავრცელება, რომლის ირგვლივ უნდა შემოიკრიბოს მან მთელი თავისი ნივთიერი და სულიერი ძალები, დღევანდელი საზოგადო კრება გამოსთქვამს სურვილს მომავალ ქველმოქმედ-შემომწირველთა საყურადღებოდ, რომ ამიერიდან შემომწირველნი ნუ განსაზღვრავენ ხოლმე შემოწირულებათა დანიშნულებას, რათა ამით საშუალება მიეცეს გამგეობას შემოწირული თანხები მოახმაროს საზოგადოების მიერ დასახულ მიზანს—სწავლა-განათლების გავრცელებისას მდაბიო ხალხში“.

ა. ჯაჯანაშვილი (გამგ. წევრი) წინამდღეგია ხსენებული რეზოლიუციისა და, როგორც ცალკე აზრი, თხოულობს შეტანილ იქმნას ოქმში შემდეგი: „საზოგადოებას შეუძლია დადგენილება გამოიტანოს ან სურვილი გამოსთქვას მხოლოდ იმისთანა საგნის შესახებ, რომელიც თვით საზოგადოების ფარგლებს არ სცილდება, რადგანაც შემოხსენებულ რეზოლიუციას აზრად აქვს მოაწესრიგოს საზოგადოების გარეშე პირთა (შემომწირველთა) მოქმედება—სურვილი—შეუძღვებელია წ.-კ. გ. საზოგადოების კრებაზე ამგვარი რეზოლიუციის გამოტანა“. ამ აზრს ემხრობა ბ-ნი **გრ. რცხილაძე** (გამ. წევრი).

კრება გადადის მორიგ საკითხზე—წიგნების ბეჭდვის შესახებ.

პ. საყვარელიძე აღნიშნავს, რომ განსვენებულის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებში მრავალი შეცდომაა; შიგ ბევრი ყალბი ადგილია, რაც, როგორც ეს პრესაშიც აღნიშნული იყო, ცუდ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე, ამისათვის, ორატორის აზრით, საჭიროა შესდგეს პედაგოგთა და სპეციალისტთა კომისია გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნების „დედაენის“ და „ბუნების კარის“ შესასწორებლად.

პრ. ჯაფარიძის აზრით, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნებს გაუმჯობესება არ ეტყობა, ბევრი ნაკლი აქვს; მაგალითად P. CII. I და II ნაწილს რუსული ენა შეუწყნარებელია. ერთად ერთი ღირსება ამ სახელმძღვანელო წიგნებისა მხოლოდ ის არის, რომ მასალა დედა ენიდანაა ამოღებული. „დედა ენა“ში თითქმის მთელი მესამედი საღეთო სჯულის მასალას უჭირავს. ორატორის აზრით საქმისთვის კარგი იქნება და ამავე დროს განსვენებულის ი. გოგებაშვილის პატივისცემა, რომ ყოველ წლობით, პედაგოგიურ მოთხოვნილებათა მიხედ-

დვით საჭირო ცვლილებები შეგვექონდეს ამ სახელმძღვანელო წიგნებში, ხოლო ეს მოვალეობა უნდა დაეკისროს სასკოლო სექციას.

ი. რუხაძე წინადადებას იძლევა სახელმძღვანელო წიგნების გადასინჯვის და შესწორების დროს მოწვეულ იქმნენ ხოლმე გარეუბირებიც, დაინიშნოს განსაზღვრული ჯილდო. მისი ფიქრით, ასეთი კონკურსის გამოცხადება ბევრს მოაგებინებდა საქმეს.

ბ-ნი რუხაძის წინადადება კრებამ საყურადღებოდ აღიარა.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ განსვენებულის ი. გოგებაშვილის ანდერძის თანახმად, მის სახელმძღვანელო წიგნებში შესწორების ან ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამგეობის წევრთა $\frac{3}{4}$ ნაწილი იქნება ცვლილებათა შეტანის მომხრე, ამისათვის, დასძენს იგი, ეს აკადემიური შრომა უნდა მიენდოს გამგეობას.

ვ. ცაგარელს შეკითხვა შემოაქვს, რად გადასცა გამგეობამ კერძო პირს ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა. იყო თუ არა ეს ხელსაყრელი გამგეობისათვის.

თავმჯდომარე უპასუხებს, რომ გამგეობამ სწორედ ხელსაყრელად დაინახა კერძო პირისათვის თხზულებათა გამოცემა. გამგეობას საკუთრებათ. დარჩა კლიშეები, სურათები და 100 ცალი წიგნი 20 პრ. დაკლებით.

პ. შირიანაშვილის აზრით აუცილებლად საჭიროა „დედა-ენიდან“ სასულიერო ზნეობრივი განყოფილების ამოღება და ამ მხრივ ხსენებული სახელმძღვანელო წიგნის შესწორება, რათა იგი თანასწორად გამოსადეგი იყოს მართლმადიდებელისა, ებრაელისა და მაჰმადიანი ქართველებისთვისაც. ასეთი შესწორება არც ანდერძის წინააღმდეგი იქნება და თვით წიგნის შინაარსიც აღარ შებღალავს სარწმუნოებრივ გრძნობას.

დ. დუმბაძის აზრით, სახელმძღვანელო წიგნებიდან სასულიერო-ზნეობრივი განყოფილების ამოღების ნებას მთავრობა არ მოგვეცემს, მართალია „P. CII.“ და „დედა-ენა“-ს აქვს ნაკლი, ნაკლი თვით დიდებულ დისტერვეგსაც ჰქონდა, მაგრამ არც იმდენი ნაკლი აქვს ამ წიგნებს, როგორც პ. შირიანაშვილისა და სხვებს ჰგონიათ. ორატორს პატივცემულ გოგებაშვილის წიგნების უარყოფით მოხსენება საზოგადო კრებაზე საშიშოდ მიაჩნია, ეს გადავა პრესაში და მტრები აქ გამოთქმულ აზრს სააგიტაციო მასალად გამოიყენებნო.

ბ-ნი მაღალაშვილი და **რ. გაბაშვილი** კრების ყურადღებას აქცევენ ანგარიშის მე 114 და 117 გვერდზე მოთავსებულ დედა ენა I ნაწილის რაოდენობას და მოითხოვენ განმარტებას, რად არის ორჯელ განმეორებული ამ წიგნის გამოცემის 30,000 ცალი.

გრ. რცხილაძე (გამგ, წევრი) განმარტავს, რომ განსვენებული გოგებაშვილის ანდერძის თანახმად მისი სახელმძღვანელო წიგნების ანგარიში უნდი იბეჭდებოდეს ცალკე და საზოგადო ანგარიშიდან გამოყოფილად და სწორედ ამიტომ არის ერთი და იგივე რიცხვი განმეორებული და ამის შესახებ შესაფერი შენიშვნაც აქვს ანგარიშს გაკეთებული.

ბ-ნი მაღალაშვილი და ხართიშვილი აღნიშნავენ, რომ მე 11-ს გვერდზე წიგნის მაღაზიის ანგარიშში 9209 მან. და 5 კაპ. უაღვილო ალვას არის ჩაწერილი.

თავმჯდომარე ეთანხმება და დასძენს, რომ ეს რიცხვი თუმცა ქვემოლ უნდა იყოს ჩამოტანილი, მაგრამ ამით ჯამი მაინც არ იცვლება და ბალანსი სწორი გამოდის.

ა. შანშიაშვილის აზრით საჭიროა გამგეობამ ბლომად გამოსცეს სახალხო საკითხავი წიგნები, მაგრამ ამავე დროს მტკიცედ უნდა იქნას დატული აკადემიური ენა.

ბ-ნ შანშიაშვილის წინადადება სახელმძღვანელოდ იქმნა მიღებული.

ი. მერკვილაძე კრების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მკაზმავთან, სახელონოში, ძლიერ ბევრი სახელმძღვანელო წიგნის ფორმები აწყვია, საჭიროა ეს ფორმები წიგნების საწყობაში იყოს შენახული, როდემ ადვილი შესაძლებელია ეს ნდობა ბოროტად იქნეს გამოყენებული, მას კიდევაც უნახავს ნაქურდალი სახელმძღვანელო წიგნები ბაზარზე გასასყიდად გამოტანილი, მაგრამ არ ახსოვს რომელ წელში, მოწმედ ასახელებს ი. ავალიშვილს, რომელიც დასდევდა ქურდებს დასაქერად. შემდეგ ორატორი ეხება ხრამელაშვილის კრებულის გამოცემის საქმეს და აღნიშნავს შემდეგს: ხრამელაშვილის კრებული მან, მერკვილაძემ იყიდა განსვენებულისაგან 1912 წელს აპრილში. დაბეჭდა 6000 ცალი I ნაწილი. ხრამელაშვილისავე თანხმობით დანარჩენი პირობაში აღნიშნული წიგნები შეუკვეთა დასაბეჭდათ ციხის სტამბაში, სადაც მისთვის უფრო ხელსაყრელი იყო. ხრამელაშვილი გარდაიცვალა 18 ენკენისთვის 1912 წელს, სიკვდილის შემდეგ მანგანაგრძო თანხმად სტამბასთან შეკრულ პირობისა დანარჩენი გამოცემების ბეჭდვაც, ვიდრე არ მოათავებდა 12,000 ცალს. ამ დროს გამგეობამ პასუხიც მოსთხოვა ანდერძის წინააღმდეგ მოქმედებისათვის, რაზედაც მან ოთხჯერ მიართვა თხოვნა გამგეობას და იწვევდა სამედიატორო სამართალში, მაგრამ სწორი პასუხის მოცემას კი ვერ ელირსა. ოფიციალურს სასამართლოს კი არ მიმართა, რადგან არ უნდოდა შეურაცყოფა მიეყენებინა ერთად ერთ ქროვნულ კულტურულ დაწესებულებისათვის.

ა. ლომთათიძის შეკითხვაზე, რატომ სტამბის სახელი და თარიღი არ არის აღნიშნული, მერკვილაძე უპასუხებს, რომ კორექტურას თვით ავტორი ასწორებდა და ის არაფერ შუაშია.

გ. რციხილაძე (გამგ. წვერი) განმარტავს, რომ აქ სამოქალაქო დავა და სამედიატორო სამართალზე ზედმეტია ლაპარაკი, თუ რამე გასამართლებელი საბუთები ჰქონდა მერკვილაძეს, შეეძლო წარმოედგინა გამგეობისათვის. ხრამელაშვილის გარდაცვალების შემდეგ მას არ ჰქონდა არც-ზნეობრივი, არც იურიდიული უფლება განეგრძო წიგნების ბეჭვდა. მან კი, როგორც ეს გამოიჩვენა ოფიციალური ცნობებით, სიკვდილის შემდეგაც განაგრძო სახელმძღვანელო წიგნების ბეჭვდა ციხის სტამბაში.

ჩვენ შევაჩერეთ ბეჭვდა და ვუსდიდით, როდის გამოვიდოდა ბაზარზე წიგ-

ნები გასასყიდლად. ეხლბ, როცა გამოირკვა რომ მერკვილაძე წიგნებს ჰყიდის, შეიძლება საჩივრის შეტანაც... საბუთი თუ რაიმე აქვს. შეუძლიან გვაჩვენოს.

ს. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ მერკვილაძე მასთან იყო და სადავო საკითხის გამორკვევას თხოულობდა სამედიცინო სასამართლოს საშუალებით. მისი აზრით, შესაძლებელია ასეთი წესითაც ამ საკითხის გამორკვევა, თუმცა ბ-ნ ჯაფარიძესაც ურჩევია მერკვილაძისათვის საბუთების გამგეობისათვის წარდგენა.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ გამგეობამ არა ერთხელ მოსთხოვა ბ. მერკვილაძეს საბუთები, მაგრამ იმას არ წარმოუდგენია.

ი. მერკვილაძე უპასუხებს, რომ მას ეშინოდა საბუთების დაკარგვისა და სწორედ ამიტომ არ დასდანხმდა.

ი. ბარათაშვილის აზრით, თუ მერკვილაძეს საბუთების დაკარგვის ეშინოდა, შეეძლო პირი გადაეღო, ნოტარიუსთან შეემოწმებინა და ისე წარედგინა. მაშინ მის შიშს ადგილი აღარ ექნება. ამჟამად კი ჩვენთვის ნათელია, რომ ბ-ნ მერკვილაძეს საბუთები არა ჰქონია.

3. გელეიშვილი თხოულობს დაევალოს ბ-ნს მერკვილაძეს წარმოუდგინოს საზოგადო კრებას გასამართლებელი საბუთები.

კრებამ წინადადება მიიღო და სთხოვა მერკვილაძეს წარმოადგინოს შემდეგ კრებაზე საბუთები.

(დასასრული იქნება)



განსხალება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აცხადებს, რომ წელს, ნ. ლოლობერიძის სახელობის თანხის სარგებელიდან დანიშნულია პრემიით 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსოდ საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიის ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. ლოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოადგენილ იქნას რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზედაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებთან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, ე)

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი; ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. თხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წირსული ცხოვრებისა ან რომლის სამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელიმე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომელიმე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია; ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომელიმე ეპოქის ისტორია, გ) რომლისმე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა; დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომელიმე კერძო ეპოქისა; ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

5. თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენას სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზნე ჩვეულებებიდგან, ფიზიკურ აგებულებებიდგან და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა—გამოსარკვევად: ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, Ⴢ) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამომავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დაამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ შემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. თხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) გამოკვლევა წარმართდროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქართული მუსიკისა; გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო თხზულება უნდა იქმნას წარმოდგენილი წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1916 წლისა.

8. საკონკურსო თხზულება შეიძლება იყვეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც. მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1912 წელზე ადრე გამოცემული.



Открыта подписка на 1915 годъ

ШКОЛА И ЖИЗНЬ

(5-й г. изданія)

ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

Пятый годъ изданія застаётъ насъ въ тяжелый моментъ небывалой въ исторіи войны. Педагогическая печать, не можетъ не откликаться на вопросы, волнующіе сейчасъ всякаго. Но у нея остаются и свои особыя задачи: война, глубоко затрагивающая жизнь школы, не должна заслонить собой интересовъ народнаго образованія, народной культуры. Война въ корень потрясаетъ весь житейный укладъ, но наша святая обязанность уберечь школу отъ грозящей ей опасности. Въ этомъ газета видитъ свою очередную задачу.

Имѣя возможность въ *приложеніяхъ* дополнять матеріалъ, помѣщаемый въ газетѣ, Редакція ставитъ себѣ цѣлью выяснитъ ту глубокую связь, какая должна существовать между педагогической наукой и правильно понимаемыми идеями національности и государства. Обращаясь къ Платону и Аристотелю, впервые выразившимъ эти идеи, „Школа и Жизнь“ даетъ переводы обоихъ этихъ классиковъ. Редакцію перевода и статьи о *Платонѣ и Аристотелѣ* взялъ на себя профессоръ петроградскаго университета *Θ. Ф. Зьлинскій*. Другому важному вопросу о началѣ воспитанія, о воздѣйствіи на ребенка въ тотъ періодъ, когда закладывается личность человѣка, отводится книга *Вилліама Стерна „Психологія ранняго дѣтства“* съ добавленіями *Л. Г. Оршанскаго*—пастольная книжка для матерей и воспитателей.

Въ числѣ другихъ приложеній газета удѣляетъ особое вниманіе вопросу о профессиональномъ объединеніи учителей. Для воспитанія здоровыхъ поколѣній пужны учителя, оплоченные сознаніемъ своей ответственности, умѣющіе отстаивать свои права. Въ сборникѣ, посвященномъ учительскимъ профессиональнымъ организаціямъ на Западѣ и въ Россіи, будетъ помѣщены статьи: *Дюнео, В. А. Золотарева, П. Мижусева, Г. А. Фальборка, И. И. Шрейдера* и др. Кроме того будетъ даны въ числѣ приложеній: книга итальянской писательницы *Паулы Ломброзо „Жизнь ребенка“* и др. Всего по примѣру прошлыхъ лѣтъ будетъ дано не менѣе 80 печатныхъ листовъ.

Въ составѣ сотрудниковъ газета, по прежнему, насчитываетъ многихъ преподавателей, высшей, средней и высшей школы, членовъ родительскихъ комитетовъ, дѣятелей земскихъ и городскихъ самоуправленій членовъ Г. Думы и Гос. Совѣта.

Дѣятельности *земствъ и городовъ* въ области нар. образованія, жизни школы всѣхъ типовъ и ступеней отводится, помимо статей, мѣсто въ хроникѣ и въ многочисленныхъ *сообщеніяхъ съ мѣстъ*

Въ отдѣлѣ *библіографіи* специалистами по отдѣльнымъ вопросамъ даются два раза въ мѣсяцъ рецензіи педагогическихъ, учебныхъ и дѣтскихъ книгъ.

Ведется систематически отдѣлъ *законод. постановленій, официальныхъ распоряженій и сен. разъясненій*. Ежемѣсячно дается полный списокъ вновь утвержденныхъ посвѣт. обществъ и организацій.

Подписная цѣна (съ прилож.):

	на годъ	на 6 м.	на 3 м.
Съ доставкой и пересылкой	6 р.	3 р.	2 р.

Для учащихся при головной подпискѣ допускается разсрочка: при подпискѣ—2 р., въ 1 февраля, 1 марта и 1 апрѣля и въ 1 мая по 1 рублю.

Подписка, въумѣ Главной Конторы принимается во всѣхъ почт. тел. конт. и солидн. книжныхъ магазиннахъ. Лицамъ, желающимъ познакомиться съ газетой, *пробные №№* высылаются *бесплатно*.

Адресъ Главной Конторы: Петроградъ Лиговская ул. д. № 87.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი შერვე)

316/2

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მენიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან აქვს თვითური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივ უკეთ დასურათებული. ჟურნალში მოწაწიფუობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ **6 მან.** 1915 წლი წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „მრავალუამიერ“ მსიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. **პეტალოცე ჰერბერტ სპენსერის, რუსსოხ და კომენსკის სურათებს**, რომელთა მაგიერ 1915 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლის და „პატარა მურია“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვილის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერბ-კითხვის გამავრცელებელი სასოცადოებო და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ დაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან წიგნის მაღაზია „Новая рѣчь“ კიკნაძესთან. ქუთაისში ისილორე კვიციანიძესთან ბათუმში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „განთიღში“, სამტრედიოში საზოგადოების კიოსკში მ. კოპალეიშვილთან, ამ სამ ადგილას იყიდება ცარი ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას სმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія, Л. Г. Бочваძე

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**